Morena, Muriena, Ma(r)muriena სლოვაკ. (აღმოსავლეთ - სვალურ ტრადიციებში მარენა - ჩალის საფრთხობელაა, რუს. მარინკა თქმულებებიდან და სხვ. პერსონაჟები მსგავსი ფონეტიკური სახელებით).

მარა არის ერთ-ერთი უძველესი, იდუმალი და „ბუნდოვანი“ არსებებიდან რუსი გლეხების თქმულებების მიხედვით, რომლებშიც ის წარმოადგენს სულს მაღალი ქალის ან ნაცრისფერთვალეა დედაბერის სახით, მაგრამ გრძელი გაშლილი თმით. ზოგჯერ ის შეიძლება მოევიწყოს თეთრში ჩაცმული ლამაზი ქალიშვილის სახით, ზოგჯერ კი - შავ ძონძეებში გამოწყობილი ქალის სახით.

მარას სახე რუსულ თქმულებებში არის მოჩვენებითი. შემორჩენილია მხოლოდ ნაწყვეტები გარკვეული განსახიერებებიდან. ეს არის ნისლი და ბინდური ხილვა,

ადამიანების ბედზე გავლენა, მხოლოდ გარკვეულ დროს გამოჩენა - დღის ან წლის შუადღეს, დღის ან წლის შუალამეს.

მარჟანა ამავე ტიპის სხვა მითიურ არსებებთან ერთად - ჟივოს, ჟელეს, კუპალასთან (კუპალნიცასთან ჰიპოსტატი) - უკავშირდება ძალიან ძველ ენობრივ წარმოდგენებს, დ. ფრეზერის წიგნში „ოქროს ტოტი“ დამუშავებულს. თვით ქალღმერთი - არის უძველესი დიადი დედის ჰიპოსტატი, რომელიც არის სიცოცხლისა და სიკვდილის დიასახლისი.

შემდეგი სახელები ასევე მიეწერება მარენას: მარა, მორე, მორ, მარია, მარუხა, მორა, მორენა, მორანა, მარანა, მარჟანა, მარჟენა, მორიგანი, მორიგუ, მორგანა და ა.შ. დაკავშირებული საწყის ეტიმოლოგიურ მსგავსებასთან ან მეორადი ბგერათა მსგავსებით.

ექვები იმის შესახებ, რომ საფრთხობელა დაკავშირებულია ღვთაების სახელთან, არ ჩნდება: „სახელი მარჟენა წარმოშობილია ძველი სლავური ქალღმერთის მორანას ან მორჟენას სახელიდან, რომელიც ასახიერებს ჩვენს წინაპრებში ზამთარს“ [Bobek 1907: 289]. როგორც შედეგი, მკვლევარები ხშირად სწორედ ასე წერენ, თვლიან ამას საზოგადოდ ცნობილად: Mamuriena, Mamurienda – „სიკვდილის ქალღმერთის სახელი“; Marena, Marmariena, Marmoriena, Marmuriena – „სიკვდილის ქალღმერთის საფრთხობელა“; Mařena – „სიკვდილის ქალღმერთის სახელი“, „სიკვდილი“, „სიკვდილის ქალღმერთის საფრთხობელა რელიგიურ წესებში“ [Зайцева 1975: 241]. სიტყვის ფორმა საერთო ჯამში ჩანს - მარენა/მორენა(ან მარა), ფუძიდან *mar- / mor- .

ვ. მახევი ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ წერდა: „წარმოქმნა ბუნდოვანია. სავარაუდოდ mer - «умереть» (მოკვდომა)-სგან, მაგრამ სუფიქსი უჩვეულოა [Machek 1954: 373]. ეს მეტად ლოგიკური ვარაუდია, დადასტურებული, როგორც ცნობილი მოსაზრებით იმის შესახებ რომ მარენა - სიკვდილის ქალღმერთია, ასევე წესური ზამთრის საფრთხობელას სხვა სახელებით დაკავშირებული *smrt ფუძესთან: ჩებ. და სლოვაკ. Smrt, Smrt', Smrtka, Smrtisko, მორავ. Smrtnice, Smrtonoška, პოლ. Smiercicha, Smierteczka» [СД 3: 180], ჩებ. Smrtholka, Smrtnička, Smrtelnička, Smrtolnka, Smrtelnožka

[Václavík 1959: 201], სილეზიაში Smrtnica [Vyhlídal 1903: 36]. ვ.ნ. ტოპოროვის მიერ ნავარაუდები ვედური და ლათინური პარალელები ამ მხრივ ძალიან ლოგიკურია. სიკვდილის ქალღმერთის „სიკვდილად“ წოდება მეტად დროული და ბუნებრივია, სახელი „მარენა“ («Марена») კი უნდა გავიგოთ, როგორც მისი ძირითადი ფუნქციის აღწერა - „სიკვდილის მომტანი“, „მომაკვდინებელი“ («Умерщвляющая», «Морящая/Моровая»).

უკიდურესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტერმინი «mora/mora» (და მისგან წარმოქმნილი) გავრცელებულია მთელ სლავურ სამყაროში (და უფრო ფართოდ), როგორც ქალური დემონური ღვთაების სახელწოდება, ხალხის მავნებელი ღამით, სისხლის მსმელი და ცოცხალი არსებების მკვლელი: ბულგ. мѹра, სერბ. мора, ჩეხ. mŕa, ლუჟიცკ. móra, პოლ. mara, zmora [Erben 1883: 114], [Потебня 1989: 300]; „წინარესლავ. *mora განუყოფელია გერმ. mara-სგან, ახალგერმ. -ში Mahr „ღამის დახრჩობა, კოშმარი, მოჩვენება“ და ძველირლანდიული რთული სიტყვა mor-rigain (regain „დედოფალი“) - ს პირველი ნაწილისგან, რომელიც აღნიშნავს მდედრობითი სქესის დემონურ არსებას, დაკავშირებულს კლასიკურ ლაიმასთან, რომელიც ლამაზმანად გარდასახული აცდუნებს მამაკაცებს და სვამს მათ სისხლს. საუბარია, შესაბამისად, კელტურ-გერმანულ-სლავურ მითოლოგიურ სახელწოდებაზე“ [Белетич 2013: 159]. ჩვენს წინაშეა, შეიძლება ითქვას, სიკვდილის ქალღმერთის შესახებ წარმოდგენების საწყისი - ყველა დახასიათება ემთხვევა, იმის გამოკლებით, რომ მარა (Mara) - წარმართული პანთეონის ღვთაებაა, მარა (mara) - კი უდაბლესი მითოლოგიის პერსონაჟი.

1.3. მარენას/მარას მოხსენიება ისტორიულ წყაროებში

სიკვდილზე ძალაუფლება არის მარას მხოლოდ ერთ-ერთი თვისება. ჩვენ განგებ ვახსენებთ იან დლუგოში, XV საუკუნის პოლონელი ქრონიკოსი, რადგან ის უკავშირებს მარენას (მისი სახელი მას მოჰყავს „მარჟანა“-ს ფორმით) რომაელ ცერერას. ცერერა კი, არის მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთი.

აქ საინტერესოა პარალელები, რომელიც შეგვიძლია გავავლოთ მარენას სახელის დაკავშირებით ნაყოფიერების. ლუჟიცის სერბების თქმულებათა მიხედვით „შუადღეს კი გაივლის (Kotmarssog`y- ზე) ვიღაც მარა, უვლის, რომ ყველაფრი კარგად იზრდებოდეს, განსაკუთრებით ბალახი: ის დაინახეს მწყემსებმა და მსხვერპლი შეწირეს, თხოვდნენ დახმარებოდათ მათ ფარას: ანთებდნენ ცეცხლს და აწუწებდნენ მიწას რძეს, ადუღებულს ბალახებთან” [Серно-лужицкия народные поверия (из бумаг И.И. Срезневского) 1890]. იან დლუგოში („პოლონეთის ისტორია“ 1455): «Diana lingua eorum Dzewana, et Ceres Marzyana vocatae» - „დიანას მათ ენაზე ეწოდებოდა დზევანა (Dzewana), ცერერას კი - მარჟანა”. შაველევა ნ.ი. აღნიშნავს, რომ დლუგოშის ცნობებში პოლონელი ღმერთების შესახებ „არის ავთენტური მტკიცებულება საერთოსლავურ ღმერთებზე, რომელთა სახელები დაფიქსირებულია ჩეხურ ლეგენდებში, ძველ რუსულ ზღაპრებსა და სიმღერებში, გერმანულ ქრონიკებში”, ამავდროულად მარანას „აქვს აშკარა მსგავსება სიკვდილის განმასახიერებელ და ბოროტ ძალა მორასთან (კიკიმორასთან), მარასთან, მორენასთან, რუსულ თქმულებებში მარია მორევენასთან, რომელიც ნადგურდება გაზაფხულის მოსვლისას” [Шавелева 1995: 85]. სხვა ადგილას დლუგოშს კიდევ ერთხელ მოჰყავს ქალღმერთის სახელი, მაგრამ ამჯერად წესური საფრთხობელას განადგურებასთან დაკავშირებით.

დლუგოშის მაგალითებს მოგვიანებით იმეორებენ მათე მეხოვსკი („პოლონეთის ქრონიკა“ 1521), მარტინ ბელსკი („პოლონეთის ქრონიკა“ 1551/1564 წ.) „ერქვა მას საფრთხობელა მარჟანა, მე ვიტყვოდი, რომ ეს იყო ღმერთი მარსი” კრომერი(1555): „სლავი ხალხი ადიდებდა ცერერას, უწოდებდნენ მას მაჟანას (Marzana)” და მათე სტრიკოვსკი (1582): „სარმატები ცერერას, მიწის ქალღმერთს, აღმონაცენტა

მფარველს, ეძახდნენ მაჟანას” [Marzanki 1869: 93]. პოლონური გამოთქმის გათვალისწინებით, სახელი უნდა ჟღერდეს როგორც „მაჟანა”.

მითოლოგიურ ლექსიკონში მოცემულია ასეთი აღწერა: „მარენა, მარანა, მორენა, მაჟანა, მარჟენა სლავურ მითოლოგიაში ქალღმერთია, დაკავშირებული (...) სიკვდილის განსახიერებასთან (მარა), სეზონური რიტუალებით ბუნების მოკვდომა და აღდგომა, და ასევე რიტუალებით წვიმის გამოწვევა” [Мелетинский 1990].

მნიშვნელოვან როლს ზაფხულის მზედგომის წესებში ასრულებს მარენას გამოსახულების განადგურება; ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ამ გამოსახულების ნაწილები მონაწილეებს შეეძლოთ წაეღოთ თავიანთ ბოსტანში - ნაყოფიერებისთვის.

ცნობილია ასევე, რომ ნოვგოროდულ XII საუკუნის არყისხის სიგელებში ნომრებით: 794(1), 798(2), 849(3) და 955(4), ნახსენებია ვიღაც მარენა.

სიგელში №794 ვიღაც პეტრი (ნავარაუდებია, რომ საუბარია ნოვგოროდის ბოიარინზე პეტრე მიხაილოვიჩზე) თხოვს მარენას გავლენა იქონიოს თავადზე, როდესაც ის დაიწყებს ვაჭრებისთვის რაღაცის მინიჭებას (როგორ და რითი გაურკვეველია... საერთოდ, სიგელი შემორჩენილია ფრაგმენტულად), თანაც ამ კავშირში ახსენებს ჭირს, მოსულს ზამთარში.

სიგელში №798 ვიღაც ზავიდი ითხოვს უცნობი ადრესატისგან, რომ მან უბრძანოს მის შვილთაგან იმას, რომელსც აქვს მარცვალი, მისცეს ხარკი მარენას.

სიგელში №849 პეტრი (შესაძლებელია ზუსტად ის, რომელიც პირველ სიგელში) უბრძანებს ვიღაც დემშს მისცეს ექვსი გრივნი მიკულა კიშკას, მაგრამ „მარენას თანდასწრებით” და არანაირად სხვაგვარად, და აი იარკოს გრივნები არ მისცეს არავითარ შემთხვევაში, როგორც არ უნდა თხოვოს მან.

ყველაზე მეტად საინტერესოა მეოთხე სიგელი, რომელთანაც დაკავშირებულია რიგი სახალისო გაურკვეველობები. საერთო არსი არის ის, რომ ქალი სახელად მიკულა, მარენას მიმართვისას, ამბობს, რომ კოსა დიდი (სავარაუდოდ მილუმას შვილი)

„დაქორწინებულიყოს სნოვიდზე“. ქვემოთ ისევ დაწერილია მარენას სახელი მოფერებითი სუფიქსებით და მოკაზმული, თითქოს დიდი ასოთი მატრიანეში. შემდეგ წერია «пей пизда и секыль» . შეიძლება ვიფიქროთ, რომ მილუმა „აგინებს წერილის ადრესატს“ მაგრამ როდესაც ჩნდება კითხვა: რის გამო ასეთ შემთხვევაში ასე პატივისცემით არის მორთული მარენას სახელი? პასუხი ჩნდება მოულოდნელი მხრიდან: რუსულ ეროტიულ ფოლკლორში არსებობს მსგავსი შეძახილი - «пей + люное обозначение вульвы» (სვი + ვულვას ნებისმიერი მნიშვნელობა). ეს არის ძალიან არქაული იერსახე, დაკავშირებული ფუნდამენტურ ინდოევროპულ მითთან მიწის განაყოფიერების შესახებ, დედა-ნედლი-მიწის, დემეტრას აქტიურ საწყისთან: დეუმთან, ზევსთან, იუპიტერთან და სხვ. მიწა სვამს წვიმას, ჩამოსულს ციდან და იძლევა ნაყოფს. თანამედროვე - «дождь напоил землю»(წვიმამ დააღვინა მიწას) - დაკავშირებულია ამავე იერსახესთან. შემთხვევით არ არის, რომ ზევსი ანაყოფიერებს დანაიას ორქოს წვიმაში. არსებობს ნიკიტა ილიას ძე ტოლსტოის ნაშრომი ბელორუსიის ფოლკლორის შესახებ, სადაც არის გამოთქმა: «пьян, как мать» (მთვრალი, როგორც დედა) და «пьян, как земля» (მთვრალი, როგორც მიწა) (იგულისხმება დედა-ნედლი-მიწის წყლიანობა). ის კი ვულგარულ მთვრალს «пьяный» აკავშირებს გაჟღენთასთან.

ამგვარად, შეძახილი: «пей, мать» (სვი,დედა), «пей, земля» (სვი, მიწავ) და ასევე «пей, п....» - უნდა გავიგოთ, როგორც საკრალურ ძველ, ღრმად პოეტურ მნიშვნელობასთან: «да наполнится, да будет напоено оплодотворяющим началом рождающее лоно!». მილუმის მიერ ეს ციტატა „ურცხვი სიმღერიდან“, რომელიც გაიჟღერებს ქორწილში, და შესაძლოა, მას ამით უნდა თქვას: «Маренка, да пусть же свадьба состоится!». („მარეკნა, შედგეს ქორწილი!“).

მოცემული სიგელებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ნოვგოროდის ბოიარინისგან განსხვავებით, მარენას აქვს ისეთი ძალაუფლება, რომ შეუძლია გავლენა იქონიოს თავადზე. მარენა არის ფულთან დაკავშირებული გარიგების სანდო მოწმე - გარანტი. მარენას უხდიან ხარკს მარცვლით. მარენაზეა დამოკიდებული, შედგება ორი თავისუფალი ნოვგოროდელის ქორწილი თუ არა.

სხვათა შორის, გაქრისტიანებული რუსეთში წარმართობის გამოვლინებას აკავშირებენ მიცვალებულისთვის კუბოში მარცვლის ჩაყრასთან - ეს „მარენას ხარკის“ შესახებ, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო მარცვლეულის გადახდით №798 სიგელში. ეს წესი, როგორც აღნიშნავენ არქეოლოგები, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ნოვგოროდში. აქ თითქოს ერთიანდება ნაყოფიერებისა და სიკვდილის თემები. როგორც ცნობილია, ახალდაქორწინებულებს ქორწილში ასევე აყრიან მარცვალს [Иванов 2010].

ჩვენი აზრით, ზემოთმოყვანილი ცნობები საკმაოდ თვალსაჩინოა და განაპირობებენ ჩვენს ინტერესს ამ ღვთაების მიმართ მისი მრავალფუნქციანობის გამო. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ვისაუბროთ მარენასთან ნაყოფიერების ფუნქციების არსებობაზე, და ასევე, სიკვდილის ღვთაებისთვის დამახასიათებელ ბევრ არატრადიციულ ფუნქციაზე (ქორწილების მომწყობი, ფულით გარიგების გარანტი და სხვ.)

აქ ასევე, აუცილებელია ვახსენოთ, რომ მარენა არის იმ ქალღმერთების და, როგორცაა ჟივა (ჟივანა, დზევანა) და ლელა(ლელი) (სიცოცხლისა და სიყვარული-ზაფხულის ქალღმერთები, შესაბამისად), რომელთან მოაქვთ ნაყოფიერება და კეთილდღეობა.

ზემოთქმულის შეჯამებით: მარას/მარენას სახელი ცნობილია ხალხში დღევანდელ დღესაც (წესური თოჯინა დასავლეთ სლავებთან) და დამტკიცებულია დოკუმენტურად (ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნიდან).

ეს აქრობს ნებისმიერ კითხვას იმასთან დაკავშირებით, ჰყავდა თუ არა სლავებს ასეთი ქალღმერთი. სახელის ფუძის დგინდება მარტივად, მისი ინდოევროპული არქაიკა და ფართო გავრცელება საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ მსგავს სახელს სიკვდილის ქალღმერთი ატარებდა ჯერ კიდევ ძველ დროში ბევრ, თუ არა ყველა ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ხალხებში.

ეს დასტურდება მითოლოგიური პარალელებით. მარას/მარენას შეესაბამება: ლატვიური *Māra, Māršaviņa* [Иванов-Топоров 1974: 200], პრუსიულ-ლიტვიური

სახელი ლაუმე (და საფრთხოვებლა, რომელიც იწვება ზაფხულის მზედგომისას) - *Mōrē, Mōryne* [Разаускас 2002: 348], ბერძ. - ჰომეროსი *Μόρος* „ღამემ შობა საშინელი მორი შავი კერით“ [Климова 2013: 92], სკრ. კალის სახელი-დურგი – *მახამარი* „დიადი ჭირი“ (DM 2009: 12.38), [ДБП. XII.6.128], *მარი* «ჭირი» [Сомадева 1967: 274], ტოქ. A *Mārñkāt (Mār-ñäkte)* „ღმერთი მარა“, ძვ.-ინდ *Māra* „მკვლელი“ – დემონი, რომელიც აცდუნებდა ბუდას [Мелетинский 1990: 337], ირლ. მორიგანი, მახა – ირლანდიური ომის ქალღმერთები. ყველა ეს ფორმა არის ერთი, გამოთქმით განსხვავებული, მაგრამ ერთი არსის მქონე. და როდესაც სახელი ქრებოდა, ან არ იყო საკმარისი, შესაძლებელი იყო მარტივი და ყველასთვის გასაგები სახელით - სიკვდილით დაჯერება, რომელიც დედამიწის ყოველი ხალხისთვის ცნობილია.

1.4. ქალღმერთი მარენას ჰიპოსტასი და იერსახე

ჩვენი კვლევისთვის ქალღმერთი მარენას მეტად საინტერესო ჰიპოსტასთა სისტემატიზირების მცდელობისას, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მათგან მეტად გამოკვეთილია:

- სიკვდილი - გაზაფხული, პატარძალი (შავი პატარძალი ან თეთრი პატარძალი), მაჭანკალი და თანმხლები წესური ატრიბუტიკის გამოვლინება, კერძოდ: ვუალი, ფატა, ყვავილობა, ყვავილები, ყვავილობისა და ჭკნობის პერიოდები, რომელთაც არ აქვს საზღვრები, არ არის ერთიდან მეორეზე გადასვლა;

- სიკვდილი - ნაყოფიერების ქალღმერთი, კეთილი დედა;

- სიკვდილი - ღამე, ხშირად ეს არის არა უზრალოდ სიკვდილის ქალღმერთის „მეფობის“ პერიოდი, არამედ თვით სიკვდილი და ღამე განუყოფელია. ნახევარმთვარე, როგორც ნამგალის სიმბოლო მკის დროისთვის;

- სიკვდილი - ზამთარი. აქ, როგორც წინა პუნქტში, ჩვენ ვხედავთ სიკვდილის პირდაპირ კავშირს ზამთართან, სიცვიესთან, გაყინვასთან, ჭკნობასთან და ბუნების მიძინებასთან;

- სიკვდილი - ძილი. წინა პუნქტში ჩვენ მივუთითეთ სიკვდილისა და ჭკნობის მოვწევის კავშირზე და ბუნების „შემდგომ“ მიძინებაზე, ბუნების „დროებით“ სეზონურ სიკვდილზე, ახალი დაბადებისთვის, აქედან, ანალოგიით, მოდის სიკვდილის პირდაპირი კავშირი ძილთან. სიკვდილი, რაღაც მხრივ არის ძილი, - ჭკნობა ახალი დაბადებისთვის, მსგავსი რწმენები არ არის ახალი და ადგილი აქვს მსოფლიოს ხალხთა ბევრ რელიგიაში და სულიერ ცრურწმენებში. რეინკარნაცია - ბუდიზმში, ინდუიზმსა და რამდენიმე სხვა აღმოსავლურ რელიგიაში: რწმენა იმის, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ სული გადადის ან იბადება თავიდან ახალ სხეულში. სულის განსახიერება ახალ სხეულში არსებული სხეულის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ [Реинкарнация Толковый словарь Кузнецова].

ამ კავშირში საინტერესოა რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგია, რომელსაც აქვს ძილისა და სიკვდილის ცნების გადახმა. მაგალითად, «усопший», «успение» დან - (საეკ.) სიკვდილის (საწყის. მოქმედება ზმნა «успнуть» - დან - «уснуть», «умереть» [Успение по словарю Ушакова]. აქედან არის «усыпальница» - აკლდამა.

«Почивший» ზმნიდან «почивать», «почить» - სამხ. დას. მიძინება, დაძინება, ძილს მიცემა; დასვენება; განსვენება, სიმშვიდეში ყოფნა, უძრობაში, უმოქმედებაში; მოკვდომა, მიცვალება და საფლავში წოლა, სხეულით საუკუნოვანი განსვენება. აქ ასევე დროულია გავიხსენოთ საძილე ოთახის სახელწოდება - «опочивальня» [Почивать по словарю Даля].

ასევე, საინტერესოა, რომ ძილის წინ მიღებულია - «Спокойной ночи» (მშვიდი ღამე) («Покойной ночи» მოძვ.) სურვება, იმავდროულად, როდესაც სიტყვა მკვდარის ერთ-ერთი სინონიმი არის «покойник» (მიცვალებული), «упокойник», «покойный», ზმნიდან «упокоиться», «успокоиться» - მოკვდომა [Успокоиться по словарю Ефремовой];

ცნობილი გამონათქვამის თანახმად: „ძილი - ეს არის პატარა სიკვდილი”.

«Маленькая смерть, раскутавши плечики,
Ходит целует грустных мужчин.»
[Антология Русской поэзии Серебряный век: 575];

- სიკვდილის ცეკვა. სიცოცხლე, როგორც ცეკვა სიკვდილთან და გრძელდება ის ზუსტად იმდენ ხანს, რომდენსაც გრძელდება ცეკვა. ცეკვა, რომელსაც აქვს საზღვარი. შესაძლოა სიმბოლურია თვითონ მოცეკვავე სიკვდილის იერსახე. მსგავს მოტივს, ჩვენ ვხვდებით საკმაოდ ხშირად როგორც პოეტურ, ასევე მხატვრულ ტრადიციებში;

- სიკვდილის ბალი, სიკვდილი, როგორც ნაყოფიერი ქალწული, მოსავლის ამღების იერსახე, მკა, მოსავლის აღება, ბალახისა და ყვავილების მოკრეფა. ნაყოფიერებისა და ჭკნობის მოტივი ერთიანია;

- სიკვდილი - მეზრძოლი, სკანდინავიური ვალკირიების მსგავსი, სლავური სიკვდილის ქალღმერთი მფარველობს მეომრებს.

- სიკვდილი - სამყაროს მბრძანებელი, დედოფალი;
- სიკვდილი - ალქაჯი, ჯადოქარი;
- სიკვდილი - ცისკარი;
- სიკვდილი - ღვთისმშობელი, წმ. პარასკევა.

სანამ შევჩერდებით უფრო დაწვრილებით გამოყოფილ ფენათაგან თითოეულზე, მნიშვნელოვანია ქალღმერთი მარენას გარეგნული სახის გაანალიზება. ამგვარად, აშკარა გახდება, მარენას რა გარეგნული თვისებებით ჩვენ შევძლებთ აპელირებას შემდგომში იერსახეთა განხილვისას, რომელიც გამოვლენილია პოეტი სიმბოლისტების შემოქმედებაში.

სიკვდილის ქალღმერთის გარეგნული იერსახე, რომელსაც აქვს ანარეკლი ბევრ წყაროში, თავად არის დამატებითი ცნობა მარენას შესახებ. ნარატივების შეერთებითა და ცალცალკე შესწავლისას, ახლიდან ხდება ამა თუ იმ დახასიათების გაგება, ხდება გასაგები სიმბოლური ქვეტექსტი, რომელიც იღება ქალღმერთის ნიშნების აღწერისას. არანაირი დეტალი არ ჩანს საბოლოო ჯამში შემთხვევითი, ყველაფერი პოულობს თავის ადგილს და აქვს მიზეზი. მარენას იერსახე იკითხება საღებავების მონასმებში, რომელიც დატანილი აქვს ხალხს წარმოსახვით მოთხრობათა ტილოზე ღამის მფლობელის მოვლენის შესახებ. ქალღმერთის გარეგნობის დამახასიათებელი ნიშნები საშუალებას გვაძლევს ვაწარმოთ ასევე უკუქმედება: კი არ შევკრიბოთ მისი იერსახე ერთში, არამედ ვიცნოთ მათ მიხედვით ის მითიური პერსონაჟები, რომელზეც დროთა განმავლობაში ვრცელდებოდა ეს იერსახე. უდაბლესი მითოლოგიის პერსონაჟებმა, გარკვეული მიზეზების გამო, თითოეულმა მიიღეს თავისი გარკვეული ვიწრო სპეციფიკაცია, რომელიც დევს სიკვდილის ქალღმერთის საერთო ქმედებათა კალაპოტში: ომი, ავადმყოფობები, ბოროტი წინასწარმეტყველებები, ბედის ძაფების რთვა, ცოდვილთა დასჯა, ინიციაციების გაგზავნა, ჯადოქრობა... ორი- სამი თვისება და ქალური მითიური პერსონაჟის საქმიანობის მითითება ხშირად საკმარისია, რომ აღმოვაჩინოთ მისი გენეტიკური

კავშირი მარენასთან, როგორც ლოკალურად, დანაწევრებულ ვარიანტად - პროტოტიპთან.

შეგვირდეთ უფრო დაწვრილებით იმ ნიშნებზე, რომელიც ქმნის სიკვდილის ქალღმერთი მარენას იერსახეს.

მარენას აქვს უპირატესად გარეგნული იერსახის ორი ტიპი - მშვენიერი და საშინელი, ლამაზი ახალგაზრდა ქალწულის (ან გოგონასიც კი) ან საშინელი მახინჯი დედაბერის. არის მესამე იერსახეც - შიშველი ჩონჩხი: „ სიკვდილი მოდის კარებიდან. ხალხი (ჩეხეთში) წარმოიდგენს მას როგორც ჩონჩხს ძვლით ხელში” [Kořák 1899: 194].

მკვლევარები თვლიან, რომ სიკვდილის წარმოდგენა გვამის ან ცელიანი ჩონჩხის სახით არ არის დამახასიათებელი სლავებისთვის და ჩნდება შუა საუკუნეებში საეკლესიო ხატებათა ზეგავლენით: „ყველა სლავისთვის ცნობილია სიკვდილის, როგორც ქალური არსების შესახებ წარმოდგენა, გახვეულის თეთრ სამოსსა ან ქსოვილში, რომელსაც შეესაბამებოდა სიკვდილის სახელწოდება მდედრობით სქესში (Smrtka, kmotricka Smrt) ამის შესახებ, სავარაუდოდ მეტად ძველი წარმოდგენის შესახებ, შუა საუკუნეებიდან ემატებოდა სხვა, რომელიც ჩვენს მიწაზე ფართოვდებოდა ქრისტიანული ხატწერის ზეგავლენით. სიკვდილი მასში გამოჩნდა როგორც ჩონჩხი, როგორც აპოკალიტიკური მხედარი, როგორც მსროლელი- მონარიდე. სიკვდილის ჩონჩხად გამოსახვა დაკავშირებულია ხმალთან, ცელთან ან ქვიშის საათთან, საკმაოდ გავცრელდა ბაროკოს ეპოქაში და ხალხშიც გავრცელდა, გარდა ამისა, სადახლო გამოცემების, სოფლის თეატრალური თამაშების გავლენით ღვთაებრივი სიუჟეტით და სახალხო თეატრით. ჩონჩხი მორწმუნეებისთვის იყო გარყვნილი სხეულის ნათელი გაფრთხილება, რადგან ხალხური წარმოდგენა სიკვდილის, როგორც თეთრებში შემოსილი ქალის შესახებ, იყო ნაკლებად შემაშინებელი, სიმშვიდითა და წონასწორობით სავსე” [Navrátilová 2004: 172].

ხალხი გარკვევით იაზრებს იმის იერსახეთა პირობითობას, რომელსაც არ აქვს გარეგნობა, და ის, რომ სიკვდილს მარტივად შეუძლია ამ ნიღბების შეცვლა. ეს აისახა მემორატებში: „იმისთვის, რომ დედამიწიდან საიქიოში მოსვლა მართალი

ხალხისთვის არ იყოს შემაშინებელი, სიკვდილი ეჩვენებათ მათ ლამაზად („კარგად“, ამბობენ) /.../ ცოდვილებს სიკვდილი ესახებათ საშინელი(მახინჯი) ქალის სახით” [Власова 2013: 587], სლოვენ. „ღმერთმა მას უბრძანა, რომ იმ ხალხისთვის, ვინც იყო ღვთისწიერი, ჩვენებოდა როგორც ანგელოზი /.../ და ბოროტმოქმედებს, როგორც საზიზღარი და საშინელი”[Valjavec 1866: 152], უკრ. «Єк вже зачне конати грішник, то каже: «О, вже генде, ади єка жинка сухоребра з косов, о, єк си закрадає» «Побожному показует ци смерть файнов, молодов дівченков» [Шекерик-Доникив 1912: 260, 261], «Кикимора – это ницыста сила. Ана старой старухой может быть, а может и молодой, это кому как привидицца» [Балова 1999: 77-78], „ჭირი სერბეთში ევლინება როგორც დედაბერი ან ახალგაზრდა ქალი, ჩაცმული თეთრებში და გახვეული თეთრ თავშალში”[Зечевић 1981: 95]. ეს ხსნის იმას, თუ რატომ გახდა საერთოდ შესაძლებელი ბევრი სლავი ხალხისთვის სიკვდილის, როგორც მშვენიერი ქალწულის, წარმოდგენა, რადგან, მოცემული წარმოდგენის მიხედვით, თუ იცხოვრებ ღვთისწიერად, სიკვდილი არ იქნება განრისხებული, რაც ნიშნავს, რომ საშიში არაფერია, ის გახდება სიზმარი, მშვენიერი გადასვლა უკეთეს სამყაროში. სიკვდილის ასეთი აღქმა, როგორც სამართლიანი მბრძანებელის, საკმაოდ დასაბუთებულია.

და ასე, ჩვენ განვმარტეთ, რომ ძლევით სლავებისთვის სიკვდილი წარმოადგენდა ქალურ არსებას, და ასევე განვსაზღვრეთ მისი მრავალგვარობა: საშინელი დედაბერის სახე, მშვენიერი ქალწულის სახე (ზოგჯერ გოგონასი) და ჩონჩხის სახე, შუასაუკუნოვან ქრისტიანულ წარმოდგენებზე დაფუძნებული, ბოლო კი, ჩვენი აზრით, შეუძლებელია გაჩენილიყო არაფრისგან, რის გამოც, ჩვენ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სიკვდილი-ჩონჩხის სახესაც აქვს არანაკლებ ძველი საფუძველი, რაც მყარდება ფოლკლორული მასალით.

ასე: ჩეხ. Kostnice [Čelakovský 1852: 586], პოლ. Gola, Suha, Chuda, Biała, Jasnokościasta [Санникова 1990: 20, 88], Kościa [Mleczko 1902: 49], Kosta, Kostka, Kostyra, Kostucha, Kostusia, Kasia [Biegeleisen 1930: 2], [Blagoeva-Neumanová 1976: 135], [Żak-Bucholc 1882] = «Kostusia go nawiedziła», ანუ „მოკვდომა” [Karłowicz 1906: 443], „სიკვდილს ეძახიან „ძვლიანას” (kostusia), რადგან იმ შედგება ძვლებისგან”.

აღსანიშნავია ასევე სიმაღლე, რომლითაც ხალხური თქმულებები ახასიათებენ მითიურ პერსონაჟებს, დაკავშირებულს მარენასთან. ის არის ადამიანისაზე ოდნავ უფრო მაღალი, რაშიც სიმბოლურად წარმოდგენილია შეხსენება მისი ძალაუფლების ადამიანებზე, უმაღლესი არსება ქალღმერთის დომინირება მოკვდავთა ბედზე. მაგრამ ტრადიციის ამავე მიმდევართათვის გასაგებია, რომ ქალღმერთისთვის, რომელიც აღწევს ყველგან, ასეთი პირობითობა, როგორც სიმაღლე, უმნიშვნელოა. ის მარტივად ცვლის მას, თუ ამის აუცილებლობა ჩნდება: სლოვინცების წარმოდგენით სიკვდილი „შეიძლება წამში გახდეს იმდენად დიდი, რომ მიწვდეს თავით ცას, და იმდენად მცირე, როგორც ყველაზე პატარა ბავშვი ან ბატკანი” [Valjavec 1866: 152]. უკრაინულ ზღაპარში სიკვდილი ეუბნება ადამიანს იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა მის სახლში: «Я ввійшла через діру, де ключ у замок кладуть» [Зинчук 2006: № 65]; ხორვატიული ლეგენდების მიხედვით, ღამის დემონ-ვამპირი mora (morina) „შესაძლოა გადაიქცეს ბუზად, და შეიძლება, თუ დასჭირდება, იყოს ხარზე ძლიერი, აქლემზე დიდი. მას შეუძლია ასევე შემოვიდეს კარის კლიტულიდან” [Jardas 1957: 105]. სელეზური ბესკიდების მცხოვრებლებს სიკვდილი ესახებოდა, როგორც „ქალი თეთრ თავშალში, მაგრამ ერთ წუთში (ის) იწყებდა სწრაფად ზრდას, და მისი თავი მაღლდებოდა ფიჭვებზე” [Kowalska-Lewicka 1986: 26].

ძალიან საინტერესო დეტალია, როგორც სიმაღლე, პერსონაჟებში, რომელიც საშუალებას იძლევა ვისაუბროთ მარენას ისეთი განსახიერების არსებობაზე, როგორც არის ზამთრის ქალღმერთი: «Зима – це стара велика й груба баба» [Килимник 1994: 255]. და სრულიად უნიკალური არის პერსონიფიცირებული მასლენიცას გარეგნობის აღწერა, რომელიც რუსი ხალხისთვის ცნობილია როგორც მარენა-მარჟანა-მაჟენა: «Уж ты, гостья наша, Масленица... Тоненька, высоконька» [Зернова 1932: 19], «сука-масленица, тонка, висока, поджара, на катушку прибежала» [Подюков 2004: 39]. აღწერა ტიპურია, ქალღმერთის თხელი ტანის წარმოდგენების შენარჩუნებით.

თავისი პროტოტიპის არსებულ თვისებას ინარჩუნებენ სხვა „მარენას ტიპის” მითიური პერსონაჟებიც. დემონი-მორა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს

ქალღმერთის არქაული სახელი-წინარესახე, იშვიათად აღწერილია ადამიანური (და საერთოდ რამე) სახით, მაგრამ მასშიც ჩვენ ვხედავთ თვისებას, რომელსაც ვეძებთ: «Спатыкаетца яму наўстречу вялізная жаншцизна, ўся белая, с хустачкай ў руцэ. /.../ Мужик и дагадаўся, што гэта Мара» [Ляцкiй 1892: 35]. პოლონური მონაცემების მიხედვით, ადამიანების მხრჩობელ *zmora*- ს აქვს ჩვეული სახის ნიშნები: «Wygląda ona chuda, blada, wysoka» [Kolberg 1894: 68]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მითიური არსებების აქ კარგ აღნაგობაზე (*składne*) მითითება, სიმალლისა და სიგამხდრის მიუხედავად. დემონი-სტრიგა - «to jest kobieta wysokiego wzrostu, chuda, wybladła, oczy wpadnięte» [Gołombiowski 1830: 156].

მარენას სახეების ვარიანტები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ისინი ერწყმის ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ ვის ევლინება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავეთანხმოთ იმას, რომ ხალხისთვის მისი ნებისმიერი სახე ექვივალენტური იყო, მათგან ერთ-ერთისთვის პრიორიტეტის მინიჭების გარეშე. სიკვდილის სამი სახიდან ყოველი ძალიან სიმბოლური და მისტიურობით განპირობებულია. ის, თუ როგორი სახით მოგვევლინება, მეტყველებს ბევრ რამეზე.

სიკვდილის ღვთაების გარეგნობის დეტალური გარჩევისას სლავური წყაროების მიხედვით (პარალელების გავლებით), აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. არცერთი, მარენას სახის აქ აღწერილი თვისებებიდან, არ არის არც ძირითადი, არც დომინანტი (იმ თვისებებზე ხომ ზედმეტია საუბარი, რომელიც ერთეულ შემთხვევებში გვხვდება). მისი იერსახის და შემოსვის ყველა გასარჩევი თავისებურება დამახასიათებელია ღვთაების მხოლოდ განცალკევებული ფორმებისთვის, მისი ის ასპექტები, რომელიც აღიქმება მარენას ქმედებისა და მფარველობის სფეროებით, (ამავე ასპექტებით იხსნება მისი თვისებები). ისინი საკმაოდ არის სიკვდილის ქალღმერთის ზოგ გამოვლინებაში, და ზოგში კი შესაძლოა საერთოდ არ იყოს. ღვთაების ჰიპოსტასიდან ყოველს აქვს თვისებათა კანონიკური ნაკრები, მაგრამ არ არის ერთიანი წესი, გამოყენებული მარენასთვის, როგორც ასეთი.

1.5. შავი და თეთრი ფერი მარენას იერსახეში

შავი ქალბატონის ან ქალის თეთრებში სახეები ევროპულ ტრადიციაში, დასავლეთ სლავების ჩათვლით (ჩეხ. *bílá a černá paní*), არის სიკვდილის მაუწყებელი და ამ თვისებას იღებენ სიკვდილის ქალღმერთისგან. მათ არ აქვთ ცელი, მაგრამ უნარჩუნდებით მომაკვდინებელი სიფითრე, სიგამხდრე, სიმაღლე და დამამახსოვრებელი მონოტონური სამოსელი - თეთრი ან შავი. ანუ ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია სიკვდილის გარეგნული სახისთვის.

რუსულ თქმულებებში „თეთრი ქალი თეთრ სუდარაში ევლინება იმას ოჯახიდან, ვინც მალე მოკვდება“ [Власова 2001: 36], პოლონური ისტორიის თანახმად, „რამდენიმე ადამიანი მიენკოვა-ოვინსკთან ბანაობდნენ ვარსში. უცებ ერთ-ერთ კაცს მოევიწყა ქალი, ჩაცმული თეთრებში (*niewiasta biała ubrana*), მასზე თავის დაქნევით. შემინებული, ის წამოხტა წყლიდან და მოუყვა ხილვის შესახებ ამხანაგებს. მალე ეს ადამიანი მოკვდა, და მისი სიკვდილი მიაწერეს თეთრ ფიგურას“ [Knoop 1894: 731], „პრადის მოხუცთა თავშესაფარში ჩნდება თეთრი პანი შავ ხელთათმანებში (*bílá paní v černých rukavicích*) ყოველთვის, როდესაც ვინმე უნდა მოკვდეს. ამიტომ ადამიანს, ლოგინად ჩაწოლილს მძიმე დაავადებით, ეშინია საკუთარი სახლის დატოვება, რომ არ შეხვდეს თეთრ პანის“ [Grohmann 2010: № 28].

მოცემული მითური პერსონაჟის შესახებ ცნობების გაანალიზებისას მ. ვლასოვა ასკვნის : „ მაღალი თეთრი ქალის სახე, როგორც ჩანს, სიკვდილისა და ბედისწერის პერსონიფიკაციებს აერთიანებს თეთრი მერყევი ფიგურის სახით, რომელიც არის სასიკვდილო სამოსში გამოწყობილი მიცვალებულის მსგავსი“ [Власова 2001: 37].

ი.ვ. გრომანი თავის მტკიცებულებებში უფრო შორს წავიდა: „ჩეხეთში საზოგადო არის თქმულება სიკვდილის შესახებ. ევლინება ის თეთრებში ჩაცმული, შავი თათმანებით, ზოგჯერ შავი ქუდით თეთრი ბუმბულით. ეს არის ძველი წარმართული სიკვდილის ქალღმერთი. /.../ ჩეხებმა მას უწოდეს მორანა“ [Grohmann 2009: 53].

ხალხურ თქმულებებში საკმაოდ ხშირია მითითებები ქალღმერთის უჩვეულო კანის ფერის შესახებ. გაურკვეველია, როგორ შევავასოთ ტექსტები, სადაც მასზე არ არის საუბარი - როგორც მითითება იმის შესახებ, რომ მას შეუძლია მოველინოს ადამიანის მსგავსი სახით, ან უნდა ჩავთვალოთ ეს ტექსტის დეფექტად (ტრადიციის დარღვევად)? ბნელი ქალღმერთი, როგორც სხვა სამყაროსეული არსება, იდეაში, უნდა განსხვავდებოდეს ადამიანისგან რაიმე დეტალით მაინც, რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება - მაგალითად, ტანის ფერით. ღია ნაწილები - თავი და კისერი, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სტუმრის ეს განსხვავება და დავასკვნათ მოვლინების იმპლემენტური წარმოშობის შესახებ. და შემდგომ შევშინდეთ ან აღვფრთოვანდეთ.

ძალიან ხშირად ქალღმერთის გარეგნობის აღწერაში ფიგურირებს ორი კონტრასტული ფერი - შავი და თეთრი, რაც შეეხება ასევე მის სამოსს. ორი პოლარული ფერი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, სიკვდილის სახეში აღმოჩნდება სინონიმური, ერთისა და იმავესთვის ხაზის გამავლებელი. ღვთაების ამბივალენტური ბუნება არ იძლევა მათთვის განსხვავებას, რაც ვრცელდება მისი მფარველობის სფეროებზეც, ასევე, ხანდახან, კონტრასტულზე.

შავ ფერთან მარჩიელობა არ გვჭირდება: სიკვდილის მბრძანებელს მოაქვს ბოროტება და ავადმყოფობები, და აქ შავი ფერის სიმბოლიკა საკმაოდ გამჭვირვალეა. და აი ქალღმერთის თეთრი ფერით განათებული კანი შეიძლება განიმარტოს ორნაირად: ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ღვთაებრივი ფერი, იმპლემენტური სიწმინდის ფერი, რაც ზუსტად შეესაბამება მარენას საკრალურ სტატუსს. თეთრ სამოსთან ერთად თეთრი სახე და ხელები ქმნიან სტუმრის არაამპლემენტური დიდებულების ერთიან სურათს. მაგრამ არსებობს მეორე მხარეც: მისი კანის თეთრი ფერი - არის გვამური სიფითრე, რადგან ის არის მკვდრების არსი, სიკვდილის ცოცხალი განსახიერება. იერსახე შეიძლება მკვეთრად იჩრდილებოდეს ქალღმერთის სამოსით, რომელსაც მისი კანის ფერის საწინააღმდეგო ფერი გააჩნია.

იმპლემენტური სტუმრის უჩვეულო ფერი გამოკვეთილია შემდეგი შედარებით: „სანდომირულ ბერიკებს სწამდათ, რომ სიკვდილი თეთრია, როგორც თოვლი, და

დადის ჩაცმული, როგორც ნემისმიერი სხვა ქალი” [Máchal 1891: 85]; სიურეალისტური სიკვდილი (*kobiéta bardzo wysoka*), სამრეკლოდან ჩამოსული, „ჰქონდა ხელები ძალიან გრძელი და თეთრი, როგორც თოვლი” (Mátyás 1894: 111). თოვლთან შედარებას აქვს თავისებური, თუმცა ლოგიკური გაგრძელება ზამთრის ქალღმერთის სახეში: უკრ. «Зима – це стара велика й груба баба. В неї кров біла, як маслянка, хоч на обличчі вона й рум'яна» [Килимник 1994: 255]. ჩეხურ სიმღერებში, რომელის სრულდება სოფლიდან მარენა-სიკვდილის საფრთხობელას გამოტანისას, ქალღმერთის თეთრი კანი როგორც წესი აღინიშნება არაპირდაპირ - პირის დაბანით, რომლითაც ის არის დაკავებული და, შესაძლოა, ერთ შემთხვევაში პირდაპირი ხსენებით: «Smertičko bílá, // kdes tak dlouho byla? // U studánky, u dudánky // nohy, ruce myla, // abych byla bílá» [Heroldová 1971: 227]. სლოვენებისთვის ცნობილია არსება Beva „თეთრი” – ქალი „მახინჯი თეთრი სახით”; შესაძლოა, ეს არის ევფემიზმი, რომელიც აღნიშნავს სიკვდილს, რომლის შესახებ მიცვალებულთან ორჭოფად ამბობენ «K bo přšla ta béva, bo pa vse zdévano» – „რომ მოსულიყო „თეთრი”, საქმე დასრულდებოდა”, [Cvetek 2005: 188].

სახის თეთრი ფერი საკმაოდ ხშირად ფასდება როგორც სიფითრე. ქ. კუპიანსკის მიდამოებში გამოჩენილი წმ. პარასკევა გამოიყურებოდა როგორც „ ქალიშვილი გამხდარი, ფერმკრთალი და გახეულებში” [Иванов 1907: 16]. პოლონური მონაცემების მიხედვით, ადამიანების მხრჩობელი ზამორა (*zmora*) არის გამხდარი, მაღალი და ფერმკრთალი [Kolberg 1874: 68]; სტრიგა - «to jest kobieta wysokiego wzrostu, chuda, wybladła» [Gołębowski 1830: 156]. ქოლერას აღწერენ როგორც „ვიღაც ფერმკრთალ, გამხდარ, გაწეწილ გომბიოს” [Podberski 1880: 27]. ჭირი გამოჩნდა «w postaci bladój, wychudłój kobiety» [Kolberg 1876: 135].

სიკვდილის ქალღმერთის ასეთი იერსახე მოხვდა ფრაზეოლოგიზმებში და ჯამში გახდა მაგალითი, რომელსაც ადარებენ: უკრ. «Блідний, як смерть» [Плавюк 1994: 311], «Білий як смерть», «Побілів як смерть» [Гузій 2007: 141], ჩეხ. «(je) bledý jako smrt» [Filipec 2001: 389]. ადარებენ ასევე გამოთქმას ფერმკრთალი ადამიანის შესახებ: პოლ. *blady jak zmora* [Kolberg 1874: 74], კაშუბ. *To luže na fši muvo mara, o blado mara*

[Санникова 1990: 164]. ასევე საინტერესოა აღვნიშნოთ პოლონური ფრაზეოლოგიზმი: «Wygląda jak czarna niedziela», მიმართვა ადამიანს, ან სახის მუქი ფერით ან... მომაკვდინებლად ფერმკრთალს [Kolberg 1882: 11]. საუბარია „თეთრ კვირაზე” – შუამარხვის კვირაზე, რომელიც სხვაგვარად წოდებულია როგორც „შავი” და „მომაკვდინებელი”, რადგან ამ დღეს ანადგურებენ სიკვდილი-მარჯანას საფრთხობელას.

1.6. სიკვდილის ქალღმერთის იერსახის დეტალები (წარმოდგენა სახის, თვალების, თმების შესახებ)

ჩვენი კვლევისთვის უკიდურესად საინტერესოა სიკვდილის ღვთაების დაფარული სახის შესახებ ხშირი აღნიშვნები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, დამახასიათებელი მისი არსისთვის. ის არ აძლევს საშუალებას მოკვდავებს ნახონ მისი სახე, არ აძლევს საშუალებას „იციონ“ ის, მისცეს საბაზი შეადარონ ის რამე ნაცნობს და ამით ქალღმერთი გახდეს მეტად გასაგები და ნაკლებად შემამინებელი.

მარენა-სიკვდილს აქვს „ვუალის“ ქვეში დასამალი: სახე-ქალა, მძვინვარე გამოხედვა, საშინელი გაღვარდლული სახე. ან, როგორც ვხედავთ ბევრ მაგალითში, აუხსნელად ლამაზი, თვალისმომჭრელი თავისი არამიწიერი სითეთრით სახე. ის რჩება ერთადერთი, შეუცნობელი. მისი სახე, დაფარული საბურავით - არის არა მხოლოდ სიმბოლო, რომელსაც გლოვის ქალღმერთი მუდამ ატარებს: „მართლმადიდებლებს მტირალი (მიცლალეზულის გამო) ქალი როგორც წესი იხვევს სახესა და თავს თავშალში“ [Тенишев 2008: Т. 5/ Ч. 4: 100], და არსიც ცალსახა მინიშნებაა დაფარული სიმბოლიკით - სიბნელის, ღამის, ტყუილის (საბურავი=ნიღაბი). პოლონურ თქმულებაში ხალხი ხედავს სამრეკლოდან ჩამოსულ სიკვდილს – მაღალ ქალს პერანგში, ამავდროულად „მისი სახის დანახვა არ შეიძლება იმიტომ რომ ის დაფარულია თმებით“ [Mátyás 1894: 111], სიკვდილი „იღებს ქალის იერსახეს /.../ ამავდროულად, ხშირად აქვს დაფარული სახე“ [Lehr 1982: 130]. უკრაინულ ზღაპარში კაცი, რომელიც მიდის ნათლიას მოსაძებნად ახალშობილი შვილისთვის, შეხვდეს Смерть-жінку: უკრ. «Айбо жінці лице завите» [Калин 1955: 167], «а обличчя її не було видно» [Зинчук 2011: № 247]; «Я два раза бачив холеру. /.../ аж сидить у рові пані гарна, повновидна, але сива, в чорній сукні і лице завішане, одягнена, як черниця» [Щербаківський 1991: 542]. ქალღმერთის მეტად დაფარული სახე ძალიან დაწვრილებით არის აღწერილი ტექსტებში, რომელიც მიძღვნილი გადაცემულებისთვის - გადაცემულებს ასეთი მასკარადი უხდებოდა, საშუალებას აძლევდა მინიმალური ძალისხმევით გარდასახულიყვნენ სიკვდილად: „რატაიებში

ბეხინთან ახლოს ბარბარეები თავზე იკრავდნენ თეთრ თავშალს, სახეს კი იფარავდნენ ვუალით” [Богатырев 2007: 106], „ბერნატრიცებში/.../ „ბარბორკებად” დადიოდა ორი ან სამი გოგონა 10-15 წლის. მათ ეცვათ თეთრი სამოსი, და სახეზე ჰქონდათ ვუალი./.../ შემოვა 3 ან 4, ან 6 ბარბორკა. ეს არიან ზრდასრული ქალიშვილები თეთრ სამოსში. /.../ სახის წინ დავარცხნილი თმები, რომ ვერავინ ვერ იცნოს” [Zibrt 1893: 444-445, 446], „მილეტიცებში ველვარებთან ახლოს პირველი პეტრუხა /.../ სახეს ფარავს გამჭვირვალე ნაჭრით” [Rozum 1910: 386], სლოვაკეთში (ცერების) ლუციას აღნიშნავდა „ქალი, რომელსაც სახეზე ჰქონდა საცერი, თვითონ კი მთლიანად იყო შეხვეული ზეწარში” [Hont 1988: 510], „თავზე ლუციას ჰქონდა წაკრული თეთრი თავშალი, გადმოწეული სახეზე, რომ ვერ ეცნოთ ის” [Horvátová 1986: 45], ჩეხური „ მატჩკა. შენიღბული თეთრში ქალის ფიგურა ადვენტურის მსვლელებიდან დაფარული ან ფქვილწასმული სახით. დადიოდა წმ. მიკულაშის დღის წინა დღეს, ნამგალით ხელში, როგორც ღვთისმშობელი ან სიკვდილი” [Lidová kultura 2007: 544]. ასეთ დეტალს აქვს უძველესი ტრადიცია ხატწერაში. ქტონიკური დემეტრა-დედაკაცის ოლბიურ გამოსახულებებზე ქალღმერთის სახე დაფარულია ლაბადის ქვეშ [Русяева 1979: 61].

სიკვდილის ქალღმერთის თვალები, უეჭველად - მისი სახის ყველაზე მკვეთრი ნაქვითია. ხანდახან მხოლოდ ისინი არის მის სახეზე. სლოვენები სიკვდილის შესახებ ამბობდნენ: „ გამხდარია იმდენად, რომ სახეზე მხოლოდ კბილები და თვალებია, დანარჩენი კი - მხოლოდ ცარიელი ძვალი და ტყავი” [Valjavec 1930: 152]. დრეჟნიცა-კობარიდზე (სლოვენია) სახლებში დადიან გამოწყობილი, რომელთა შორის „სიკვდილი”, „ჩაცმული ყველაფერ თეთრში. სახეზე მოყრილია ფქვილი, მხოლოდ თვალებია გამოკვეთილი შავად. ხელში ცელი” [Kuret 1970: 56, 67].

ბევრ ტექსტში ჩვენ ვპოულობთ ქალღმერთის თვალების შედარებას ნახშირის ბჟუტვასთან, ბრჭყვინვასთან, ნაპერწკლებთან ან თვით ცეცხლთან. ასეთია უშუალოდ სიკვდილის თვალები: „სამხრეთ ლომკოვშინის მაცხოვრებლების თანახმად, სიკვდილი /.../ ანთებული თვალებით, რომელიც ანათებს მის «білій тварі», როგორც «яри углики» (სლოვაკეთი)” [Гузій 2007: 137]. მითიური პერსონაჟი, რომელსაც

მოაქვს სამყაროში ავადმყოფობები: პოლონეთში „ ხალხი წარმოიდგენს ქოლერას, როგორც ძალიან გამხდარ ქალს მიცვალებულის ქალით, ანთებული თვალებითა და ბასრი კბილებით [Federowski 1889: 301-302].

შესაძლოა, მარენას სახემ, აალებულმა, აღმდგარმა თვით ხვატიდან, გახვეულმა იმყვეყნიური ცეცხლის ნაპერწკლების ქარბუქში, გავლენა იქონია სერბულ სიმღერებში ისეთი პერსონაჟის გაჩენაზე, როგორც არის ცეცხლოვანი მარია, რომელსაც გააჩნია გამოკვეთილი დამსჯელობითი ფუნქცია. მკობის სიმღერაში ის, სხვა მითიურ პერსონაჟებთან ერთად, უნდა სჯიდეს სანუკვარ დღეებში მინდორში მომუშავე ადამიანებს: «Над н(ь)има се три облака вију. // Један облак – Громовит Илија, // Други облак – Огн(ь)ена Марија, // Трећи облак – свети Пантелија. // Проговора свети Пантелија: // «Удри громом, Громовит Илија, // Удри огн(ь)ем, Огн(ь)ена Марија» [Афанасьев 1865-1869: 480]. ჩეხურ თქმულებაში სიკვდილს აქვს დიდი შავი თვალები: «V okně uviděl smrt: bílá ústa, veliké, černé oči» [L-K 1930: 30]. ასევე, ჩეხურ ეზინკას (იაგას), მშვენიერი ქალიშვილის სახის მქონეს, «očí jako trunky» – ანუ აქვს იმდენად მკვეთრი მზერა, როგორც ეკალი [Erben 1865: 28]

ქალღმერთის მზერა შეიძლება იყოს არა მხოლოდ ბოროტი - როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთი ღირსი ხდება ნახოს მარენა მისი მშვენიერი სახით, რაც ნიშნავს, ხედავენ ისინი ქალღმერთის სულ სხვა თვალებს, რომელიც ევლინება ქალწულის სახით. ასე, მომაკვდავი ქალი იყო აღფრთოვანებული სტუმრის სილამაზით, წამოძახილით: «jakie tyz piekne uocka más» [Udziela 1892: 2]. ინდური სიკვდილის ქალღმერთის სახელი კალი: «თვალებით-თითქოს-ლოტუსი», «ის-ვისი-თვალები-ლურჯი-ლოტუსის-მსგავსია» [ДБП. XII.6.13, 6.19].

ადამიანის თმები, და პირველ რიგში ქალის, ასახავენ სტატუსს. სიკვდილის ქალღმერთის თმები - მისი მდგომარეობის ანარეკლია, მისი არსებობა სტატუსების შესახებ წარმოდგენებს მიღმა. დაუვარცხნელი, მოუწესრიგებელი თმები, თავისუფლად გაშლილი მხრებზე - სოციუმის საზოგადოებრივი უგულვებლყოფის ნიშანია, ანტისაქციელი, საკუთარი თავის მისგან გარიცხვა, დაბრუნების ან დროებითი ზიარების (ქმედების ფარგლებში) ველურ ბუნებასთან: „ეჩვენო ვინმეს

თმადაუვარცხნელად ან გაწეწილად /.../ ითვლება ძალიან სამარცხვინოდ” [Тенишев 2004: Т. 1, 487].

ასე, უწმინდური ძალის მიმგვანებულად (ქალთევზების, სამოვილების), იქცეოდნენ ალქაჯები, თავიანთი რიტუალების შესრულებით: «ходила доить коров. Косы распустить, шоб не угадали, и ў белой рубашки иде», «Ведьма в ночи косы распустить, гола ходить по улици, зла делаеть», «Бегала ведьма селом ў белой рубашке, волосы распущены», «еде баба, распятляна, на кочерзе» [НДП 2010: 58, 79, 131, 153].

აღსანიშვანია, რომ - ინდური ქალღმერთი კალის თაყვანისმცემელი მისტები: „ის, ვინც სასაფლაოზე შიშველი და თმაგაშლილი გჭკრეტს შენ და შენს მანტრას, და ყოველი მისი წარმოთქმით მოაქვს შენთვის აკანდას ათასი ყვავილი მარცვალით, მახალაკის შესახებ, უეჭველად გახდება დედამიწის მფლობელი” [Карпурадистотра: 15].

გარდა ამისა, გაშლილი თმები - გლოვის ნიშანია (და შესაბამისად, სიკვდილის) სლავურ კულტურაში: „ბულგარელი ქალები უკვე მომაკვდავის აგონიის დროს იშლიდნენ თმას და ასე დადიოდნენ 40 დღე. /.../ იშლიდნენ თმას დაკრძალვაზე უკრაინელი ქალიშვილები და დონის კაზაკი ქალები. ასეთივე სახით დადიოდა /.../ რუსულ ჩრდილოეთში გასათხოვარი ქალიშვილი, რომელიც გლოვობდა მამას” [СД: Т. 4, 423]. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ სიკვდილის ქალღმერთისთვის სამგლოვიაროდ გაშლილი თმები მეტად მართებულია.

სწორედ ასე ის წარდგება ბევრ აღწერაში, რომელიც უშაულოდ მარენას/სიკვდილს უკავშირდება, ასევე მითიურ პერსონაჟებს, მასთან დაკავშირებულს. გრძელი დაუვარცხნელი (რომელსაც ივარცხნის) თმები - დამის კომშარების სულის სახასიათო დეტალია, მარენას პირველსახის: „ტულის გუბერნიის და ოლონეცკის მხარის ცრურწმენითი თქმულებების მიხედვით მარა /.../ თმიანია” [Власова 2001: 333] «Кикимора – это ницыста сила. /.../ Ана уж больно лахмата. Вить паэтому баба кака ницосана идёт, иё кикимора завут» [Балова 1999: 77-78], „კიკიმორას შეიძლება ჰქონდეს გრძელწაწნავიანი შიშველი ქალიშვილის სახე (ციმბ.ში) [Власова 2001: 216], კიკიმორა/ჭაობა: «люди бают, што космата она, страшна, в

болоте живет» [Балова 1999: 26], სლოვენური ტოტომარა გამოიყურება, როგორც „ბებერი გაწეწილი ქალი“ [Kelemina 1930: 113]. გრძელი, გადახლართული თმები არის ქალთევზას საკმაოდ ხშირად მოხსენიებული ნიშანი: ისინი «растрепы и нечесы» [Максимов 1994: 86], „თმები ძალიან გრძელი“, „აღნიშნული კალუგის გუბერნიაში გამონათქვამი „გაიწეწა თმები, როგორც ქალთევზამ“ ფართოდ გავრცელებულია დიდი რუსეთის გუბერნიებში. კოსტრომის გუბერნიაში ქალთევზა გამოდის ნაპირზე გაწეწილი თმებით, ამიტომ დაუვარცხნელ ან შიშველ გომბიოს ან ქალს ეძახიან „ქალთევზას“. მცენური ქალთევზა „გაწეწილი“, ანუ გაშლილი თმით. და ბელორუსი ქალთევზები „დადიან ულამაზოები“, და იქ არის გამონათქვამი «як русаўка разпусьцила валасы» [Зеленин 1995: 177, 184]

გრძელი მოუწესრიგებელი თმები უკეთდება საფრთხობელას, რომელიც განასახიერებს მარენას: „ატარებდნენ ციგაზე მასლენიცას - ქალის ხის გამოსახულებას გაშლილი თმებით და ფერადი ტანსაცმლით“ [Терещенко 1999: Т. 7, 298].

1.7. ერთი ქალღმერთის ორი საპირისპირო, მაგრამ ტოლფასი ჰიპოსტასი: „მშვენიერი ქალწული სრული მკერდით“ - „შემაშინებელი გამხდარი დედაბერი“

სიკვდილს შეუძლია მიიღოს ერთმანეთის საწინააღმდეგო იერსახეები. ის - ხან მშვენიერი ქალწულია სავსე მკერდით, ხან შემაშინებელი გამხდარი დედაბერი. ინდური დევი ზოგ ჰიპოსტასში გამოსახულია როგორც მიმზიდველი ქალი, სქესის გამოკვეთილი ნიშნებით, ეროტიულ ან ცხადად სექსუალურში. ისევ ის, თუმცა სხვა ჰიპოსტასებში - დამაბუნებელი ბებერი გიჟი, რომელიც თითქმის არ განსხვავდება დემონებისგან (და იაგას უკიდურესად მსგავსი). ორი განსხვავებული ჰიპოსტასი, თუმცა იგივე ქალღმერთი. მწყალობელი და დაუნდობელი, დამაჯილდოვებელი და გამანადგურებელი. აღწერილ იაგაში ჩვენ გვაქვს ამ ორი უკიდურესობის აღრევა. მას ხომ შეუძლია იყოს ახალგაზრდა ლამაზმანი: «Вошел Иван-дурак в эту избушку: сидит баба-яга костяная нога. /.../ Старуха брякнулась о землю, сделалась красавицей. Тотчас же собрала на стол, накормила-напоила Ивана-дурака» [Соколовы 1999: № 55].

სიკვდილის ქალღმერთი, განსხვავებული ფორმების მიღებისას, მის მიხედვით „იცვლის“ სხეულსაც. მას შეუძლია მოველინოს ლამაზ და ახალგაზრდა სხეულში, როგორც ჭირის ქალწული ან ქალი თეთრებში, ან მახინჯ და დაბერებულში, როგორც იაგა ან ზამთარი, არაპროპორციულად გრძელ და გამხდარ სხეულში ან მკვრივსა და მძიმეში, სხეულში შესამჩნევი ფიზიკური ანომალიებით.

ამ დეტალებიდან თითოეული საინტერესოა მარენას ხატწერის გამოკვეთისას, რომელიც ჩამოყალიბდა ხალხურ ცნობიერებაში, რადგან არის მისი ზოგიერთი თვისების თვალსაჩინო გამოხატულება. იმ ხშირად უფორმო სამოსის გამო, რომელშიც გახვეული იყო ქალღმერთის სხეული, თვითმხილველებს ყოველთვის არ შეეძლოთ მასზე სწორი წარმოდგენის შექმნა, ჯერდებოდნენ ხილული ნაწილების აღწერას - ხელები, ფეხები, სახე. თუმცა, ბევრ ტექსტს მოჰყავს სიკვდილის ღვთაების სხეულის ისეთი თავისებურებების აღწერა, რომელსაც ვერ დაფარავს ვერანაირი მოფარდაგება.

რიგ მითიურ პერსონაჟებს, მარენას მსგავსს, აქვს გრძელი მკერდი, იმდენად დიდი, რომ საჭიროა მათი გადაგდება ზურგზე : ხორვატიული კუგა (ჭირი) «има велике дојке које носи преко рамена» – „აქვს დიდი მკერდი, რომელიც ზურგზე აქვს გადაგდებული” [СМР 1970: 308], უკრაინულ პარასკევას, რომელიც სჯის მრთველ ქალებს, აქვს «цици такі, же аж си виверла на плечі» [Зубрицький 1900: 34]. ეს უნარი მეტად დამახასიათებელია იაგასთვის, უზარმაზარი მკერდი.

დიდი მკერდის გაკეთებას ცდილობდნენ ყველიერის საფრთხობელასთვის: «Сиськи сделают толстыи, шtbody>

ამავდროულად, ინდური ქალღმერთი კალის მშვენიერი იერსახის აღწერისას, ტექსტები არ იშურებენ მისი მშვენიერი მკერდის ქებას: „მაღალი და სრული მკერდით, [სილამაზით] ჩრდილავენ ლოტუსის კოკორს” [ДБП III.3.42], „ლომზე ამხედრებულ კალიკას, შავებში, სრული და მაღალი ძუძუებით” [КлП 2009: 8.9], და სხვა მისი სახელი: „ლამაზი-მკერდით” [ДБП. XII.6.151], ქალღმერთის მკერდი ხშირად გაშიშვლებულია (როგორც თვითონ ის).

იშვიათია სიკვდილის ქალღმერთის მძიმე სხეულის აღწერა, რაც არ საუბროს მსგავსი ხატურის რაიმე განსაკუთრებულობაზე. მასალების მცირე რაოდენობის მიზეზი, რომლებიც ქალღმერთის ზუსტად ამ ტიპის აღწერას იძლევა, არის ტრადიციის დავიწყება და დანგრევა ისტორიული გარემოებების გამო. ამ აღწერებს, ჩვენი აზრით, მივყავართ ქალღმერთის ნაყოფიერების თემასთან, კერძოდ ნაყოფიერების, მოსავლიანობის მთლიანობაში, რაზეც მიუთითებს სრულმკერდა ქალღმერთები, რისი დამოწმებაც ზევით არის განხილული.

ცნობილია, რომ გადაცმულები, იაგას განსახიერებისას, იმაგრებდნენ ბალიშს მუცელზე: «Баба как быдта пузатая!» [НТКП 2002: Т. 1, 46].

დემონური ძაგის მრთველი, რომელიც ეხმარება ზღაპრის გმირს, აღწერილია როგორც მსუქანი: «Маточка була широка, як лавиця, губи в неї, як із постола, зуби в неї широкі, як долота», რასაც ის განმარტავს: «То все від прядіння: губами слиню нитку, зубами витягаю із клоччя паздір'я, а товста я від сидіння» [КК 1989: 237, 238]. მსგავსი აღწერა მატერიალიზდა ყველიერის საფრთხოხობელაში. ბავშვები, ღუმელიდან შემცქერი, თუ როგორ აწყობენ მას, ამბობენ: „მსუქანი გამოდგა მასლიანიცა! ბლინებით ჩასკდა!“ [Шереметева 1936: 108].

მეტად ჩვეულია სიკვდილის წარმოდგენა, როგორც გამხდარი, სასიკვდილოდ დაძაბუნებული ქალის. ზუსტად ასეთად, გამოფიტულად, გამხდრად, „ძვალსა და ტყავად“. აღწერილია უშუალოდ სიკვდილი:

უკრაინა: «Стара жонка, суха, бѣла, уся в чорном», «Смэрт – цэ ж вона с косою така сухэнька, нэма ничого на нэи, [одни] косьти» [ПОС 2008: 339], «Смерть представляють собі в виді високої, худої жінки з косою, граблями і віником» [Кисілевська 1912: 299], «Та жінка якась дивна: висока, як трепета, худа – кістки у ній гримлять, чорна, очі запалі до голови» [Линтур 1984: № 83].

რუსეთი: „მან გაიხედა და დაინახა, რომ მისგან ახლოს დგას მაღალი ქალი, გამხდარი, სულ თეთრებში და მხოლოდ თავმალი აქვს შავი. /.../ ერთ კვირაში ბეზიას გარდაეცვალა ახალგაზრდა შვილი“ [ББК 2009: № 755], „მოთხოვრებში სიცოცხლისა და სიკვდილის კამათის შესახებ“ ის საუბრობს საკუთარ თავზე: „მე მოვედი შენთან გამხდარი და ცუდი“ [Дмитриева 1964: 187].

ბელორუსი: «Сьмерць – баба худая, велика, з великими зубами» (Federowski 1, № 362), «Особа такая страшная худая, бледная, тая смэртъ» (ПОС, С. 338), «Смерть – это дзеўка ў белым платти, бела женщчына, длинна, худая, пальцы халодны, длинны», «Смерть ў биллом платъи, висока, худая, скачет по хати», «Длинная, тоненька-тоненька такая и в усем белому» [Виноградова 2001: 15].

ჩეხეთი: smrtnice, smrtholka „ეჩვენებოდა, როგორც ძალიან გამხდარი ქალი, გახვეული თეთრ საბურავში, გრძელი კიდურებით“ [Blagoeva-Neumanová 1976: 136].

სლოვაკეთი: „მაღალი ძვლიანი ქალი, დიდი კბილებით” [Blagoeva-Neumanová 1976: 133], ზამთრის წესების დროს სიკვდილს (Smrtka) ასახიერებდა „მაღალი გამხდარი ყმაწვილი თეთრ საბურავში, სახეწასმული, ბასრკბილა ძვლით” [Швед 2010: 58].

სლოვენია: „სიკვდილი - დიდი, გამხდარი, მაღალი, ხანდახან სამი-ოთხი საჟენის სიგრძის და იმდენად თხელი, რომ ადამიანი შეძლებდა მის დაჩეხვას ცალი ხელით. /.../ გამხდარი იმდენად, რომ სახეზე მხოლოდ კბილები და თვალებია, დანარჩენი კი ცარიელი ძვალი და ტყავია”, „სიკვდილი - მაღალი, თხელი, აქვს თეთრი სამოსი, და ასევე გამხდარი, რომ თუ ადამიანი მას დღისით დაინახავდა, შეეშინდებოდა, ღამით დანახვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია” [Valjavec 1868: 152, 153], „სლოვენიურ წარმოდგენებში სიკვდილი /.../ ეჩვენება, როგორც დიდი გამხდარი ქალი” [Kropej 2008: 298].

პოლონეთი: «Wysoka, chuda, straszna, w białym takim ubraniu», «Jakaś taka: chuda, straszna, czarna» [Adamowski 1998: 259], «Śmierć, estto kobieta chuda, bardzo wysoka i w białem odzieniu» [Udziela 1886: 39], ბრუკოვსკის მიდამოებში მცხოვრებთა წარმოდგენით, სიკვდილი წარდგება «w postaci kobiety chudej a smukłej (გამხდრად და თხლად)» [Biegeleisen 1930: 2], სიკვდილის შესახებ ფიქრობენ, როგორც «istocie odrębnej, niby jakiejś wysokiej, chudej postaci niewieściej w białej płachcie» [Jaworczak 1936: 95-96].

სერბეთი: «У путу га спете крупна, сува (худая) жена, која га упита што је тако потиштен», «Ова мршава (тошца) жена била је смрт» [Петровић 2000: 85].

ხორვატია: მჭედელი გზად შეხვდა «suvu ženu (გამხდარ ქალს) – Smrt» [Rožić 1908: 99], მამაკაცს, რომელმაც გადაწყვიტა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა, ხვდება სიკვდილი: «jedna strašna žuderina, odugačka a suha kao bakalar» – „ერთი საშინელი გოლიათი ქალი, გრძელი და მშრალი, როგორც ვირთევზა”

და ბოლოს, გამხდრად აღწერილია რუსული მასლენიცაც, მარენას/მარჟანას შესაბამისი: «Уж ты, гостья наша, Масленица... Тоненька, высоконька» [Обрядовая поэзия 1997: № 1732].

ჩვენ ასევე შეგვიძლია გავავლოთ ბევრი პარალელი ინდურ სიკვდილის ქალღმერთთან. ასე, კალის სახელები აღწერენ მის სიგამხდრეს გადააზრებული სახით: „თხელი“, „[ის-ვის]-წელს-შეიძლება-შემოავლო-ხელის გული“, „ტანწერწეტა“ [ДБП. XII. 6.71, 6.125].

სიკვდილის უფრო რადიკალური იერსახეა - ადამიანის ჩონჩხი მოსაცმელით ან მის გარეში. ეს ისეთივე სიგამხდრეა, მაგრამ უკიდურესობამდე მიყვანილი, და ეს იგივე გვამია, მაგრამ გახრწნის ბოლო სტადიაში. თუმცა, რადგან ამ მდგომარეობებს შორის არის განსხვავება, ჩვენ გავარჩევთ ამ აღწერებს.

სიკვდილი მკვდარია, ამიტომ ის უნდა გამოიყურებოდეს, როგორც მიცვალებული. ღვთაების მიღებული იერსახე გაცოცხლებული ძვლების გროვის მრავლისმეტყველია ამ მხრივ. „აპოკალიფსის“ (XV ს.) ხატზე უსპენის მოსკოვის კრემლის ტაძრიდან სიკვდილი - „თეთრი მიცვალებული ან ჩონჩხი, დაფარული ტყავით“ [Майзульс 2012: 156].

ძირითადად სიკვდილის ტანს არ ეძახიან პირდაპირ ჩონჩხს, აღწერითი დასახელებებით დაკმარებული: ბელ. «Смерць с касою, страшна, без цела, тыл(к)о косьци» [Federowski 1897-1902: T. 1, № 365], «Така сухэнька Смэртъ, нэма на нэи тела, одни косьти» [Виноградова 2016: 4], „სიკვდილი „შედგება“ მხოლოდ ძვლებისგან, სხეულის გარეშე“ [Романов 1911: 50], «Śmierć wyobrażają sobie w postaci kobiety o kościach i skórze tylko» [Schneider 1907: 204], სიკვდილს წარმოიდგენენ «баби з косоў, мітлоў, з граблямі і лопатоў – без мньіса, лиш кости» სახით [Михайлецький 1912: 302].

გამხდარი, გამოწეული ნეკნებით სიკვდილი-ჩონჩხი, - როგორც შემდგომ დავინახავთ, არ არის ქალღმერთის ხალხში ყველაზე გავრცელებული სახე, ის, ვინც სიცოცხლეს ართმევს, მაგრამ უეჭველად ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი, დასამახსოვრებელი და საშინელი. მისი დანახვა მეტად შესაძლებელია ლაფანზე,

წიგნის მინიატურებში, კათოლიკური ტაძრების ქვის კვეთულზე, - წარმართობისა და ქრისტიანობის სიმბიოზით ქმნილებებში. ეკლესიამ გადმოიღო მარენას სახე ხალხისგან და მისი თავისეული ადაპტირება მოახდინა, მაგრამ პროცესს ჰქონდა საწინააღმდეგო მიმართულება. ხალხი, სიკვდილის ასეთი აღწერის შეხვედრისას, იქმნიდა თვალსაჩინო წარმოდგენას ქალღმერთის სახის ხატწერითი თავისებურებების შესახებ, ამავდროულად რწმუნდებოდა ზეპირსიტყვაობის სიზუსტეში.

სილამაზე/სიმახინჯე არის ორი დიამეტრულად განსხვავებული კატეგორია, რომელშიც შეიძლება იყოს აღწერილი სიკვდილის სახე, ასახავს, საერთო ჯამში, მისი, როგორც არსების შესახებ წარმოდგენას, ფორმებს მიღმა არსებულს, რომელიც მარტივად იცვლის მათ. ასე, ნენცების თქმულებების მიხედვით, სი-ნგა (ცინგა) არის მძინარე „ როგორც ლამაზი ახალგაზრდა ქალი(კაცებს) /.../ და ბოლოს - როგორც მახინჯი დედაბერი, სამთითა, დაუხურავი პირით” [Головнев 1995: 421]. ოპოზიციები, რომელთანაც დაკავშირებულია სიკვდილის სახე - სილამაზე / სიმახინჯე, ახალგაზრდობა / სიბერე, პროპორციული / არაპროპორციული სხეული, ადამიანის სხეული / ჩონჩხი, - აჩვენებს არა სახეების ვარიანტულობას, არამედ ადამიანების დამოკიდებულებას სტუმრის მიმართ. ის შეიძლება იყოს არასასურველი, დაუპატიჟებელი და მაშინ მისგან უბედურებასა და მწუხარებას ელიან, მაგრამ მას ასევე შეიძლება ეპატიჟებოდნენ, ელოდონ, როგორც ტანჯვისგან გათავისუფლება და ამ შემთხვევაში ხალხი არ იშურებს მოფერებით მიმართვებს.

გარეგნულ მხარეში ორი საპირისპიროს შეერთება დამახასიათებელია ინდური კალისტვის: „რას ედრება შენი ძლევა მოსილება? და სად [შეიძლება ვიპოვოთ] კიდევ ერთი ასეთი სილამაზე, მომხიბვლელი და მტრებში თრთოლვის გამომწვევი?”, „თვით მშვენიერი და ყველაზე მრისხანე [ერთდროულად] ჩვენ ქედს ვიხრით” [DM, 4.22, 5.13], „[სამყაროს] შექმნისას ის იღებს კეთილდღეობის სახეს, ნგრევის დროს კი-მრისხანების სახეს” [ДБП. XI.1.84], „ხმლით, სამკბილათი, დისკიანი კომბლით შეიარაღებული, ნიჟარის მტარებელი, შეიარაღებული მშვილდით, ისრებით,

კვერთხითა და შურდულით, (შენ) მრისხანე. //(და ამავე დროს) ნაზი, უფრო ნაზი, ვიდრე ყველა მყიფე ნივთი, და მშვენიერი უმაღლესი დონის” [ДМ. 1. 80-81].

აქცია: *«тотчас обвела их мертвой рукой – и они померли»* [Афанасьев 1957: № 265]. გმირი მისდევს იაგას, მაგრამ ის სთხოვს, რომ მან არ მოკლას და სთავაზობს სანაცვლოდ თავის ჯადოქრულ მომსახურებას: *«Иван-царевич, друг любезный, не губи меня, я твоему коню глаза вплету, он еще будет храбрее и быстрее»*, *«Иван-царевич, друг любезный, не губи меня, я тебя не обману, желаешь так я тебе глаз вплету и ты будешь сильнее и храбрее»* [Гура 1965: № 17]. მაგრამ, ჯადოქრობს ის სხვა რაღაცისთვის, და ყოველ ჯერზე ატყუებს გმირს: პირველ ჯერზე მისი ჯადოქრობისგან კვდება გმირის ცხენი, მეორეჯერ კი - თვითონ გმირი.

- აქცევს ადამიანებს ცხოველებად: *«яженя утащила сынков в чистополье и превратила в кошечек»* [Поморье: № 11], უკრ. *«Тоді Баба Яга зачаровала їх на сім років. Вони мали голубками літати»* [Зинчук 19: № 77], *«То палац оцієї принцеси, яку Баба Яга зробила своїм зайчиком»* [Зинчук 38: № 285]; მისი შვილის მეფეზე გათხოვების მცდელობისას, იაგა აქცევს მის ცოლს პირუტყვად, თავის შვილს კი აძლევს მეფის ცოლის გარეგნობას: *«Мачеха обворотила ее гусынею, а свою большую дочь срядила Ивану-царевичу в жены»* [Афанасьев 1957: № 101], *«она Марфу овернула шчукой и бросила в море»* [Пинеж 1975: № 45]; თავის შვილებს იაგა, როდესაც ეს საჭიროა, აქცევს ხრდალებად. [Зинчук 5: № 54]; სტრიგა, რომელიც ვერ შეძლებს მისი ცოლი-ჯადოქრის მიერ იხვეზად გადაქცეულ გაქცეულთა დაჭერას, აჯადოებს მათ: სლოვაკ. *«Tak ich zakliala, žeby on ostal tri roky vtáčkom a ona sedem rokov kríčkom»* [Wollman 3: № 529]; ისევ ის, როგორც ჩანს, დამნაშავეა ზღაპრის გმირის მეუღლის, ფინისტის ჩიტად გადაქცევაში: *«В меня влюблена одна волшебница-красавица, и она не хочет меня выпустить из своих рук, чтобы я на ней женился, и она меня превратила в Сокола на три года»* [Ковалев: № 13]; ქალს, რომელმაც ინცესტის შედეგად გააჩინა შვილი-ბატკანი, იაგა სჯის: *«Согрешила – пострадай, превратись сама в овечку и найдешь сына-барашка»*. *Кинула на нее одну соплю, а Марьюшка тотчас же и превратилась в овцу»* [Тенишев 2/1: 77]. თუმცა, აქ იაგა მოქმედებს სწორედ როგორც ღვთაება. მარინკა თქმულებებიდან აქცევს დობრინიას ჯიხვად= პამირულ ზღაპარში დემონური ალქაჯი (რუსული იაგას ანალოგი) იქცევა ასევე: *«волшебница повела*

носом – и *Малик-Хасан превратился в газель!*» (სიტყვასიტყვით: ჯადოქარმა სუნთ მიუვიდა - და მალიკ-ხასანი გადაიქცა გაზელად)[Памир: № 9].

- აქცევს ადამიანებს უსულო ობიექტებად: სლოვაკ.*«tá bosorka, hnusoba, tá premenila svoje tri dievky na jabloň, na studňu a na šíp»* – „ამ ბოსორკამ, დამპალმა, გადააქცია მისი სამი ქალიშვილი ვაშლის ხედ , ჭად და ასკილად ”, იმისთვის, რომ მათ დაღუპონ გმირი. [Wollman 1: № 107].

-ქვად აქცევს ნებისმიერ რამეს: უკრ. *«Тут, недалеко нашего царства, є Баба Яга, котра вже **закаменувала** чотири царства», «Є Баба Яга, котра **зачарувала** чотири царства»* [Зинчук 3: № 3].

- ზეგავლენას ახდენს ადამიანების გრძნობებზე (ასულებებს): აკეთებს ისე, რომ ქალიშვილის ძმებს ის მათი და ეგონოთ [Поморье: № 59], უკრ. *«Баба Яга /.../ зробила вона так, що цїсарева дочка дуже захотїла тої пташки»* [Зинчук 1: № 10], *«Баба Яга **нашле** на тебе дрїмоту»* [Зинчук 38: № 285]; იაგა იღებს სხვის გარეგნობას: უკრ. *«А то Баба Яга **перекинулася** на ворону», «на пораненого зайчика»,* и даже в отца и мать героини [Зинчук 1: № 10]; მან მოაჯადოვა ბავშვების მშობლები, რომ მათ ისინი დაკარგონ ტყეში: უკრ. *«коли чоловік з жінкою пішли колись у ліс із дівчинкою, Баба Яга й собі пішла в ліс і **замарила** (зачаровала) тата й маму, і дівчинка загубилася від них»*;და როდესაც ის ებრძვის გოლიათს, მანძილიდან იარაღის გარეშე ტოვებს: *«Баба як пустила на булаву ріку води, Іванова булава впала до землі»* [Зинчук 1: № 1].

- მართავს ამინდს: უკრ *«Лягай спати, – каже стара, а завтра вранці як устанешь, то вже можна буде овець пасти» – «Як можна овець пасти, коли навколо все завалене снігом?» – пита Іванко. – «Завтра, як устанешь, снігу вже не буде» – «Та такого бути не може, щоб за одну ніч і сніг розтав, і трава виросла» /.../ коли прокинувся, то дійсно, надворі трава виросла, дерева зелені, пташки співають»* [Зинчук 38: № 285]; მაგიით ქმნის უამინდობას [Азадовский: № 14].

- მკითხაობს და იძახებს დემონებს: უკრაინულ ლეგენდაში «Спаський камінь» თურქი სულთანნი მიმართავს მას დახმარებისთვის, რომ გაიგოს, თუ სად დაიმაღლნენ

გაქცეულები: «Тоді султан пішов до Баби Яги, би поворожила, де вони суть /.../ А Баба Яга викликала диявола, злого духа, він повів султанови: «Нога твого вояка там не стане...»» [Белова 2014: 144]; თქმულების სრული ტექსტი, ციტირებული ფრაგმენტის პუბლიკაციაში, თავაზიანად არის მოწოდებული სტატიის ავტორის მიერ); ვოლოგოდის მხარეში, შობის შემდგომი პერიოდის დროს იცმევდნენ ეგიბობად - გადაცმული ფიგურა დადიოდა სახლის ფანჯრების ქვეშ, აკაკუნებდა კედლებზე ყავარჯნით, ხუმრობით(?) შეეძლო მომავლის წინასწარმეტყველება: „ის აკაკუნებდა – მას ეკითხებოდნენ ნეფის ან პატარძლის შესახებ” [Синица 2014: 58].

საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჯადოქრობის თემა ნახსენებია გაზაფხულზე მარა-მასლენიცას საფრთხობელას განადგურებასთან დაკავშირებით. ერმენტაუსკის მხარის (ყაზახეთი) რუსებში, მაგალითად, საფრთხობელას „სვამდნენ მახვილზე, მხიარულობდნენ, და წვავდნენ. ყველა ყვიროდა «*Пойдем ведьму сжигать!*» („წავიდეთ ალქაჯის დასაწვავად”)» [Власова 2011: 12]. სლოვაკები, მარენას საფრთხობელას დახრჩობისას, ლანძღავდნენ მას: «*Bež, hdze patriš, ty bosórka jedna!*» – „გაიქეცი სადაც თვალები იყურება, შენ, ალქაჯო!” [Václavík 1959: 186]. მოცემულ შემთხვევაში „ბოსორკა”, რომელიც ხშირად ანაცვლებს იაგა-ეჟიბაბას სლოვაკურ ზღაპრებში - სწორედ „ალქაჯი, ჯადოქარი”. ეს გამომდინარეობს სიმღერის ტექსტიდან, რომელიც სრულდება ველჩნა-ორავზე, სადაც ჯადოქრობა ნახსენებია, როგორც მარა-მარენას ქმედება: «*Mara, naša Mara, // Kdes tu vodu brala? // Ved' som t'a já videl, // Ked's'ju čarovala*» [Václavík 1959, 185]. ამავდროულად, მარენას ჩეხურ ლოკალურ სახელებში გვხვდება ფუძე „ჩარ”: *Čaramura* [Václavík 1959: 186], *Čarabaňa* [Zíbrt: 219]. შევ. აგრეთვე ისეთი სიმღერის ტექსტში ჯადოქრებს, დანადვლიანებულებს, ალბათ, მათი ქალბატონის დროებითი მარცხით: ჩეხ. «*Vyněsemy Mařenku ze vsi, přiněsemy letoroš do vsi. O letoroš všeckym pannám na radoát, a panicům čarovnicům na zloš*» – „გამოიტანეს მარჟენკა სოფლიდან, მოიყვანეს ზაფხული სოფელში. ო, ზაფხულო, ყველა ქალიშვილის მახრობელო, დედაკაცი-ჯადოქრების განმრისხებელო” [Zíbrt 1893: 468]. საფრთხობელას, რომელიც ზაფხულის მზედგომას ნადგურდება, ალქაჯის სახით ასეთი აღქმა დამახასიათებელია პოლოსკის ლოკალური ტრადიციისთვის.

ფასდება როგორც ჯადოქრობა (ან ჩანს ასეთად) ჭირის ქალწულის ქმედებები: „ბელორუსიული გადმოცემების თანახმად, ჭირის დადგომამდე ხანდახან ჩნდება „ჭირის პანა“, რომელიც, ჰაერში მფრენი, აქნევს შავ თავშალს. და რომელ სოფელზეც დააქნევს თავისი სიკვდილის მომგვრელი თავშალით, იმ სოფელში გაჩნდება ჭირი” [Богданович: 144], „ქოლერას წარმოიდგენენ ბელორუსები /.../ ცივ ლამაზმანად, რომელიც აქვენს სასაფლაოდან სოფელზე წითელი ან შავი თავშალით, რისგანაც კვდება ხალხი, როგორც ბუზები” [Ляцкий: 34]. რა უფრო მოქმედია - მაგიური პასები ან ჯადოსნური თავშალი - არ არის პრინციპული მომენტი.

უბრალო ხალხის აზრით, შხამის გამოყენება ასევე არის ჯადოქრობა. აქვე მარინკას თქმულებებიდან ტყუილად არ ლანძღავდნენ „მებანგესთან” («зельница») ერთად „მომწამვლელადაც” («отрафщица») [Миллер: № 23], მარინკას შესახებ ისტორიის კაზაკურ ვარიანტში ის ეხმარება თათრებს კიევის ელჩების მოწამლვაში: «В один котел с пловом /.../ яду смертоносного влили, что Маринка злокозненная приготовила» [Железнов: 261]. „ვედა სლოვენაში” მორა იუდა შხამის საშუალებით კლავს მეფეს: «Налила красного вина, // Красного вина трехлетнего, // А в вино – ядовитой травы, // Ядовитой травы хворой» [Веркович: 2. 12.424-427]. ქოლერა „დაფრინავს ჰაერში, ყრის რაღაც შხამიან თესლებს, ეს თესლები ეცემა ჭებში, მდინარეებში და ბოსტნებში და ა.შ. ყოველი, ვინც ბოსტნეულს შეჭამს ასეთი ბოსტნებიდან, ასეთი მდინარეებიდან, ჭებიდან და წყაროებიდან დალევს წყალს, იმ წამსვე ავადდება ქოლერით” [Тенишев: 2/2, 175], დედაბერი-ქოლერა ჩნდება: «Приду в деревню, пушу яд во все колодцы» [Попов: 305]; შევ.: [Боцяновский: 500]. ბელორუსიული იაგას შესახებ (Ягіне) ა. შამაკი წერს, რომ ის «сядзіць увесь час у лесе, гатуе там сабе розную атруту і варожыць» [Шамак: 120], თუმცა რამდენად არის სარწმუნო მისი მონაცემები - კითხის ქვეშაა. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იაგას სახელების ერთ ტიპს, დაფიქსირებულს ჩეხურ ენაში, შეიძლება ჰქონდეს კავშირი ჯადოქრული ცოდნის იდეასთან (მომწამლავი ნახარშის მომზადება): *jedu-baba* [Máchal: 66], *Jedibaba* [Зайцева: 231] – ჩეხ. *jed*, ძვ. ჩეხ. *jěd* „საწამლავი”, *zjedoviti* „მოწამლვა”, თუმცა, ამ დიალექტში გვხვდება: *jedovatyj* «разгневанный» (განრისხებულ), *jedovati se* „злиться» (გაბრაზება), *jed*

«злость»(სიბრაზე), *jedit'* «злить»(გაბრაზება) [Machek: 219]. სიტყვა *jed* -ის მეორე მნიშვნელობას აქვს ყველა შანსი აღმოჩნდეს სახელი *eżibaby* -ის ისეთი ტრანსფორმირების წყარო თანახმიერობის პრინციპით. შესაძლოა, ქალღმერთის სახე აისახა უკრაინული შელოცვის ტექსტში, სადაც მავნებელი პერსონაჟი, შხამებთან დაკავშირებული, ფლობს მსგავსი ჟანრისთვის მეტად მაღალ სტატუსს: ჭეშმარიტები მსოფლიოს გარშემო აჭენებენ შეიარაღებულები «*ведьмицю-царицю* *искати /.../ посечут її, порубають /.../ Шоб ведьмица-царица по свету не летала, яду гадского не брала»* [Шкарбан: 214-215].

ჯადოქრობის ქალღმერთის როლი შეითვისა ქალწულმა მარიამმა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ოფიციალურ ეკლესიურ იდეოლოგიას. ღვთისმშობელი აღმოჩნდება ჭეშმარიტი ერინია, რადგან მას შეიძლება სთხოვო შავი შურისძიება. პოდლიასში „*თუ რომელიმე ბატონი განრისხდება სხვაზე, უნთებს სანთელს ღვთისმშობელს (daje na świecę do Matki Boskiej), რომ ის, ვისზეც არის განრისხებული, დადნეს (skapiat), როგორც დნება სანთელი*” [Miłkowski: 466]. ჩვენი აზრით, უცნაურია, რომ ჯადოქრად თვლიდნენ მარენას სახის ისეთ შორეულ მსგავსებასაც კი, როგორც „პოლუდნიცა“: „*შეიძლება საკვამლედან გამოფრენილი, მიფრინავს ველში, იქ გაშლილი თმით ის აღასრულებს შუალამისას ეშმაკებთან და სხვა უწმინდურობასთან ერთად თავის საქმეებს*” [Померанцева: 148]. აქ მეტად შეიძლება ვიცნოთ ბაბა იაგა.

ჯადოქრობის ქალღმერთი არის ინდური კალი-დურგა თავის მარავალრიცხოვან ჰიპოსტასთაგან ერთ-ერთში. გარდა იმისა, რომ ის გამოიყურება, როგორც ბებერი შემაშინებელი ალქაჯი, ქალღმერთი ნამდვილად ჯადოქრობს სიკვდილისთვის: „*უამრავი გაკვეთილი [მეომარი] დამალა დედაბერმა. ჯადოქრობის საშუალებით მოაკვდინა მეფის ბიძა*” [Чондимонгол: 2.278]. ის მარტივად ცვლის თავის იერსახეს, თანაც წყაროების მიერ ეს მოწოდებულია არა როგორც კალის ღვთაებრივი ბუნების გამოხატვა, არამედ როგორც მისი ჯადოქრული უნარი: „*მოისმინა ჩანდიმ მსგავსი მეტყველება. და ჯადოქრობის დახმარებით მიიღო კხულონას დედის იერსახე. ჩაცმული იყო [მასზე] ბინძური სამოსი, ბევრ ადგილას გახეული. ბელელის კაკლის გარეშე გამოშრა შიშის განმდევნის ტუჩები. კარაქის*

გარეშე აეწეწა თმები თავზე” [Чондимонгол: 2.68], „ალიარა დედამ ნარადას რჩევა სამართლიანად. და აქვე გადაიქცა ბებერ „ბრახმანკად“. დაჭალარავდა მისი წარბები, მოერყა კბილები. დაიწყო მოჩვენებით ხველა, თვალების ტრიალი. მოიხარა წელში - წავიდა დედა, ფეხწამოკვრიით და მერყევად” [Чондимонгол: 2.258]. შედ. რუსულ ზღაპარში: «А Яга-ягишна хитрая была. /.../ обежала стороной, обличье изменила и опять навстречу идет» [РНСУ: 217].

ალქაჯი (რასკაში) პუტანას ჰიპოსტასში კალი იპარება ჩვილ კრიშნასთან, იმის მსგავსად, როგორც ალქაჯი-იაგა - ლუტონუმკასთან, მაგრამ თუ რუსული ზღაპრის მითიურ პერსონაჟს უწევს ხმის შეცვლა, პუტანა ცვლის იერსახეს: „Итак, в ночь, когда Нанда гостил в Матхуре, та самая Пута́на, которая благодаря **колдовскому искусству** могла принимать любое обличие и перелетать с одного места на другое, явилась в Гокулу и обернулась красавицею, приветливою и юною» (სიტყვასიტყვით: ღამით, როდესაც ნონდა სტუმრობდა მატრუხაში, სწორედ ის პუტანა, რომელიც **ჯადოქრული უნარების დახმარებით** იღებდა ნებისმიერ სახეს და შეეძლო გადაფრენა ერთი ადგილიდან მეორეში, მოველინა გოკულს და გადაიქცა ლამაზმანად, ალერსიანად და ახალგაზრდად) [ШрБх: 10.4], «Ведьма страшная, Пута́на, **образ изменив**, // Появилась в Шри Гокуле, всех обворожив», «Ведьмой страшною Пута́на в жизни сей была, // Страшный образ мыслей, действий, страшные дела». როდესაც კრიშნა კლავს დემონს, მისი ჯადოქრობა, საკუთარ თავზე დადებული, ქრება: «Вдруг все крики прекратились; ведьма, как стрела // Вылетев из дома, стала страшной – как была» (სიტყვასიტყვით : უცებ ყვირილი შეწყდა; ალქაჯი, როგორც ისარი // გამოფრინდა სახლიდან ისეთი საშინელი - როგორიც იყო”) (იქვე).

საკუთრივ, კალის ჯადოქრობა – არის ილუზიების, სიბნელის მოგვრა. ტექსტები, რომელიც ადიდებს ქალღმერთს, ხაზს უსვამს ამას მატერიალურის ილუზორების იდეისკენ რბილად გადასვლით: «Поклон Высшей Шакти /.../ природа которой – иллюзия (майя)», «Я славлю Шакти /.../ Великая иллюзия – одна из ее форм» [Шри Сиддханта-шикхамани: 31, 38]. მახამაია – დიადი ილუზია, – აი მისი სახელი, თანაც, რომ ვედური *māyā*, უკავშირდება ზმნა *mī-* „შეცვლა“, აღნიშნავს არა მხოლოდ

„ცვლილებას“, არამედ, კონტექსტიდან გამომდინარე, – „ღვთაებრივი მაგიური ძალა“, „ბოროტი მაგიური ძალა“, „მტრული ჯადოქრული გრძნება“ [Сахаров 1991: 49]. კალის მიმართავენ სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით: *«И тогда он (Гхата), знавший заклятие, пожалованное Чанди, с помощью которого можно зачаровать человека и ввести в заблуждение...»* (სიტყვასიტყვით: *და მაშინ მან (გხატა), შელოცვის მცოდნემ, რომელიც უბოძა ჩანდის, რომლის დახმარებით შეიძლება მოაჯადოვო ადამიანი და შეცდომაში შეიყვანო*) [Сомадева 2: 462]. შეცდომა, ილუზია. შესახსენებლად, *«ум людской забвеньем мрачила»* (ადამიანთა გონებას თავდავიწყებით ჩრდილავდა) გეკატა-პერსეფონეა, ბელორუსიელ მარას შეუძლია აიძულოს ადამიანს გზა აეზნას: *«Зморочишься, и нешто водить тобэ. /.../ Булка была в мэнэ в кармане. Я кинула тую булку: «На, Мара, тоби булкы». Да и выйшла, куда надо»* [Ивлева 2004: 86].

რაღაც მხრივ, კალის ჯადოქრობაზე შეიძლება მიუთითებდეს მისი სახელები (გთხოვთ მაპატიოთ სიტყვათა თამაში): *«Желания-исполняющая»* (ოცნებათა-აღმასრულებელი), *«Недуги-исцеляющая»* (დაავადებათა-მკურნებელი) (ДБП. XII.6.19, XII.6.137). ის, ვინც მას დღე და ღამე ადიდებს, იძენს ჯადოსნურ უნარებს: *«О Кали, кто в понедельник в полночь произносит Твою мантру, предлагая подношения на кладбище, тот, имея преданность к Тебе хоть на волосок собственной шакти, станет великим поэтом, владыкой земли разъезжающим на слоне», «Эта великая стотра, о Мать, является источником, из которого исходит Твоя мантра, являющаяся Твоей внутренней Сущностью, предназначенная для почитания Твоих лотосных стоп. Тот, кто читает ее в полночь или во время почитания, у того даже обыденная речь становится нектаром поэзии»* [Карпурадистотра: 16, 21]. მაგრამ ეს – ისევ ქალღმერთის მიერ შექმნილი ილუზიაა. კალის დახმარებით ჯივადატა ცდილობს გააცოცხლოს მეფის შვილი, უხმობს: *«Ты, с хохотом и грохотом, // Вся в ожерельях из костей, // Увешанная черепами, // Спеши скорей на помощь мне, // Чамунда безобразная!»* [Сомадева 2: 288]. ეს ჯადოქრული რიტუალია – მაგრამ შედეგი არ მოაქვს, კალი ხომ – ილუზიების დედაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ტყუილის დედა: *„მისი დახმარებით სამყარო შეცდომაში შედის, მისით მობილი“* [ДМ: 12.37]. გავიხსენოთ,

როგორ ატყუებს რუსული ზღაპრების გმირებს ბაბა იაგა, თანაც არაერთხელ: მაგიური დახმარების დაპირებისას, ის ჯადოქრობით კლავს გმირს [Гуря 1965: № 17], ცოცხალი წყლით სავსე ჭის მაგივრად იაგას ჯერ მიჰყავს გოლიათები ჭასთან, რომელშიც არის თვით მკვდარი მატერიის მომაკვდილებელი წყალი [Афанасьев 1957: № 198].

ალქაჯი, რომელიც მოხმობილია ღამით საშიშ, ბნელ ადგილებში უფრო ბნელი საქმეებისთვის. ჯადოქრობის, როგორც ხელოვნების მფარველი, სურვილების აღმსრულებელი, რომელიც მაგიური ოპერაციების დროს არის გამოთქმული. ეს ყველაფერი, როგორც ვხედავთ - არის მარენა, შუადამის ქალღმერთი.

თავი 3

სლაგური წინარექრისტიანული წარმოდგენების ასახვა სიკვდილის ქალღმერთი მარენას შესახებ პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში

3.1. კონცეპტი „სიკვდილის“ აღქმის თავისებურებები სიმბოლიზმში

კამათი მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ განშტოების შესახებ, ამ ლიტერატურული მიმდინარეობის საკმაოდ კარგი შესწავლით, გრძელდება დღევანდელ დღესაც. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სიმბოლიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე ინდივიდუალისტური მიმართულება, როგორც ლიტერატურაში, ასევე სრულად ხელოვნებაში.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საკვლევი მიმდინარეობის დროის ჩარჩო. მაშ ასე: როგორც ცნობილია, რუსულ პოეზიაში XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის დასაწყისის პერიოდს ეწოდება „ვერცხლის ხანა“. ასეთი სახელწოდება მიცემულია „ოქროს ხანის“ (XIX საუკუნის პირველი მესამედი) ანალოგიით. ტერმინის ავტორობაზე პრეტენზია ჰქონდა ფილოსოფოს ნიკოლაი ბერდიაევს, მწერლებს ნიკოლაი ოცუპს, სერგეი მაკოვსკის. „ვერცხლის ხანა“ მიმდინარეობდა 1890 წლიდან 1930 წლამდე. მოცემული პერიოდისთვის დამახასიათებელია პოეტების დიდი რაოდენობის გაჩენა, ასევე ისეთი პოეტური მიმდინარეობების, რომელიც ქადაგებდა ახალ, ძველი იდეალებისგან განსხვავებულ ესთეტიკას [Серебряный век русской поэзии].

ამ მოვლენის ქრონოლოგიური ჩარჩოს საკითხი სადავო რჩება. „ვერცხლის ხანის“ დასაწყისის განსაზღვრაში მკვლევარები ერთ აზრზე არიან - ეს არის XIX საუკუნის 80-იანი - 90-იანი წლების მოვლენა, ამ პერიოდის დასასრული კი - იწვევს დავას. ის შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც 1917 წელს, ასევე 1921 წელს.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს პირველი ვარიანტის მართებულობას, და მიიჩნევს, რომ 1917 წლის შემდეგ სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად „ვერცხლის ხანა“ შეწყვიტა არსებობა, თუმცა 1920-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალია ის, ვინც შექმნა ეს მოვლენა თავის შემოქმედებაში. სხვები მიიჩნევენ, რომ რუსული ვერცხლის ხანა შეწყდა ალექსანდრე ბლოკის სიკვდილის და ნიკოლაი გუმილიოვი დახვრეტის ან ვლადიმერ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის წელს, ამ პერიოდის დროის ჩარჩო მოიცავს დაახლოებით 30 წელს [Серебряный век русской поэзии].

„ვერცხლის ხანა“ არის პოეტური მიმდინარეობებით მდიდარი პერიოდი, რომელთა შორის არის: სიმბოლიზმი, აკმეიზმი, ფუტურიზმი, კუბოფუტურიზმი, ეკოფუტურიზმი, ახალგლეხური პოეზია და იმაჯინიზმი.

ჩვენი კვლევისთვის ყველაზე საინტერესოა სიმბოლიზმი, რადგან ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა - სიმბოლიზმი - გაჩნდა მძიმე კრიზისის შედეგად, რომელმაც მოიცვა ევროპული კულტურა XIX საუკუნის ბოლოს. კრიზისი გაჩნდა პროგრესული საზოგადო იდეების ნეგატიურად შეფასებაში, მორალური ღირებულებების გადააზრებაში, სამეცნიერო ქვეცნობიერის ძალის რწმენის დაკარგვაში, იდეალისტური ფილოსოფიის გაზრდაში. რუსული სიმბოლიზმი ჩაისახა ხალხოსნობის მსხვერვის და პესიმისტური განწყობის ფართო გავრცელების წლებში. ამ ყველაფერმა განაპირობა ის ფაქტი, რომ „ვერცხლის ხანის“ ლიტერატურა აყენებს არა საჭირბოროტო სოციალურ საკითხებს, არამედ გლობალურ ფილოსოფიურს [Серебряный век русской поэзии].

მაგრამ რუსულ სიმბოლიზმში, ფრანგულისგან განსხვავებით, არ იყო კონცეპციის ერთიანობა, არ არსებობდა არც ერთიანი სკოლა, და არც სტილი; საფრანგეთში ორიგინალებით მდიდარ სიმბოლიზმშიც კი ვერ შევხვდებით ასეთ მრავალფეროვნებასა და ერთმანეთისგან ასეთ განსხვავებულ მაგალითებს. ფორმასა და თემატიკაში ახალი ლიტერატურული პერსპექტივების ძიების გარდა, შესაძლოა, ერთადერთი, რაც აერთიანებდა რუსულ სიმბოლისტებს - ეს არის ჩვეულებრივი სიტყვის უნდობლობა, ალეგორიებითა და სიმბოლოებით გამოხატვისკენ სწრაფვა, სიმბოლო კი, თავისი კრებითი არსით ძალაინ ახლოსაა ცნება „კონცეპტთან“.

ს. ასკოლდოვი აყალიბებს საკითხს კონცეპტის ენობრივი გამოხატულების შესახებ და უწოდებს „მონაცვლეობის ფუნქციას” მის ყველაზე არსებით ნიშნად. ის ამტკიცებს: „კონცეპტი არის აზრობრივი წარმონაქმნი, რომელიც ანაცვლებს აზროვნების პროცესში ერთი და იგივე სახის საგნების განუსაზღვრელ სიმრავლეს”[Аскольдов 2002].

რუსული სიმბოლიზმის ფილოსოფიური საფუძველი გახდა სოლოვიევის ნაშრომები, რომელმაც ბევრ რამეში იქონია ზეგავლენა რიგი პოეტების ცნობიერებაზე, ასე ვიაჩ. ივანოვი სწერდა ა. ბლოკს:

«...Затем, что оба Соловьевым Таинственно мы крещены;	Затем, что обручением новым С Единою обручены...»
--	--

სიმბოლიზმის თეორიული საფუძველები მოგვცა დ.ს. მერეჟკოვსკიმ: „მისტიური შინაარსი, სიმბოლოები, მხატვრული შთამბეჭდაობის გაფართოება”.

სიმბოლიზმის ესთეტიკის საფუძველი ხდება: მტკიცე რწმენა იმის, რომ უხეში და მოსაწყენი ყოველდღიურობის მიღმა იმალება იდეალური სამყარო, რომელიც შეიძლება გაიხსნას მხოლოდ სიმბოლო-ქარაგმების საშუალებით; რაც არის პოეზიის ამოცანა - გამოხატოს მთელი ცხოვრება ამ სიმბოლოების საშუალებით განსაკუთრებული ენით, მდიდრული პოეტური ინტონაციებით; რომ მხოლოდ ხელოვნებას აქვს საშუალება შეაღწიოს ყოფის არსში, რადგან მას შეუძლია შეიცნოს სამყარო ყოვლისშემძლე ინტუიციით.

სიმბოლიზმის ძირითადი მახასიათებლებია: სამყაროს გაორება- რეალური მიწიერიდან წასვლა და იდეალური ოცნებისა და მისტიკის სამყაროს შექმნა [Символизм в русской литературе].

ჩვენი აზრით, ყოფის არსში სწორედ „მისტიური შეღწევის” საშუალებით სიმბოლისტებმა შეძლეს ამა თუ იმ მოვლენების ღრმა ფენათა შეცნობა, სიმბოლოს საშუალებით საგნების ძირეული ბუნების გახსნა. ჩვენ შეგნებულად აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ სიმბოლისტებისთვის სოციალური პრობლემები გახდა მეორეხარისხოვანი, მთელი ყურადღება გამახვილებული იყო ფილოსოფიურ

საკითხებზე. და აქ, ჩვენ განსაკუთრებით გვინტერესებს ის, რომ სიკვდილმა სიმბოლისტიკისთვის მიიღო მაცდური სახე, ის გაპოეტიზირებულია მათ მიერ, გაღმერთებულია. სიმბოლისტიკის მტკიცებით, ჩვენი მიწიერი ცხოვრება არის ტანჯვის გამოუვალი უდაბნო, ობობების, ვამპირების და ა.შ. სამეფო. სამყარო შეუცნობელია თავისი არსით, და ადამიანები, რომლებითაც ის არის დასახლებული, იმყოფებიან ტყუილის გალიაში, სადაც ყმუიან, როგორც დატყვევებული ცხოველები. ჭეშმარიტ სიცოცხლეს სიმბოლისტიკები ხედავენ ჩვენი ადამიანური სულის სიღრმეში, მის ექსტაზებში.

მაგრამ რადგან ოცნებები და წამი არ იძლეოდა დაკმაყოფილების საშუალებას, რადგან საბოლოო ჯამში მთელი ეს პოეზია იყო უზომოდ წინაღმდეგობრივი ადამიანების სულიერი ბოდიალი, განრიდებული სოცოცხლისა და ხალხისგან, შინაგანად დაცარიელებულების, რომლებიც თავდავიწყებას ილუზიებში ეძებდნენ, ამიტომ კანონზომიერია, რომ ისინი სიკვდილს ადიდებდნენ. რადგან სიკვდილი მათთვის სასურველი სიმშვიდეა, ერთადერთი საშუალება რომ გათავისუფლდნენ რეალობის კოშმარისგან და საკუთარი მტანჯველი წინააღმდეგობისგან.

„თვით „სოლიდური“ მერეჟკოვსკიც, კი, რომელიც არის „მესამე რომის“, წარმართობისა და ქრისტიანობის „ცოცხალი“ შეერთების მქადაგებელი (ტრილოგია „ქრისტე და ანტიქრისტე“ და სხვ.), წერდა: «Смерть, пленяя красотой, обещает отдых упоительный», «Сердце чарует смерть неизреченной сладостью» და ა.შ. [Наумова 2012].

კ. ბალმონტთან ვკითხულობთ: «И смерть встречай как лучшей жизни весть». სიკვდილის მსგავსი ხედვა ოდნავ განსხვავდება იმ ხედვისგან, რომელიც ჰქონდათ ძველ სლავებს მათი წარმართული მსოფლხედვის გამო. ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება დღევანდელ დღეს არსებულ ცნობებზე დაყრდნობით და პოეტი-სიმბოლისტიკის შემოქმედებაში ჩვენ ვპოულობთ სწორედ იმ თვისებებზე მითითებას, რომლებსაც ფლობდა სლავური სიკვდილის ქალღმერთი მარენა მსგავსი გამოვლენის შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ შეცნობის „იარაღად“ პოეტმა-სიმბოლისტიკებმა აირჩიეს სიმბოლო, მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი და, უდავოდ, რომელსაც აქვს კულტურული გამოცდილებისა და

ყველაზე შორეული ისტორიული ეპოქის, ჩვენს შემთხვევაში, სლავი ხალხის ისტორიის ცოდნის გავლენა.

და მართლაც, მოცემული პერიოდის პოეტების სტატიებში ხშირად ვხედავთ ჩვენი კვლევისთვის საინტერესო სახეებს. კერძოდ, სიკვდილის კონცეპტის საინტერესო შემოხრუნებას. ჩვენ გვხვდება მოცემული კონცეპტის ბევრი განსხვავებული შრე, რომელთა სისტემატიზების მცდელობა მოყვანილი იყო წინა თავში. შეგახსენებთ, რომ ჩვენი აზრით, მეტად გამოკვეთილია მათ შორის:

- სიკვდილი გაზაფხულის, პატარძლის (შავი პატარძლის ან თეთრი პატარძლის) სახით და თანმხლები წესური ატრიბუტიკის გამოვლენა, კერძოდ, ვუალი, ფატა, ყვავილობა, ყვავილები, აყვავებისა და ჭკნობის პერიოდს არ არვს საზღვრები, არ არის გადასვლა ერთიდან მეორესკენ;

- სიკვდილი ღამის სახით, ხშირად ეს არის არა მხოლოდ სიკვდილის ქალღმერთის „მეფობის“ დრო, არამედ თვით სიკვდილი და ღამე განუყოფელია. ნამგალა მთვარე, როგორც ნამგალისა და მკის სიმბოლო.

- სიკვდილი - ზამთარი. აქ, როგორც წინა პუნქტებში, ვხედავთ სიკვდილის გაიგივებას ზამთართან, სიცივესთან, გაყინვასთან, ბუნების ჭკნობასა და მიძინებასთან.

- სიკვდილი, როგორც ძილი. წინა პუნქტებში ჩვენ მივუთითეთ სიკვდილის კავშირზე ჭკნობისა და ბუნების შემდგომი „მიძინების“ მოვლენასთან, ბუნების „დროებით“ სეზონურ სიკვდილთან, ახალი დაბადებისთვის, აქედან, ანალოგიურად, მოდის სიკვდილის პირდაპირი კავშირი ძილთან. სიკვდილი, რაღაც მხრივ არის ძილი.

ცნობილი გამოთქმის თანახმად: «Сон – это маленькая смерть»(სიტყვასიტყვით: ძილი - ეს არის პატარა სიკვდილი).

**«Маленькая смерть, раскутавши плечики,
Ходит целует грустных мужчин.»**

- სიკვდილის ცეკვა. სიცოცხლე, როგორც ცეკვა სიკვდილთან გრძელდება ზუსტად იმდენ ხანს, რომდენსაც გრძელდება ცეკვა. ცეკვა, რომელსაც აქვს საზღვარი. შესაძლოა, სიმბოლურია თვით მოცეკვავე სიკვდილის სახე. მსგავს მოტივს ჩვენ ვხვდებით საკმაოდ ხშირად როგორც პოეტურ, ისე მხავტრულ ტრადიციებში.

- სიკვდილის ბაღი. სიკვდილი, როგორც ნაყოფიერი ქალწული, მომკალის სახე, მკა, მოსავლის აღება, ყვავილების და ბალახის მოკრეფა. ნაყოფიერებისა და ჭკნობის მოტივი ერთია.

დაწვრილებით განვიხილოთ ყოველი გამოკვეთილი შრე.

3.2. სიკვდილი - გაზაფხული, პატარძალი სიმბოლისტიკის ესთეტიკაში

როგორც ზემოთ ითქვა, პოეტი სიმბოლისტიკის ლექსებში ხშირად გვხვდება სიკვდილის საკმაოდ მოულოდნელი სახე - პატარძალი, გაზაფხული, თანმხლები წესური ატრიბუტიკით, ისეთით, როგორიცაა: ვუალი, ფატა, ყვავილწული (გვირგვინი) და ა.შ. მოვიყვანოთ ამის მეტად შთამბეჭდავი მაგალითები.

«Возьми и понеси меня по земле, в каждую деревню и город, и будешь жив, равно как и твоя семья, будешь могущественным, и всем богато обеспеченным, ибо я всемогущая Смерть (wszechwładna Śmierć), и я могу тебя спасти». (სიტყვასიტყვით: ამიყვანე და მატარე დედამიწაზე, ყოველ სოფელსა და ქალაქში, და იქნები ცოცხალი, როგორც შენი ოჯახი, იქნები ყოვლისშემძლე, და ყველა სიმდიდრით უზრუნველყოფილი, რადგან მე ვარ ყოვლისშემძლე სიკვდილი (wszechwładna Śmierć), და შემიძლია გადაგარჩინო“). როდესაც შეშინებულმა გლეხმა თქვა: «Приказывай», მაშინვე წარსდგა მის წინაშე «postać w biegi», და «Była to Niewiasta» [Kolberg 1882: 10].

ამგვარად, რუსული სიმბოლიზმისთვის ნიშნობრივი ფიგურის, ფ. სოლოგუბის სიკვდილის ჰიმნში ჩვენ ვხედავთ:

«Твоей сестры несправедливой.
Ничтожной жизни, робкой, лживой,
Отринул я издавна власть.

Не мне, обвешанному **тайной**
Твоей красы необычайной,
Не мне к ногам ее упасть...»

ამ სტრიქონებში პოეტი უწოდებს სიცოცხლეს სიკვდილის დას და ხედავს მას ლამაზ ქალწულად, შესაძლოა პატარძლადაც კი, რომლის წინაშეც მუხლს იხრის, როგორც სატრფოს წინაშე. იმ დროს, როდესაც სიკვდილი, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, ძველი სლავების ცნობიერებაში შესაძლოა მოვწინააღმდეგებოდა ქალიშვილის ან თუნდაც პატარძლის სახით. ამის ძალიან ბევრი მაგალითს ვხედავთ ჯვრისწერისთვის მნიშვნელოვან ატრიბუტებში, როგორიცაა ფატა, ვუალი, გვირგვინი. ასე, ი. ანენსკის ლექსის სტრიქონებში «Светлый нимф» („ნათელი შარავანდედი“)

კვითხულობთ:

«И так были безумны мечты
В чадном море молений и слез,
На развившемся нимбе волос
И в дыму ее черной фаты.

...
Отчего ж я **фату** навсегда,
Светлый, нимб навсегда полюбил?»

ბორის პოპლავსკიოსთან ვხვდებით მსგავს სახეს:

«Но высоко почти в облаках
Смерть лежала черной фатой.»

ი. ანენსკის ლექსში «Другой голос» („სხვა ხმა“):

«**В небрачной одежде,**
...**Там ночи туманной**
Там в тяжком бреду
Томительный призрак

Свой черный вуаль,
Вуаль донны Анны,
К его изголовью
Склоняя, смеется...»

საინტერესოა, რომ სლავები მიმართავდნენ სიკვდილის ქალღმერთს (მარენას) მფარველობის თხოვნით ქორწილების მოწყობის საქმეში (ჩვენ ვხედავთ ამას ნოვგოროდის არყისხის სიგელების მიმართვების მაგალითზე) . ჟივა– სიცოცხლისა და გაზაფხულის ქალღმერთი, ლელია – სიყვარულის ქალღმერთი და მარა - სიკვდილის ქალღმერთი - სამი დაა და ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შესაძლოა ერთი ქალღმერთის სამი სახე. აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ი.ანენსკის ლექსი «Чёрная весна» („შავი გაზაფხული“):

«...И только изморозь, мутна,
На тление лилась,
Да тупо **черная весна**
Глядела в студенъ глаз —

...О люди! Тяжек жизни след
По рытвинам путей,
Но ничего печальней нет,
Как встреча двух смертей.»

ჩვენ ვხედავთ, რომ გაზაფხულის სახე ერწყმის სიკვდილის სახეს, გაზაფხული ხდება შავი, სამგლოვიარო. «Чёрная весна» („შავი გაზაფხული“) თუკი არ არის თვით სიკვდილი, აუცილებლად არის სიკვდილის მსგავსი. «Встреча двух смертей» („ორი სიკვდილის შეხვედრა“) - გაზაფხულის და სიკვდილის, სიკვდილი-

გაზაფხული და სიკვდილი-სიკვდილი, პოეტის აზრით, არ არის არაფერი მეტად სამწუხარო, ვიდრე ამ ორი სიკვდილის შეხვედრა.

მსგავსი იერსახე არაერთხელ გვხვდება ი. ანენსკისთან. მაგალითად, ლექსში «Снег» („თოვლი“) ჩვენ ისევ ვხედავთ:

**«Точно стада в тумане
Непорочные сны —**

На сомнительной грани
Всесожженья весны.»

ეს სტრიქონები მეტად საინტერესოა, რადგან ისინი ეხება რამდენიმე შრეს ერთდროულად: ნაყოფიერებას და ველს - „ნახირს“, ღამეს, სიზმარს - «непорочные сны» („უბიწო სიზმრები“) და ასევე, საფრთხობელას დაწვას, რაც აშკარად უკავშირდება მარენას საფრთხობელას დაწვის ყველიერის წესს - «всесожженья весны» . «Сомнительная грань» („საეჭვო ზღვარი“) ასევე გვაკავშირებს გადასვლასთან, საზღვარზე მყოფ მდგომარეობასთან, სეზონთაშორისთან, ზღვარს მიღმა მყოფთან.

ა. ბლოკი ამგვარად ადებს შრეებს:

«Бродит призрак бледноликий На полях моей страны, ... Лишь порой, слышав бога, Дочь блаженной стороны	Из родимого чертога Гонит призрачные сны, И в полях мелькает много Чистых девственниц весны.»
--	--

ფერმკრთალი მოჩვენება დაძრწის ღამით მინდვრებში და თან მოჰყავს, «дочь блаженной стороны» („ნეტარი მხარის ქალიშვილი“) - ისევ ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ტრანსცედენტურობას, სხვა სამყაროს, საიდანაც მოდის ჩვენს სამყაროში სტუმარი... ამავე უცხო სამყაროდან მას «гонит призрачные сны» („მოჰყავს მოჩვენებითი სიზმრები“), ანუ მას აქვს ძალაუფლება ძილზე, სიზმრების სამეფოზე. შემდგომ ჩვენ ისევ ვხედავთ მდელოებსა და «чистых девственниц весны» („გაზაფხულის წმინდა ქალწულებს“) - საკმაოდ ბუნდოვანი იერსახე, მაგრამ უკიდურესი მაჩვენებელი, რადგან ის შლის ჩვენს წინაშე გაზაფხულის და ქალწულების, სიწმინდის შეხამებას, რაც პირდაპირ უკავშირდება გაზაფხულის სახეს.

იერსახეთა მსგავს მინიჭებას ჩვენ ვხედავთ უკვე მოგვიანებით ა. ბლოკის ლექსში «Незнакомка» („უცნობი ქალი“):

«По вечерам над ресторанами
Горячий воздух дик и глух,

И правит окриками пьяными
Весенний и тлетворный дух.»

გაზაფხულის მხრწნელი სული მოცემული ლექსის დასაწყისში ახლებურად განაწყობს მკითხველს გაბუქებით და შემდეგ ჩვენ ვხედავთ:

«И каждый вечер, в час назначенный
(Иль это только снится мне?),
Девичий стан, шелками схваченный,
В туманном движется окне.
И медленно, пройдя меж пьяными,
Всегда без спутников, одна
Дыша духами и туманами,
Она садится у окна.
И веют древними поверьями
Ее упругие шелка,
И шляпа с траурными перьями,

И в кольцах узкая рука.
И странной близостью закованный,
Смотрю за темную вуаль,
И вижу берег очарованный
И очарованную даль.
...
И перья страуса склоненные
В моем качаются мозгу,
И очи синие бездонные
Цветут на дальнем берегу.»

და ისევ, ჩვენ ვხედავთ მუქ ვუალს, რომელიც ფარავს სახეს, როგორც შავი ფატა ფარავს ი. ანენსკის ლექსის გმირს.

სამგლოვიარო ბუმბული საშუალებას გვაძლევს შევიგრძნოთ არა მხოლოდ ფერი, უდავოდ შავი, მაგრამ ასევე შლის მთელს დაბინდულ ბუნებას, ეპითეტი «траурные» („სამგლოვიარო“) შემთხვევითი არაა, ის პირდაპირ მიუთითებს შავი ბუმბულის მფლობელის ხასიათზე.

აბრეშუმში, რომელთაგან მოდის ძველი თქმულებები, არის მითითება გმირის უკვდავებაზე, მის მისტიურ ბუნებაზე, რომელიც სავსეა გადმოცემებითა და საიდუმლოებით.

ამასთან ერთად, ჩვენ ისევ ვხედავთ, რომ ქალღმერთის სახე დამატყვევებელია, «Дыша духами и туманами», «И очи синие бездонные / Цветут на дальнем берегу», - ჩვენ ისევ ვხედავთ ფერადს, რაც გვაკავშირებს გაზაფხულის სახესთან, ასევე არ არის შემთხვევითი ლურჯი ფერი - ბევრი სლავი ხალხისთვის იყო მწუხარებისა და ნალველის ფერი, ასოციირდებოდა დემონურ სამყაროსთან. ძველ ხალხურ თქმულებებში ნახსენებია ლურჯი და შავი ჭინკები. საინტერესოა, რომ ი. ანენსკის

ზემოთ აღნიშნულ ლექსში შემდგომში შავი ფატის შესახებ სტროფის შემდეგ ოთხსტროვიან ლექსში ჩვენ ასევე ვხედავთ ლურჯ ფერს:

«Что в ответ замерцал огонек
В аметистах тяжелых серег,
Синий сон благовонных кадил
Разошелся тогда ж без следа...».

ზემოთქმულთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება სხვაგვარად შევხედოთ ა. ბლოკის ლექსს «Мы встречались с тобой на закате» („ჩვენ შევხვდით მზის ჩასვლისას“):

«Мы встречались с тобой на закате.
Ты веслом рассекала залив.
Я любил **твоё белое платье,**
Утончённость мечты разлюбив.
...
Загорались вечерние свечи.

Кто-то думал о **бледной красе.**
...
Ни тоски, ни любви, ни обиды,
Всё померкло, прошло, отошло..
Белый стан, голоса панихиды
И твоё золотое весло.»

აქ უნდა აღვნიშნოთ, ნავის, ანძის, ნიჩბის და მსგავსი ატრიბუტიკის სახე საკმაოდ ხშირად გვხვდება სიკვდილთან შეხამებაში («**Смерть махала на мачте белой. / На корме был прекрасный флаг**» Б. Поплавский; «**Тихий берег умиранья / Захлестнувшая волна.**» И. Анненский; «Прозрачные, неведомые тени / **К Тебе плывут, и с ними Ты плывёшь**» А. Блок; «Где жила ты и, **бледная, шла, / Под ресницами сумрак тая, / За тобою — живая ладья, /** Словно белая лебедь, плыла, / **За ладьёй — огневые струи**» А. Блок), რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია უფრო გვიანდელ წარმოდგენებთან, აღებულთან ბერძნული მითოლოგიიდან მიცვალებულის სულის მიერ მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე იმქვეყნიურ სამყაროში გადასვლის შესახებ. მსგავსი შეხამება საკმაოდ მნიშვნელოვანია და არ აჩენს ეჭვს, რომ მოცემულ კონტექსტში საუბარია სწორედ სიკვდილთან პაემანის შესახებ და პერსონაჟი თეთრ კაბაში არის სწორედ სიკვდილი.

ვიაჩ. ივანოვთან გვხვდება შემდეგი სახით:

«И **Смерть** ты лобызал,
и рвал цветущий Тлен!
С улыбкой страстною

Весна сходила в доли:
Желаний вечность – взор,
уста - истомный плен...»

აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ უწოდებს ავტორი სიკვდილს პირდაპირ გაზაფხულს. გარდა ამისა, ლირიკული გმირის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ აღწევს ვნების პიკს, ის მისთვის მშვენიერი, დამატყვევებელი ქალწულია.

მასთანვე (ვიაჩ. ივანოვთან) ვკითხულობთ:

**«Смерть — повитуха; в земле — новая нам колыбель.
Тайна нежна: мир от вечности — брак, и творенье — невеста;
Свадебный света чертог — Божья всезвездная Ночь.»**

და კიდევ:

«...как **Ночь, Невеста вечная** Отца
...
Всех **воскресений колыбель!**
И всех **рождений ложесна!**
Мы спим, как плод, зачатый в ней, —

И лоно **Матери** со дна **Горит** **мириадами**
огней!.. Вы — родились. И свет иной
Вы криком встретили давно.
Но к нам склонились, в **мир ночной,**
Затем **что вы и Мать — одно».**

აქ ჩვენ ვხედავთ პატარძლის, ბებიაქალის, დედის სახეს- თითქოს ბავშვის სამუდამო ძილისთვის მომგვრელს. სიკვდილი-ღამე-პატარძალი ერთი უმაღლესი დამაკავშირებელი ჯვრისდამწერი ქალური ღვთაებრივი საწყისია.

კ. ბალმონტთან გვხვდება შემდეგი სტრიქონები:

«С тем вступит **Смерть в союз любви живой,**
И от ее внимательного взгляда
К страдальцу сон нисходит **гробовой.»**

ისევ საქორწინო კავშირის, სიყვარულისა და ძილის თემა ერწყმის სიკვდილის სახეს.

მსგავს შერწყმას ჩვენ ვხედავთ ნ. გუმილიოვის ლექსში «Баллада» („ბალადა“):

«Там, на **высях сознания — безумье и**
снег,
Но коней я ударил свистящим
бичем,
Я на **выси сознания** направил их бег
И увидел там **деву с печальным**
лицом.
В тихом голосе слышались **звоны**
струны,

В **странном взоре** сливался с ответом
вопрос,
И я отдал кольцо этой деве луны
За неверный оттенок разбросанных
кос.
И, смеясь надо мной, презирая меня,
Люцифер распахнул мне ворота во
тьму».

აქ, სიკვდილთან საქორწინო კავშირის მოტივის გარდა, ჩვენ ვპოულობთ სიცივის მოტივს, რომელიც ძირითადად თან ახლავს სიკვდილს და უკავშირდება ზამთრის ქალღმერთის ჰიპოსტასს: - «Там, на **высях сознания – безумье и снег**». უდავოა, რომ საუბარია სიკვდილზე, რადგან «девой луны» („ქალწულ მთვარესთან“), «девой с печальным лицом» („ქალწულთან მოწყენილი სახით“) და მასთან საქორწინო კავშირის დამყარებით - «И я отдал кольцо этой деве луны», ლირიკული გმირი კვდება - «Люцифер **распахнул мне ворота во тьму**».

მსგავს სიმბოლოებს ვხვდებით ვ. მერკურიევის ლექსში:

<p>«Но нет, не катафалками Печали мара встречена Стихов и снов качалками Причалена, размечена.</p>	<p>И белыми фиалками Вуали тьма расцвечена» [Гаспаров 2001: 50].</p>
--	--

ისევ, ჩვენს წინაშეა მუქი ვუალი, თეთრი ყვავილებით მორთული. ჩვენი დაკვირვებით, როდესაც ვხვდებით სიკვდილის თემატიკას, შავისა და თეთრის შეხამება ხდება საკმაოდ ხშირად. მითოლოგიური ენციკლოპედიის თანახმად, „ია ანტიკური დროიდან განასახიერებს გაზაფხულს, ბუნების გაღვიძებას და სიკვდილს“ [Мифологическая энциклопедия].

„ანტიკურ ხალხთა რელიგიაში სიკვდილის სიმბოლიკამ, შთაგონებული პოპულარული მითებით პერსეფონას შესახებ, რეალური განსახიერება ჰპოვა დაკრძალვის კულტში: ბერძნები იებს მოჰყენდნენ უდროოდ მომკვდარ უმანკო ქალიშვილების სარეცელს, რომაელები კი რთავდნენ ამ ყვავილებით ნათესავების საფლავებს ხსენების დღეს. მხიარული ბარბაროსები არ ეთანხმებოდნენ ბერძნებისა და რომაელების ხედვას: მათთვის ია იყო გაზაფხულის მხიარული ემბლემა, სილამაზის სიმბოლო, პატარძლის უმანკოებისა და თავმდაბლობის, ამიტომ მშვენიერი ყვავილები ამშვენებდა ახალდაქორწინებულთა მოკაზმულობას და მხიარულ საგაზაფხულო ზეიმებს“ [Мифологическая энциклопедия].

„ია არის მოკრძალების სიმბოლო, რადგან იზრდება უფრო მაღალი მცენარეების ჩრდილში. ყვავილების ენაზე ია არის უმანკოების სიმბოლო, არსებობს თქმულება, რომ ის იზრდება ქალწულების საფლავებზე“ [Мифологическая энциклопедия].

ასევე ითვლებოდა, რომ კომმარებს აგზავნიდნენ ალქაჯები ან ემმაკები. მარას სახეს აქვს ინდოევროპული საწყისები შევ. სლავური მარა და ა.შ. [Энциклопедия мифологии].

საინტერესოა აგრეთვე, რომ პოეტის აღქმაში მარა გამოყვანილია მდედრობითი სქესის: «...мара встречена», ანუ, აქ ჩვენ ვხვდებით არა გართულ მოჩვენებას, არამედ პოეტის მიერ ჩაფიქრებული „ბოროტების“, „სულის“ „არსის“ ქალურ ბუნებას.

ელიზავეტა კუზმინა -კარავაევასთან ჩვენ ვხვდებით შემდეგ სტრიქონებს:

«Мы близки нетленной Невесте,

...

Пусть, приняв божественные вести,

Будет ныне наша смерть чиста»

[Антология Русской поэзии Серебряный век: 555]

აქ ჩვენ ისევ ვხედავთ სიკვდილისა და ქორწილის თემატიკის გადაკვეთას. «Невеста» („პატარძალი“) აღნიშნულია პოეტის მიერ დიდი ასოთი, რაც მიუთითებს მის ღვთაებრივ საწყისზე. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საუბარია ქრისტიანულ ღვთისმშობელზე, თუმცა, ჩვენი აზრით, მსგავსი ეპითეტი, ასეთ შემთხვევაში, იქნებოდა უადგილო, რადგან ქრისტიანული ღვთისმშობელი, ქრისტიანული თქმულებების მიხედვით, ერთდროულად იყო მიწიერი და ციური ქალი (жена), და ყველა ქრისტიანის ძირითადი ლოცვის „მამაო ჩვენოს“ ტექსტშიც „ ვკითხულობთ: «Да, благословенна ты в женах», ანუ სხვა ქალთა შორის, მაგრამ არა როგორც პატარძალთა შორის. გარდა ამისა, ღვთისმშობელი არის დედა, პატარძალი კი ვერ იქნება დედა, ყოველ შემთხვევაში საკრალური და არა ყოფითი მნიშვნელობით. თუმცა სიკვდილისა და ღვთისმშობლის, წმინდა პარასკევასა და სხვა ქრისტიანული წმინდა ქალწულების სახესთან შერწყმა არაერთხელ შეგვხვედრია ჩვენი კვლევის მიმდინარეობისას, როგორც ფოლკლორული მასალაში, ასევე ზოგიერთი მხატვარი სიმბოლისტის ტილოებზე (იხ. ნახ. 7,8,9). ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ქრისტიანული წარმოდგენების კავშირზე ქალური ღვთაების შესახებ - წმინდა ღვთისმშობლის წარმართულ წარმოდგენებთან ვინმე ქალურ უმაღლეს ღვთაებაზე იმ კავშირში,

რომელმაც ქრისტიანობის მიერ წარმართობის გამოდევნის შემდეგ „აილო“ საკუთარ თავზე ამა თუ იმ ღვთაების ფუნქცია, ასე, ცნობილია, რომ „პირუტყვთა ღმერთის ველესის სახე სრულად შეცვალა წმინდა ნიკოლოზმა (ხანდახან წმინდა ვასილიმ). პერუნის ფუნქცია, კი შეითვისა ილია წინასწარმეტყველმა [Иванов, Топоров 1974: 45]. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩანაცვლების მსგავსმა პროცესმა არ აუარა გვერდი სიკვდილის ქალურ ღვთაებას.

მოცემულ კონტექსტს (სიკვდილისა და ქორწილის თემატიკის გადაბმაში) შეესაბამება ვსვ. როჟდესტვენსკის სტრიქონები მისი ლექსიდან «Баллада» („ბალადა“).

«О, скорее! Не опоздать бы...

Я кричу, я глотаю ветер,

Это ночь нашей черной свадьбы

С той, которой сейчас не спиться»

[Антология Русской поэзии Серебряный век: 626].

შავი ვუალი, შავი გაზაფხული და შავი ქორწილი. მოცემულ სტროფებში ჩვენ ვერ ვპოულობთ პირდაპირ მითითებას ან მიმართვას სიკვდილზე, როგორც ღვთაებაზე, მაგრამ აქ საინტერესოა თვითონ ეპითეტი «черная свадьба» („შავი ქორწილი“). შავ ქორწილს უწოდებდნენ პატარძლის დაკრძალვის წეს-ჩვეულებას. სლავებთან საქორწილო რიტუალი იყოფოდა ორ ნაწილად. იმას, რომელიც ახლოა ქორწილის შესახებ თანამედროვე წარმოდგენასთან, როგორც შეუჩერებელ მხიარულებასთან და ორი ახალგაზრდა ადამიანის ბედნიერების აპოგეასთან, ეწოდებოდა «Красный стол» („წითელი სუფრა“) და რიგით იყო მეორე. პირველს ეწოდებოდა «Черный стол» („შავი სუფრა“). დღევანდელ დღეს ის პრაქტიკულად ბოლომდეა დავიწყებული.

„შავი სუფრის“ წესების თანახმად, პატარძალი უნდა წავიდეს ეკლესიაში არა სადღესასწაულო კაზაში, როგორც ამას ხშირად აჩვენებენ ფილმებში, არამედ სამგლოვიარო სამოსში, თითქოს დაკრძალვაზე. სწორედ ეს იყო მისი სარიტუალო დაკრძალვა, ნიშნობის თანმხლებთა თვალში კი ის იყო რაღაც უცხო, როგორც ცოცხალი მიცვალებული. ამ წარმოდგენათა რუდიმენტებს შესაძლოა შევხვედროდით რუსულ სოფლებში XX საუკუნის დასაწყისში.

ტრადიციულად, საშინაო ნიშნობის შემდეგ, პატარძლები იმწამსვე იცმევდნენ სამგლოვიაროს: ზოგ ოლქში თეთრ პერანგს ან სარაფანს (თეთრი ფერი - თოვლისა და სიკვდილის ფერი სლავებთან), ზოგში კი - შავს. არხანგელსკის გუბერნიაში პატარძლის თავს ფარავდნენ „კუნკულით“ («куколь»), რომელშიც, როგორც წესი, მარხავდნენ. ამის შემდეგ ქალიშვილისთვის დგებოდა მისი ბედის დატირების წეს-ჩვეულების დრო.

ბევრი საუკუნის მანძილზე მიღებული გახდა ჩათვლილიყო, რომ ასე პატარძალი ემშვიდობებდა მშობლიურ სახლს. მაგრამ რეალურად დასამშვიდობებელი სიმღერების ტექსტიდან აშკარაა, რომ საუბარია სიკვდილზე: «за три леса, три горы и три реки», ანუ უწმინდური ძალის სავანეში. ყოველ შემთხვევაში, ასე ხდის შესაძლებელს გაშიფროს ეს ფორმულა ვლადიმირ პროპმა თავის წიგნში «Исторические корни волшебной сказки» [Пропп].

პატარძალი დაიტირებდა საკუთარ თავს, როგორც მიცვალებულს: ნოვგოროდჩინაში, მაგალითად, დღესაც მღერიან სუდარის შესახებ, რომელიც მას უნდა, რომ მიიღოს საჩუქრად. ხშირად ქალიშვილი დამწუხრებული ემშვიდობებოდა გუგულს თხოვნით გადაეცა ამბავი მშობლებისთვის. ესეც არ არის შემთხვევითი: გუგული ითვლებოდა ჩიტად, რომელიც დაბრკოლების გარეშე დაფრინავდა ორ სამყაროს შორის.

ბევრ ქვეყანაში პატარძლებისთვის აკრძალული იყო ლაპარაკი, სიცილი, ქუჩაში გამოსვლა, ხანდახან საერთო სუფრასთან დაჯდომაც კი. ისინი არიან მკვდრები, მათთვის არ შეიძლება არაფრის კეთება, მზითვების მოწესრიგების გარდა, და ისიც იმიტომ, რომ თქმულებების მიხედვით ქალების სულებისთვის საიქიო სამყაროში აკრძალულია კერვა და რთვა. არსებობს აზრი, რომ თვითონ სიტყვა «невеста» („პატარძალი“) ნიშნავს «неизвестная» („უცნობი“) («не ведать»-დან), ანუ გაუპიროვნებული, როგორც ყველა მიცვალებული.

ზოგიერთი წეს-ჩვეულება ინახავს შიშის ხსოვნას, რომელსაც ოდესღაც განიცდიდნენ მშობლები მათი „მომკვდარი“ ქალიშვილების წინაშე. ზუსტად ეს იყო პატარძლების საკუჭნაოში ჩაკეტვის ტრადიციის საფუძველი. XIX საუკუნეში ეს

ჩვეულება ჯერ კიდევ იყო აქტიური, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმბოლურად, რიაზანისა და პსკოვის გუბერნიის სოფლებში. პატარძლებისთვის ასევე კერავდნენ პერანგებს თათმანებით მტევნების ქვეში, რომ ისინი არ შეხებოდნენ ადამიანებსა და ნივთებს - მკვდრის შეხება შესაძლო ყოფილიყო დამლუპველი.

დაბოლოს, ტრადიციული გადასაფარებელიც, რომელიც შემდგომ ფატად ტრანსფორმირდება, თავდაპირველად იყო პატარძლის მზერის დასაფარი საშუალება, რომელიც ადრე აღიქმებოდა, როგორც ალქაჯის მზერა. რიაზანში პატარძლებს დღემდე უწოდებენ „სირინოზებს“. ახლა ეს მეტაფორაა, ადრე კი - არა: რუსულ დემონოლოგიაში სირინოზები იყვნენ „უწმინდური“ მიცვალებულები, ანუ ისინი, ვინც მოკვდა დროზე ადრე: მოკლული არა ომში, დამხრჩვალეები ან ისინი, ვინც თავი მოიკლა. ისინი იქცეოდნენ ცოცხალ მკვდრებად, ორ სამყაროს შორის მოხეტიალედ და ცოცხლებისთვის ბოროტების მომტანად, სანამ არ ამოიწურება მათი დრო და არ წავლენ მიცვალებულებთან ერთად სამუდამოდ. ასეთები იყვნენ პატარძლებიც.

ამ კონტექსტში გასაგები ხდება პატარძლისთვის ქორწილის წინა დღეს აბანოს მოწყობის წეს-ჩვეულების საწყისი არსი. ეს არის განზანცა დაკრძალვის წინ. კარელიის სოფლებში ახალდაქორწინებულს ამის შემდეგ ასევე აწვენდნენ, როგორც მიცვალებულს, წითელ კუთხეში ხატების ქვეშ [Давно забытые русские обряды: Мертвая невеста 2013].

დამკრძალავი თამაში შესაძლოა დაწყებულიყო ქორწილშიც. როდესაც ნეფე მოდიოდა სახლში პატარძალთან და ეძებდა მას, მას არ უშვებდნენ იმ საბაბით, რომ სახლში წევს მიცვალებული. ამასთან ერთან პატარძალს დაიტირებენ როგორც მიცვალებულს. წესი «пряжения покойника» („მიცვალებულის გადაცმა“) მთავრდება სახუმარო ანდერძის აგებით. ქორწილი მოიცავდა საქელებო წირვასაც. ჯვრისწერის შემდეგ ახალდაქორწინებულები მიდიან სასაფლაოზე (ან სხვა ღირსსახსოვარ ადგილას), სადაც დამარხულია მათი ნათესაობა, რომ დაუმოწმონ მიცვალებულებს მათი პატივისცემა და გაუზიარონ სიხარული, რადგან წინაპართა მონაწილეობა დღესასწაულში აუცილებელი იყო შთამომავლობის გასაგრძელებლად.

ქორწილის შემდეგ პატარძალი ბრუნდებოდა სახლში, სადაც ცხოვრობდა გარკვეული დროის განმავლობაში. სახლში დაბრუნების წეს-ჩვეულება არის დაბრუნების აკრძალვის სახეცვლილი ფორმა. შვილი თითქოს იმყოფება სახლში და მას ვერ ცნობენ: მას აქვს ახალი სახე - «стара стала» („ძველი გახდა“). წასვლის შემდეგ ქალი უკვე ეკუთვნის სხვა სამყაროს. მისი ნათესაობრივი კოლექტივისთვის მას მოაქვს საფრთხე. ამიტომ გზები (стежки- дорожки) მშობლიურ სახლში დაკეტილია (позарастали) [Тюгашев 2006].

ზემოთ აღწერილი წეს-ჩვეულების ნიშნებს ვხვდებით ა. ბელის ლექსში «Преследование» („დევნა“):

«Опять над нею залучился
Сияньем свадебный венец.
За нею в дрогах я тащился,
Неуспокоенный мертвец.
Сияла грешным метеором
Ее святая красота.
Из впадин ей зияла взором
Моя немая пустота.
Ее венчальные вуали
Проколебались мне в ответ.
Ее глаза запеленали
Воспоминанья прежних лет.
На череп шляпу я надвинул.
На костяные плечи — плед.
Жених бледнел и брови сдвинул,

Как в дом за ними шел я вслед.
И понял он, что обвенчалась
Она не с ним, а с мертвецом.
И молча ярость занималась
Над бледно бешеным лицом.
Над ней склоняюсь с прежней
лаской;
И ей опять видны, слышны:
Кровавый саван, полумаска,
Роптанья страстные струны,
Когда из шелестящих складок
Над ней клонюсь я, прежний друг.
И ей невыразимо гадок
С ней **почивающий** супруг».

აქ ლირიკული გმირი პირდაპირ უწოდებს საკუთარ თავს დაუკრძალავ მიცვალებულს, თუმცა ნათელია, რომ საუბარია ცოცხალ ადამიანზე, რომელიც თან ახლავს ნეფეს საქორწილო წესის დროს. «На череп шляпу я надвинул» (სიტყვასიტყვით: ქალაზე ქუდი აღმართა) - ქალაზე, და არა „თავზე“ იხურავს გმირი ქუდს და ახვევს პლედში «костяные» („გამღვიანებულ“) «плечи» („მხრებს“), ეს ყველაფერი მხოლოდ ამბაფრებს მკვდრის სახეს, რომელიც მკვიდრდება მკითხველის ცნობიერებაში და ხდება ხილული. და ისევ, ჩვენ ვხედავთ პატარძლის „საჯვრისწერო ვუალს“. ლექსი სრულდება სტროფებით: «И ей невыразимо гадок / С ней почивающий супруг». ჩვენი აზრით, ეპითეტი «почивающий» („მოსვენებული“)

არ არის შემთხვევითი. ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ სიტყვია «почивший» („მოსვენებული“) -ის ეტიმოლოგია. ჩვენი აზრით, ავტორი შეგნებულად იყენებს ამ ეპითეტს, რომ გაამაგროს მკვდრის სახე, რომელიც ასე ცოცხლად არის შემოყვანილი ლექსში.

ასე, ჩვენ ვხედავთ, რომ სიკვდილის, გაზაფხულისა და ქორწილის (პატარძლის) სიმბოლოები ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ რთულია გავარჩიოთ ურთიერთგადასვლა მათ შორის, რაც მხოლოდ ადასტურებს ჩვენს ვარაუდს სიკვდილის მრავალმხრიობისა და მრავალსახოვნების შესახებ, როგორც მოვლენის და როგორც ღვთაების ძველ სლავებში, რომელსაც აქვს უფრო ძველი ფესვები, დაკავშირებული ინდურ და ანტიკურ მითოლოგიასთან

3.3. სიკვდილის, ღამისა და ძილის ურთიერთკავშირი სიმბოლისტების ლირიკაში

შემდეგი ჩამოყალიბებული შრე არის ღამის გაიგივება სიკვდილთან, რომელიც ხშირად გვხვდება. ჩვენ გვაქვს ამის ბევრი მაგალითი. ფ. სოლოგუბთან ჩვენ ვკითხულობთ

«От зноя не стремится в тень (душа –
А.К.)
И **вечной ночи** не торопит, -

შემდეგ

Настанет неизбежный день
И будет кубок жизни допит»
[Гаспаров: 64].

სტრიქონებს:

სიკვდილი წარდგება ჩვენს წინაშე მუდმივი ღამის სახით. ლირიკული გმირის სული, მისივე სიტყვების მიხედვით, არ აჩქარებს სამუდამო ღამის მოსვლას, რადგან ამ მოახლოების შედეგად «... будет кубок жизни допит» (სიტყვასიტყვით: „თითქოს ბოლომდე არის დალეული სიკვდილის ფიალა“), ანუ სამუდამო ღამის მოახლოება მიიყვანს მიწიერი სიცოცხლის აღსასრულთან, ამასთან, გმირი აღნიშნავს, რომ ეს მომენტი გარდაუვალია «Настанет неизбежный день» (სიტყვასიტყვით: „დადგება გარდაუვალი დღე“), რაც, თავის მხრივ, მიუთითებს არა აბსტრაქტულ დაღუპვაზე, არამედ აბსოლიტურად რეალურ სიკვდილზე, რომელიც გარდაუვალია ყველა ცოცხალისთვის.

საინტერესოა, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ღამის პერსონიფიცირების მაგალითებს.

«А **холодная ночь** одежды
Уронила на мокрый песок»

[Антология Русской поэзии Серебряный век: 560]

ვ. შილეიკოს მოცემულ სტროფებში საშკარაა ანტროპომორფიზმის ნიშნები. აქ ღამე წარმოგვიდგება დატყვევებული ქალის სახით, და როგორ გამჭვირვალედაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, სწორედ «одеждам», („სამოსის“) დახმარებით, რომელიც ღამემ გახადა, - «поняет» („უვარდება“), და ხდება ხილული მოცემული სახე – ღამე – ქალის.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ღამე, ქალის სახის მიღებით, არ კარგავს თავის მისტიურ, ღვთაებრივ ძალას. მისი სიცივე - «холодная ночь» („ცივი ღამე“), მმიუთითებს იმაზე, რომ საუბარია არა ადამიანზე, არამედ რაღაც მისტიურ არსებაზე,

თანაც, რადგან სიცივე და სიბნელე ასოციირდება ადამიანების უმეტესობისთვის ნიგატიური შინაარსის მოვლენასთან, - არსების, უდავოდ, «темной» („ბნელი“) ბუნების . თუკი ვისაუბრებთ ღვთაებებზე, მაშინ ღამე, ეჭვგარეშე, მიეკუთვნება ბნელ, ბოროტ ღმერთებს.

«... Дрогнули тела, повалились рядами,
Сокрушенные зорким огнем.

...

К ночи пришли **влюбленные девы**
Грудью прильнули к **вспаханному**
полю,
К полю сытому от цельного хлеба
И от соли.

(Нежные губы жжет

Смертный пот!

А в деревне была собака,

Вспоминая жилье,

Была, что что-то было,

И что иссякло

Все.»

(И. Эренбург)

[Антология Русской поэзии

Серебряный век: 549]

მოცემულ ლექსში ჩვენ ისევ ვხვდებით ღამისა და სიკვდილის თემას, რომელიც გადახლართულია ასევე ნაყოფიერების თემასთან. მოცემულ ლექსში, ჩვენ ჯერ ვხედავთ ჯარისკაცების დაღუპვას, შემდეგ ვხედავთ შეყვარებულ ქალიშვილებს, რომლებიც მოვიდნენ «плакаться» („ეწუწუნონ“) ღამეს და მივარდნენ მოხნულ მდელოს, სიცოცხლით სავსეს. ძაღლის ყმუილი, ცნობილი სიმბოლოა, მას მოაქვს სიკვდილი, უბედურება და ა.შ.

ბ. გუმბილიოვი ლექსში «Заклинание» („შელოცვა“) ქმნის ვიღაც მისტიური არსების მკვეთრ სახეს, ღამის წესის აღწერით, რომლის აღსრულების შედეგი არის «царицы беззаконий» („უკანონო დედოფლის“) გამოძახება. პოეტი პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ ბევრი თვისების მიხედვით, აღწერილ გმირში მარტივად შეიძლება სიკვდილის ამოცნობა. ასე, ჩვენ ვკითხულობთ:

«Юный маг в пурпуровом хитоне
Говорил нездешние слова,
Перед ней, **царицей беззаконий,**
Расточал рубины волшебства.
Аромат сжигаемых растений
Открывал пространства без границ,
Где носились сумрачные тени,
То на рыб похожи, то на птиц.
Плакали невидимые струны,
Огненные плавали столбы,
Гордые военные трибуны

Опускали взоры, как рабы.
А царица, тайное тревожа,
Мировой играла крутизной,
И ее атласистая кожа
Опьяняла снежной белизной.
Отданный во власть ее причуде,
Юный маг забыл про всё вокруг,
Он смотрел на **маленькие груди,**
На браслеты вытянутых рук.
Юный маг в пурпуровом хитоне
Говорил, **как мертвый,** не дыша,

**Отдал всё царице беззаконий,
Чем была жива его душа.
А когда на изумрудах Нила**

**Месяц закачался и поблек,
Бледная царица уронила
Для него алеющий цветок.»**

პოეტი უწოდებს მისი შემოქმედების გმირს «царицей беззаконий» („უკანონობის დედოფალს“) და ის ევლინება «юного мага» („ახალგაზრდა ჯადოქრის“) რაღაც მისტიკური მოქმედების საშუალებით. ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ აღევლინება წესი: «аромат сжигаемых растений» ხსნის «пространства» („სივრცეს“), რომელშიც ჩვენ ვხედავთ «сумрачные тени» („დაბინდულ ჩრდილებს“) განსხვავებული სახით და «огненные столбы» („ცეცხლის სვეტი“). ამასთან ერთად გმირს აქვს უშველებელი ძალაუფლება: «гордые военные трибуны, / опускали взоры как рабы», «а царица, тайное тревожа, / мировой играла крутизной». ამასთან ერთად, ჩვენ ისევ ვპოულობთ ანტროპომორფიზმის თვისებებს: «и ее атласистая кожа / опьяняла снежной белизной», «маленькие груди» („პატარა მკერდი“) თითქოს არ არის განკუთვნილი დედობისთვის, «браслеты вытянутых рук», «бледная царица» („ფერმკრთალი დედოფალი“) - ეს თვისებები ანათესავებს ქალღმერთს სიკვდილის სახესთან. ამის მტკიცებულებას ვპოულობთ ლექსი «Бледная царица уронила / Для него алеющий цветок» („ფერმკრთალმა დედოფალმა დააგდო/ მისთვის ალისფერი ყვავილი“)- ის ბოლო სტროფებში .სიკვდილი, როგორც დავრწმუნდით სხვადასხვა მაგალითების საშუალებით, ყოველთვის გარემოცულია ყვავილებით, აღმასვლით, ბნელი მკით, გაზაფხულით, ქორწილით, როგორც გარდამავალი წესით, ინიციაციებით, მიწის ნაყოფიერებით, მაგრამ არა დედობით. ყვავილის ალისფერი ფერი გვაკავშირებს სისხლთან, სიკვდილთან. რადგან «юный маг» („ახალგაზრდა ჯადოქარი“) «отдал все царице беззаконий, чем была жива его душа», ანუ , როგორც ვფიქრობთ , გამოემშვიდობა სიცოცხლეს, «царица» („დედოფალმა“) კი პატივი აგო მის წასვლას ყვავილებით.(იხ. თავი 2 (2.5))

სიკვდილის, როგორც სამყაროს, საიქიოს მბრძანებლის, მშვენიერი დედოფლის, ჩვენ გვხვდება ასევე ზოგიერთი მხატვარი სიმბოლისტის ტილოებზე (იხ. ნახ.10,11).

ი. ანენსკი თავის ლექსთანაგ ერთ-ერთში ქმნის ღამის შემდეგ სახეს:

«...Там в дымных топазах запястий
Так тихо мне Ночь говорит;
Нездешней мучительной страсти
Огнем она черным горит...

Но я... безучастен пред нею
И нем, и недвижим лежу...

.....

На сердце ее я, бледнея,
За розовой раной слежу,

За розовой раной тумана,
И пьяный от призраков взор
Читает там дерзость обмана
И сдавшейся мысли позор».

მეტად გამოკვეთილია ნაწყვეტი - ღამის პერსონოფოცირება აშკარაა. ღამის წარდგენა დამატყვევებელი ქალწულის სახით, რომელიც პირდაპირი გაგებით ბრიალებს არაადამიანური ვნებით «Нездешней мучительной страсти/ Огнем она черным горит...» თუმცა ლირიკული გმირი უცნაურად რჩება გულგრილი მის მიმართ. ჩვენ ვხედავთ, რომ ის «И нем, и недвижим лежу...» (სიტყვასიტყვით: „მუნჯად და უმოძრაოდ ვარ ვწევარ“) - ამ სტრიქონს უკვე მიჰყავს მკითხველი აზრამდე სასიკვდილო სარეცელის შესახებ, ბოლო სტრიქონები, კი - ადასტურებს ამას- «И сдавшейся мысли позор», - აზრი «сдалась» („დანებდა“), ანუ გმირი აღარ აზროვნებს, არ არსებობს.

ღამე- ჯადოქარი, ალქაჯი - ეს სახე არ არის შემთხვევითი, ის ეყრდონა იმ მითიური გმირის ღვთაებრივი ბუნების საწყისს, რომელიც იმალება ამ ყველა შრის მიღმა, რომელიც არის აქვს მინიჭებული ძალები, ღვთაებრივი ბუნება და ძალაუფლება. თავში 2 (2.8) ჩვენ მოვიყვანეთ ჯადოქრობის გამოყენების მაგალითები ქალღმერთი მარენას მიერ ერთ-ერთი ატრიბუტის სახით. ჩვენ გვაქვს ამის მტკიცებულება ი. ანენსკის სტრიქონებში:

«То луга ли, скажи, облака ли, вода
ль
Околдована желтой луною:
Серебристая гладь, серебристая даль
Надо мной, предо мною, за мною...

Ни о чем не жалеть... Ничего не
желать...
Только б маска колдуньи светилась
Да клубком ее сказка катилась
В серебристую даль, на сребристую
гладь».

ყვითელმა მთვარემ მოაჯადოვა ყველაფერი ირგვლივ, შეაერთა მიწა («то луга ли»), ცა («облака ли») და წყალი, მან თითქოს დააჰიპნოზა ლირიკული გმირი («ни о чем не жалеть... ничего не жалеть») და აწი მას აღარ უნდა არაფერი, გარდა იმისა, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყოს მის მიერ მოჯადოვებული და თვალყური ადევნოს

პირდაპირი გაგებით მის წინ «разворачивающейся» („მიმდინარე“) ზღაპარს («да клубком ее сказка катилась»). საინტერესოა ასევე თვით მთვარის სახე – ის არის მხოლოდ მანათობელი ნილაბი ვიღაც ჯადოქრის სახეზე

ჯადოქრის სახეს ჩვენ ვხვდებით ი. ანენსკის შემდეგ სტრიქონებში:

«Там полон **старый сад** луной и небылицей,
Там клен бумажные заморозил листы,

Там в очертаниях тревожной пустоты,
Упившись чарами луны зеленолицей...»

«Зеленолицей» („მწვანესახიანი“), «зеленокожей» („მწვანეკანიანი“) (там же: «Но, **изумрудами запястий залитая**») - ზოგიერთი თქმულების მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ ალქაჯი. ისევ, ჩვენს წინაშე ჩნდება მთვარის სახე, რომელიც აჯადოვებს ყველაფერს გარშემო.

«Но в поле **колдунья ему**
Последние цепи сварила

И тихо в немую тюрьму
Ворота за ним затворила».

ისევ ი. ანენსკისთან ვხვდებით ჯადოქრის ამავე სახეს, რომელიც ბორკავს ლირიკულ გმირს, «последними цепями» („უკანასკნელი ჯაჭვებით“) და ატყვევებს სამუდამოდ რაღაც немую тюрьму („მუნჯ ციხეში“) - პირდაპირი მითითება სიკვდილის შესახებ, სიცოცხლის აღსასრულის, სხვა სამყაროში გადასვლის, საიდანაც ვერ გამოხვალ და ვერ გააგონებს ხმას.

ღამის სახეს საკმაოდ ხშირად ებმის ძილის თემას, თვით ღამეს მოაქვს სიზმარი, ის კი ხშირად უკავშირდება სიკვდილს. ძილი - ეს არის გადასვლა, ამიტომ მასში იმალება საფრთხე. მაგალითად, ი. ანენსკისთან ვხვდებით შემდეგ სტრიქონებს:

«Эх, заснуть бы спозаранья,
Да страшат набеги сна,
Как безумного желанья

Тихий берег умиранья
Захлестнувшая волна.
Свечка гаснет. **Ночь душна.»**

ისევ მასთან:

«**Эта ночь бесконечна была,**
Я не смел, я боялся уснуть:

Два мучительно-черных крыла
Тяжело мне ложились на грудь.

...

И не знал я, придет ли рассвет

Или это уж полный конец...»

აქ შესაძლებელი ხდება პარალელის გავლება თქმულებებთან უდაბლესი მითოლოგიის არსება „მარას“ შესახებ, რომელზეც დაწვრილებით ვსაუბრობთ ჩვენ კვლევის პირველ თავში (იხ. თავი 1 (1.1)).

ასევე ჩვენ ვხედავთ მას ვ. ბრიუსოვის ლექსში:

**«Демон сумрачной болезни
Сел на грудь мою и жмет.
Все бесплодней, бесполезней
Дней бесцветных долгий счет.
Ночью сумрак мучит думы,
Утром светы множат грусть,**

За окном все гулы, шумы
Знаю, помню наизусть.
То, что прежде так страшило,
Стало близким и простым:
**Скоро новая могила
Встанет — с именем моим».**

„მარა“ ჯდება მძინარეს მკერდზე და ამით ახრჩობს მას, რასაც ჩვენ ვხედავთ შემდეგ სტრიქონებში: «два мучительно черных крыла / тяжело мне ложились на грудь».

ა. ბლოკთან ვხვდებით შემდეგნაირად:

**«Прозрачные, неведомые тени
К Тебе плывут, и с ними Ты
плывёшь,
У него же:**

В объятия лазурных сновидений,
Невнятных нам, — Себя Ты
отдаёшь.»

**«Ты — другая, немая, безлика,
Притаилась, колдуешь в тиши».**

სიკვდილის ბევრი იერსახე, მისი ჰიპოსტასი, იმდენად ვიწროდ არის გადაბმული ზოგიერთ სტრიქონში, რომ უბრალოდ შეუძლებელია მათი დანაწევრება. სწორედ ეს მეტყველებს იმაზე, რომ აღწერილი მითიური პერსონაჟი მრავალგვარია და შეუძლია დარჩეს ის რაც არის, დაფუძნებული მის ღვთაებრივ არსზე, ასევე შეუძლია გამოავლინოს თავი ერთდროულად როგორც ერთ, ისევე ბევრ ჰიპოსტასში. მაგალითად

ა.

ბლოკთან

ვხედავთ:

**«Травы спят красивые,
Полные росы.
В небе — тайно лживые
Лунные красы.**

**Этих трав дыхания
Нам обманный сон.
Я в твои мечтания
Страстно погружён.**

**Верится и чудится:
Мы — в согласном сне.**
Всё, что хочешь, сбудется.
Наклонись ко мне.

Обними — и встретимся,
**Спрячемся в траве,
А потом засветимся
В лунной синеве».**

აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ერწყმის ღამის სახე სიზმრის სახეს, ასევე მკაფიოდ ავლენს თავს ბალი-სიკვდილის სახე. „*«Тайно-лживая»* („იდუმალად-მატყუარა“) მთვარის სილამაზე, *«травы спят»* („ბალახებს სძინავს“) თითქოს ცოცხალს, ამინებენ მათი სუნთქვით ლირიკულ გმირებს, სიზმრების ქვეყანაში იმხრობენ. (*«этих трав дыхания / нам обманный сон»*), თითქოს თვითონ არიან ყველა მიწიერი უბედურებისგან ხსნა (*«спрячемся в траве»*). ბოლო სტრიქონები ამბობენ, რომ ლირიკული გმირების დაძინების შემდეგ, რომლებიც აღმოჩნდებიან ბალახით დაფარულ, ისინი გაბრწყინდებიან, სავარაუდოდ გადაიქცევიან ვარსკვლავებად, „*в лунной синеве»* („მთვარის სილურჯე“- ში, ანუ აღმოჩნდებიან ღამის ცაზე. აქ ეჭვგარეშეა, რომ საუბარია სიკვდილზე, რადგან არსებობს თქმულებები, რომელთა თანახმად მიცვალებულები ჰპოვებენ სამუდამო თავშესაფარს ცაში და ანათებენ იქიდან ვარსკვლავების სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ ლექსში წამყვანი არის სიყავრულის თემა, ლირიკული გმირები, უეჭველად, არიან შეყვარებულები ერთმანეთზე.

ღამის გაღმერთებას ჩვენ ვხვდებით ა. ბლოკის შემდეგ სტრიქონებში:

**«Безысходно туманная — ты
Предо мной затеваешь игру.
Я люблю эту ложь, этот блеск,
Твой манящий девичий наряд.
Вечный гомон и уличный треск,
Фонарей убегающий ряд.**

Я люблю, и люблюсь, и жду
Переливчатых красок и слов.
Подойду и опять отойду
В глубины протекающих снов.
Как ты лжива и как ты бела!
Мне же по сердцу белая ложь...»

ჩვენს წინაშეა მაცდური, ნისლში გახვეული ქალწულის სახე. «*Фонарей убегающих ряд»* გვაკავშირებს დღე-ღამის ბნელ დროსთან, გარეთ ღამეა, ლირიკული გმირი არის ვიღაც ქალწულის მოლოდინში, რომელიც არის «*лжива»* („მატყუარა“) და «*бела»* („თეთრი“), სულ «*уходя»* („მიდის“) «*глубины протекающих снов»* („მიმდინარე

სიზმრების სიღრმეში”). «Туман» („ნისლი“), «сон» („სიზმარი“), «белая» („თეთრი“) მიმზიდველი ქალწულია, ვისი მისტიკური არსიც გაპოეტიზირებულია მოცემული ლექსის ფარგლებში. მსგავს სახეს არაერთხელ ვხვდებით ამავე ავტორთან:

«Тебя скрывали туманы,
И самый голос был слаб.
Я помню эти обманы,
Я помню, покорный раб.

Тебя венчала корона
Ещё рассветных причуд.
Я помню ступени трона
И первый твой строгий суд.

Какие бледные платья!
Какая странная тишь!

И лилий полны объятья,
И ты без мысли глядишь.

Кто знает, где это было?
Куда упала Звезда?

Какие слова говорила,
Говорила ли ты тогда?

Но разве мог не узнать я
Белый речной цветок,
И эти бледные платья,
И странный, белый намёк?»

აქ საინტერესოდ ხსნის მითიური გმირის სტატუსს - «Тебя венчала корона», «Я помню ступени трона / и первый твой строгий суд». ჩვენს წინაშეა მბრძანებელი ქალის სახე, რომელიც განაგებს ბედს. რომელ სამსჯავროზეა საუბარი? ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია იმქვეყნიურ სამსჯავროზე, როდესაც მიწიერი საქმეების მიხედვით წყდებოდა ადამიანის სულის შემდგომი ბედი იმქვეყნიურ სამყაროში.

ღამის აღქაჯთან დაბრუნებისას ვერ ავუვლით გვერდს სახეს, შექმნილს ვიაჩესლავ ივანოვის მიერ შემდეგ ლექსში:

«Снова в небе тихий серп Колдуньи
Чертит «Здравствуй»,— выкованный
уже Звонкого серпа, что режет золото.
На небе серебро — на ниве золото.
Уняло безвременье и стужи, Нам
царя вернуло Новолунье. Долгий
день ласкало Землю Солнце; В озеро
вечернее реками Вылило
расплавленное золото. Греб веслом

гребец — и черпал золото. Персики
зардели огоньками, Отразили
зеркальцами Солнце. **Но пока звала**
Колдунья стужи, Стал ленивей
лучезарный владарь: Тучное
раскидывает золото, Не считая: только
жжется золото. Рано в терем сходит...
Виноградарь **Скоро, знать, заплещет**
в красной луже».

მთვარის ნამგალი - ნახევარმთვარე, ხდება ნამგალი ღამის ჯადოქრის ხელში, რაც აკავშირებს ღამისა და მომკალის სახეს. «На небе серебро – на ниве золото» - პირდაპირ მიუთითებს ნამგალზე, რომლითაც კრეფენ დამწიფებულ «золотой» („ოქროსფერ“)მოსავალს მდელოში. აქ საინტერესოა ის, რომ ჯადოქარი არ ფლობს მხოლოდ ნამგალს, მას ასევე აქვს ძალაუფლება ყინვაზე, სიცივეზე: «Но пока звала Колдунья стужи», რაც საშუალებას გვაძლევს გავავლოთ პარალელი ქალღმერთ მარენასთან, რომელიც თავის ერთ-ერთ ჰიპოსტასში არის ზამთრის ქალღმერთი. ჩვენ შეიძლება ამოვიცნოთ აღწერილ გმირში სიკვდილი იმით, თუ როგორი არის ლექსის დასასრული: «Рано в терем входит виноградарь, / Скоро, знать, запляшет в красной луже». «Красная лужа» - სისხლის გუბე, ჩვენი აზრით ავტორმა შექმნა შემაშინებელი სურათი წითელი ანგარიშსწორების, რომელიც უნდა შეემთხვას ლექსის გმირს. «Запляшет в красной луже» („აცეკვდება წითელ გუბეში“) - აქ არ შეიძლება არ გავავლოთ პარალელი «пляской смерти» („სიკვდილთან ცეკვასთან“), რომელიც, როგორც ცნობილია, არის ჩვენი მიწიერი სიცოცხლის დასასრული.

ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ღამისა და მკის კავშირი, მთვარის სახის საშუალებით ნახევარმთვარე - ნამგალი მკისთვის არის დამკვიდრებული და უდავო. ამავე ავტორთან ვხვდებით:

**«Купалася луна в широком нежный серп, повисли ль гроздья
водном ложе; Катилась в ночь волна ночи Дух молит небо: «Стань!» — и
— и вновь жила луной. Внесен ли Миг: «Не умирай!..»**

კ. ბალმონტთან ჩვენ გვხვდება შემდეგი სახე, რომელშიც ანტროპომორფული მთვარე («с лицом опрокинутым»), ერწყმის «полночным сном» („შუაღამის შუქს“), იმავე დროს ერწყმის რაღაც «пропастью властной» („ძალაუფლების უფსკრულს“). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლექსში შემდგომ საუბარია შეყვარებულ დამხრჩვალეებზე, აშკარა ხდება, რომ საუბარია ღამისა და იმქვეყნიური სამყაროს შერწყმაზე:

«Над омутом, жутко-немым, глянцевитым,
Ущербная светит Луна,
С лицом опрокинутым, странно неслитым
С покоем полночного сна.
Но слитная страшно с той пропастью властной».

ამგვარად, ჩვენი აზრით, გარჩეული მაგალითები საშუალებას იძლევა გავავლოთ პარალელი სიკვდილსა და ღამეს შორის, რომელიც აუცილებელია მათი მსგავსების დასადასტურებლად.

3.4. სიკვდილის ცეკვა როგორც „მიწიერი გზის“ დასასრულის ალეგორია პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში

„სიკვდილის ცეკვა“ ან „ცეკვა სიკვდილთან“ როგორც „მიწიერი გზის“ დასასრულის ალეგორია საკმაოდ ხშირად გვხვდება რუსი პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში და ჩვენი მტკიცებით უკავშირდება ზოგიერთი სლავი ხალხის ძველი წარმართული წარმოდგენების დროს (იხ. თავი 1 (1.9).

«Будет ветер сосать их ржанье,

Панихидный справляя пляс.

Скоро, скоро часы деревянные

Прохрипят мой двенадцатый час!»

(С. Есенин)

[Антология Русской поэзии Серебряный век: 639]

ლხინი დაკრძალვაზე (ცეკვა არის ამის ერთ-ერთი ფორმა) ისევე, როგორც ინსცენირებული თამაში, ასრულებს მნიშვნელოვან როლს. სიცილს მიეწერებოდა განსაკუთრებული მაგიური ძალა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ბუნების მწარმოებლური ძალების ამაღლებისთვის, გაძლიერებისთვის და ახლებურად აელორძინებინა წარსული, სიცოცხლეში ახალი დაბრუნება, უზრუნველყო ნებისმიერი ახალი ფორმის განსახიერება [Лебедева 2007].

ამ ჭრილში სხვაგვარად იკითხება გიორგი ივანოვის ლექსი:

«Всё образует в жизни круг –

Слиянье уст, пожатье рук.

Закату вслед встаёт восход,

Роняет осень зрелый плод.

Танцуем лёгкий танец мы,

При свете ламп - не видим тьмы.

Равно - лужайка иль паркет –

Танцуй, монах, танцуй, поэт.

А ты, амур, стрелами рань –

Везде сердца - куда ни глянь.

И пастухи и колдуны

Стремленью сладкому верны.

Весь мир - влюблённые одни,

Гасите медленно огни...

Пусть образует тайный круг –

Слиянье уст, пожатье рук!..»

პოეტის აზრით ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ყველაფერი მეორდება. ცეკვა, თითქოს თვით სოცოცხლე, სანამ გრძელდება ცეკვა, ადამიანი არის ცოცხალი.

ვიაჩესლავ ივანოვთან ვხვდებით შემდეგ სტრიქონებს:

«Рано в терем сходит... Виноградарь

Скоро, знать, запляшет в красной луже»

აქ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტრიქონი: «Зпляшет в красной луже» („აცეკვდება წითელ გუბეში“) - «красная лужа» („წითელი გუბე“) ქმნის მკითხველის ცნობიერებაში დაღვრილი სისხლის სახეს, რომლის გუბეშიც უკანასკნელად უნდა აცეკვდეს ლირიკული გმირი. «Сплясать» („იცეკვო“) «красной луже» („წითელ გუბეში“) - მოკვდე გასისხლიანებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლექსში, რომელსაც ეკუთვის ეს სტროფები, საუბარია ვინმე ალქაჯზე («колдунье») («Снова в небе тихий **серп Колдуньи** / Чертит «Здравствуй»,— выкованный уже / Звонкого серпа, что **режет** золото. / На небе серебро — на ниве золото»), «вооруженной» („შეიარაღებულს“) ნამგლით, ნათელი ხდება, რომელ სისხლიან სასჯელზე შეიძლება იყოს საუბარი, ასევე ეჭვგარეშეა, რომ „ცეკვაში“ („пляской“) იგულისხმება ლირიკული გმირის სიკვდილი.

სიკვდილის ცეკვა, რომელსაც ასევე უწოდებდნენ „«пляска смерти» („სიკვდილის ცეკვა“) - არის ყოვლისმპყრობელი სიკვდილის შუასაუკუნოვანი ალეგორიული კონცეპცია, რომლის წინაშეც ყველა თანასწორია. ეს ცეკვა (პერსონიფიცირებულ სიკვდილს მიჰყავს საფლავთან საზოგადოების ყველა ფენის მოცეკვავე წარმომადგენელი) შეიძლება შეგვხვდეს დასავლეთ ევროპის დრამაში, პოეზიაში, მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში, უმეტესად, შუა საუკუნეების ბოლოს.

სიკვდილის ცეკვის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობილი მაგალითია ნახატთა სერია (1424-1425), რომელიც ადრე იყო განთავსებული „უმანკოთა სასაფლაოზე“ პარიზში. ნახატთა ამ სერიაში გამოსახულია ეკლესიისა და სახელმწიფოს მთელი იერარქია, რომლისგანაც ფორმირებულია მოცეკვავე პროცესია, სადაც ცოცხლები ენაცვლებიან ჩონჩხებსა და გვამებს, რომლებიც სიკვდილს მიჰყავს უკანასკნელ თავშესაფარში. ეს ნაშრომები არის უხეში შეხსენება სიკვდილის გარდაუვალობის და მოწოდება სინანულისკენ. პარიზული სიკვდილის ცეკვის სურათები განადგურდა 1699 წელს.

კონცეპცია სიკვდილის ცეკვა თანდათან გაქრა აღორძინების ეპოქაში, მაგრამ მოცემულმა თემამ ჰპოვა ახალი სივრცე XIX-XX საუკუნეების ფრანგულ რომანტიკულ ლიტერატურასა და მუსიკაში [Танец смерти 2015]. ალბათ ამის დახმარებით ჩვენ ვხვდებით ამ მოტივს სიმბოლისტების შემოქმედებაში.

აქ ვერ ავუვლით გვერდს სურათს „ცეკვა სანაპიროზე“, რომელიც ეკუთვნის ფინელ მხატვარ-სიმბოლისტს ჰიუგო სიმბერგს (Hugo Simberg) (იხ. ნახ. 13). მის სურათებზე სივრცე დადის სიკვდილის გვერდით, სიკეთე წინ უდგება ბოროტებას, ანგელოზები კი ებრძვიან დემონებს, რითაც ახსენებენ მაყურებელს, რომ ყველაფერი ამ სამყაროში გაწონასწორებული და დროებითია...[Противоречивый символизм 2016].

მაგალითები, აღმოჩენილი ზემოთ ხსენებული სიმბოლისტი პოეტებისა და მხატვრების შემოქმედებაში, საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ იმაზე, რომ „სიკვდილის ცეკვა“ არის სიკვდილის ალეგორია და გაიგივებულია მასთან თავისი აზრობრივი შემადგენლით.

3.5. „სიკვდილის ბაღი” - სიკვდილი მომკალის, მებაღის სახით

პირველ თავში (იხ. თავი 1 (1.3) ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ თვისებები და მახასიათებლები, რომელსაც სლავები მიაწერდნენ სიკვდილის ქალღმერთ მარენას, მათ შორის ჩვენ მეტად დაგვაინტერესა კავშირმა სიკვდილის ქალღმერთსა და მკას შორის. ამ თავში ჩვენ ვაპირებთ დაწვრილებით განვიხილოთ მიწის ნაყოფიერების, აღმონაცენის „მოვლის” და ა.შ. თემები სიკვდილის მიერ გამოვლენილი, სიკვდილის ბაღის სიმბოლიკა და აგრარული სამუშაოების, რომელთაც ის სწყალობს.

პირველ თავში ჩვენ მოვიყვანეთ სლავური ქალღმერთი მარენასა და ცერერას, ძველრომაული მოსავლისა და ნაყოფიერების ქალღმერთის, მსგავსების მტკიცებულება. ვიანჩ. ივანოვთან ჩვენ ვხვდებით შემდეგ სტრიქონებს:

«Как Церера, в ризе алой, Ты
сбираешь васильки; С их душою
одичалой Говоришь душой усталой,
Вяжешь детские венки.

...
И над щедрою могилой Не Церерою
унылой Ты о дочери грустишь»

მოცემული სტრიქონები იწვევს ინტერესს, რადგან მათში ერთმანეთს ედრება ვინმე ლირიკული გმირი ცერერას და გაჟღერებულია მსგავსი თვისებები: «Как Церера» („როგორც ცერერა“) «сбираешь васильки» („კრეფ ნარცეცხლას“) (ნარცეცხლები – ყველაზე უბრალო ყვავილებია, რომელიც იზრდება ნაყოფიერ, მაგალითად, ხორბლის მდელოზე). ნარცეცხლების ხსენება ისევ მიუთითებს მოსავლის თემაზე. «С их душою одичалой / говоришь душой усталой» - ჩვენ მიერ პირველ თავში მოყვანილი მტკიცებულებების თანახმად, მარენას (მარას) აქვს თვისება დადიოდეს მდელოებსა და ყანებში და შეულოცოს, დააძინოს ბალახები და ყვავილები, სწორედ ამას ხომ არ ვხედავთ მოცემულ სტრიქონებში? პოეტი პირდაპირ ამბობს, რომ საუბარია მხოლოდ ცერერასთან («Как Церера», „როგორც ცერერა“) შედარებაზე, ამასთან ერთად ლირიკული გმირი წარმოგვიდგება ალისფერ სამოსელში (в «ризе алой») რაც უდავოდ საუბრობს მის წმინდა, მისტიკურ ბუნებაზე. ბოლო სტრიქონებში პოეტი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მოთხრობის გმირი არ არის ცერერა («Не Церерою унылой») და მართლაც, რაში სჭირდება ცერერას,

რომელიც არის მოსავლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი წარმოიშვას „გულუხვი საფლავის“ («щедрою могилой») წინ და იდარდოს («грустить») მიცვალებულის გამო. საინტერესოა ეპითეტი „გულუხვი საფლავი“ («щедрая могила»). ჩვენი ნაშრომის პირველ თავში ჩვენ აღვწერთ მიცვალებულისთვის კუბოში მარცვლის ჩაყრის წეს-ჩვეულებას, რომლითაც მარენას ხარკს უხდიდნენ, პატივს აგებდნენ.

მკა გვანტერესებს იმიტომ რომ აღნიშნავს მოსავლის კრეფას, აგრარული სამუშაოების დასრულების ციკლს. არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ ხელოვნების ბევრ განსხვავებულ მიმართულებაში ვხვდებით მკის გაიგივებას ადამიანის სიცოცხლის დასრულებასთან და შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ სიკვდილი-მომკალის სახე არის საკმაოდ დამკვიდრებული (იხ. ნახ. 12)

**«О, Господь благой, колосьев много
Кончи жатвою кровавый год»
(Е. Кузьмина-Караваева)
[Антология Русской поэзии Серебряный век: 555]**

აქ აღსანიშნავია, რომ მკის იარაღი არის ნამგალი, იმ დროს, როდესაც ნამგალს უწოდებენ ნახევარმთვარესაც. ღამე, სიბნელე, სიცივე, შიში, ნახევარმთვარე, რომელიც ფორმით გვაგონებს ნამგალს - ეს ყველაფერი საკმარისია იმისთვის, რომ ღამე ბნელ ღვთაებად შეიქმას და მისი სახე დაუკავშირდეს სიკვდილისას.

**«Коромыслом серп двурогий
Плавно по небу скользит»
(С. Есенин)
[Антология Русской поэзии Серебряный век: 632]**

ს. ესენინის ამ სტრიქონებში ჩვენ ვხედავთ სიკვდილს, როგორც ნამგალს, მკას, რომელიც სრიალებს ცაზე, თითქოს ნავი წყალში, როგორც ვიცით მითების მიხედვით იმქვეყნიურ სამყაროში, შეზღუდულად ასოცირდება ნაყოფიერებასთან ორქიანობა- ასოცირდება ნახირთან, უღელი - ის, რისი საშუალებითაც სახლში იქნება გადატანილი მძიმე ტვირთი, ბარაქასთან. ამ ყველაფერს ასრულებს ღამე, რადგან მთვარე უმეტეს შემთხვევაში მკაფიოდ შეიძლება გავარჩიოთ მხოლოდ ღამით. მსგავსი ურთიერთგადასვლები ამდენად განსხვავებული მოვლენების იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს.

„სიკვდილის ბაღი”(იხ. ნახ. 14) – მხატვარი-სიმბოლისტი ჰიუგო სიმბერგის (Hugo Simberg) შთამბეჭდავი ნამუშევარია, რომელშიც მთავარი გმირი – სამი ჩონჩხია შავ სამოსში, რომლებიც განსაწმენდელში ახარისხებენ სულებს, მცენარეების სახით, რომელთაც სჭირდებათ მუდმივი მოვლა. ამგვარად მხატვარი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ სიკვდილსაც კი შეუძლია გრძნობების განცდა, ისეთი ნაზი ყვავილების მოვლით, რომელიც განასახიერებს ადამიანების სულებს. განსხვავებული აზრების, კამათისა და განსჯის მიუხედავად ჰიუგო სიმბერგი რჩება ერთ-ერთი წინისწინა და წინა საუკუნეების ყველაზე ლეგენდარული მხატვარ-სიმბოლისტად, რომელმაც შეძლო შეექმნა წინააღმდეგობრივი, დახვეწილი ირონიისა და სიგიჟის ზღვარზე მყოფი სურათების სერია, რომლის შემყურე უნებლიედ იწყებ ყოფის არსზე ფიქრს, რადგან მათ ყველას მოაქვს ენერჯის დაუსრულებელი ნაკადი და აქვს ღრმა მნიშვნელობა... [Противоречивый символизм].

მოცემული ნამუშევარი ძალიან საინტერესოა ჩვენი კვლევისთვის, რადგან არის უკიდურესად სიმბოლური. ჩვენი აზრით, ის განუყრელად არის დაკავშირებული მიწის ნაყოფიერების თემასთან, ყოფის ციკლურობასთან, რომელიც გამოხატულია ჭკნობისა და თავიდან დაბადების პროცესებით (იხ. თავი 2 (2.5)).

**«Зеленою кровью дубов и могильной травы
Когда-нибудь станет любовников томная кровь...»**
(Г. Иванов)
[Антология Русской поэзии Серебряный век: 610]

ამ სტრიქონებში პოეტი საუბრობს მიცვალებულთა იმქვეყნიურ გარდასახვაზე ბალახებსა და ხეებად, რაც დაწვრილებით განვიხილეთ 2 (2.5) თავში.

**«О, девушки, какая сила
В изломе вялых лепестков!
Я так же белый плащ носила,
Не знала пламенных оков.
Но чары нет неотразимей
Мерцаний яда в том саду,**

**Куда зашла тропой незримой,
Где я была... куда иду...»**
(А. Редат)
[Антология Русской поэзии
Серебряный век: 627]

პოეტის სიტყვების თანახმად, «излом вялых лепестков» („დამჭკნარი ფოთლების კლაკნილი“) წარმოადგენს არაჩვეულებრივ ძალას, კლაკნილი და სიმჭკნარე, სხვა

სიტყვებით ყვავილის სიკვდილი - არის არაჩვეულებრივი ძალა. შემდეგ ჩვენ ვხედავთ რაღაც ბაღს, რომელშიც ვპოულობთ თასს შხამით, ამასთან ერთად პოეტი ახასიათებს მას როგორც: «но чары нет неотразимей». ჩვენ ვხედავთ, რომ ჭკნობა, თასი შხამით და რაღაც ბაღი, რომელშიც ლირიკული გმირი უკვე ოდესღაც იყო, და სადაც მიდის უხილავი ბილიკით. უხილავი ბილიკი, როგორც ცხოვრების გზა, ბაღი, რომელშიც ჩვენ უკვე ვიყავით, და თასი შხამით, როგორც გადასვლა ამ ბაღში. თავიდან სიკვდილის სახე და ჭკნობა დამატყვევებელია, რადგან არის ციკლური, შესაბამისად სიკვდილი არის უკვდავება. ამასთან ერთად ჩვენ ისევ ვხედავთ თეთრ ფერს, რომელიც ასე ხშირად გვხვდება სიკვდილის თემატიკასთან დაკავშირებულ ლექსებში.

2. (2.4) თავში ჩვენ დაწვრილებით გავაანალიზებთ სიკვდილი-მომწამვლელის სახე, რომლის მთავარი ატრიბუტი არის თავი შხამით, რასაც ვხედავთ ამ სტრიქონებში: «Но чары нет неотразимей/ Мерцаний яда в том саду»,

ბ. პოპლავსკისთან გვხვდება შემდეგნაირად:

«Смерть играет в саду на трубе,

Звон сиреней несется с аллей.

Пожалей, его пожалей!

Помоги ему умереть.»

ისევ წარმოგვიდგება ბაღი, სადაც ჩვენ ვხედავთ სიკვდილს, რომელიც უკრავს მუსიკალურ საკრავზე. ის თითქოს კლავს ვიდაცას თავისი დაკვრით. აქვე ჩნდება იასამნის ყვავილები, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება მწუხარებისა და უბედურების სიმბოლოდ. იასამნის ყვავილებს ხშირად ურთავენ სამგლოვიარო კომპოზიციებს გლოვისა და მწუხარების ნიშნად. შესაძლოა, ეს უკავშირდება ყვავილების ლილისფერ ფერს, ბევრ კულტურაში სიკვდილთან ასოცირებულს. აღსანიშნავია, რომ იასამნის ყვავილები სიკვდილთან ერთად გვხვდება მხატვარი-სიმბოლისტების ზოგიერთ ტილოზე (იხ. ნახ. 10) «Пожалей, его пожалей!», «Помоги ему умереть» - ამ სტრიქონებში ჩვენ ვხედავთ პირდაპირ მიმართვას სიკვდილს, რაც გვიხატავს მის განსხვავებულ სახეს: გულკეთილის, განმათავისუბლისა და დამამშვიდებელის.

2 (2.6) თავში ჩვენ განვიხილეთ სიკვდილის ისეთი ატრიბუტი, როგორცაა მუსიკა და ჩამოვთვალეთ ინსტრუმენტები, რომელსაც ის იყენებს, მათ შორის საყვირი, რომელსაც ვხედავთ მოცემულ ლექსში: «Смерть играет в саду на трубе» („სიკვდილი უკრავს ბაღში საყვირზე“):

ზოგიერთი ყვავილის სამგლოვიარო სიმბოლიკის თემის გაგრძელებისას გვერდს ვერ ავუვლით ი. ანენსკის ქრიზანტემას მიძღვნილი ლექსის ხსენებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვლება გლოვის ყვავილად, არის ღრმა მწუხარებისა და სიკვდილის სიმბოლო.

«Тихо траурные кони
Подвигают яркий гнет,
Что-то чуткое в короне
То померкнет, то блеснет...
...Это было поздним летом
Меж раakit и на песке,
Перед бледно-желтым цветом
В увядающем венке,

И казалось мне, что нежной
Хризантема головой
Припадает безнадежно
К яркой крышке гробовой...
И что два ее свитые
Лепестка на сходнях дрог —
Это кольца золотые
Ею сброшенных серег».

ამგვარად, ჩვენ ისევ ვხედავთ სიკვდილში მომკალს. სიკვდილი - მომკალი, მეზაღე, ღამე, ზამთარი (სიცხვე) - ეს სახეები იმდენად განუყოფელია, როგორც სლავური სიკვდილის ქალღმერთი მარენას სხვადასხვა ჰიპოსტასები.

ღამისა და ბაღის თემის გადაკვეთას ჩვენ ვხვდებით ვიარ. ივანოვის შემდეგ სტრიქონები:

«А над парчою похоронной
Так облик смерти ясно-тих.
...

И месяц белый расцветает
На тверди призрачной —
так чист!...»

ჩვენ ვხედავთ, რომ ნახევარმთვარე, ასე ხშირად გამოყენებული „ღამის ჯადოქრის“ მიერ, როგორც მრისხანე ნამგალი, სიკვდილის, მკის იარაღი, აქ აყვავებულია როგორც მშვენიერი თეთრი ყვავილი. საინტერესოა, რომ სწორედ ნახევარმთვარეს მოუწია „გახდეს ყვავილი“, აყვავდეს, იმ დროს როდესაც მთვარე, ჩვენი აზრით, მისი სისრულისა და მეტად შესაფერისი მრგვალი ფორმის გამო, უკეთესად შეასრულებდა ამ გამოხატულებას. ჩვენი აზრით პოეტი შეგნებულად იყენებს ეპითეტს „ნახევარმთვარე“ («месяц»). ასე, ღამის მრისხანე ჯადოქრის სახე, რომელსაც აქვს ხელში ნამგალი, იცვლება მშვიდი, დამაძინებელი: «облик смерти

ясно-тих» და ნახევარმთვარე მრისხანე ნამგლიდან იქცევა თეთრ, ნაზ ყვავილად. ჩვენი აზრით, პოეტი შეგნებულად ხდის ჩანაცვლებას ასე აშკარას, რომ დაამკვიდროს მკითხველში ცვლილების, გადასვლის განწყობა.

ჩვენი აზრით, ამ თავში მოყვანილი მაგალითები საკმაოდ მჭერმეტყველია და საშუალებას იძლევა შეიქმნას მეტად სრული წარმოდგენა სიკვდილის გამოვლენაზე, რომელსაც ვხვდებით, როდესაც საუბარია აგრარულ ატრიბუტიკაზე, მოსავლის აღებაზე, ნაყოფიერების თემაზე, სიკვდილის ბაღზე, მცენარეების მოვლაზე და ასევე „სიკვდილის ცეკვაზე“. ამასთან ერთად, თვალსაჩინოა ურთიერთგადასვლაც სიკვდილი-ღამე-ნამგალი-მკა-ძილი-პატარძალი-დედოფალი-ჯადოქარი, რომელიც მეტად რთულია დავანაწევროთ, რადგან ისინი არის ერთი მისტიკური არსების - სიკვდილის ღვთაების, სლავური ქალღმერთი მარენას განსხვავებული გამოვლენა.

3.6. სიკვდილი - ზამთარი

პირველ თავში, სიკვდილის ქალღმერთი მარენას ზამთრის მოვლენასთან გაიგივების კვლევისას, ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ მარენას საფრთხობელას დაწვის წესი, რომლის მიზანი იყო ზამთრის რიტუალური სიკვდილი, მისი გაცილება, რამაც საშუალება მოგვცა დავრწმუნებოდით მსგავსი გაიგივების სამართლიანობაში. ეს წეს-ჩვეულება, ჩვენი აზრით, არის ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ სიკვდილის ზამთართან, სიცივესთან გაიგივების ბევრ მაგალითს, რის ჩვენებასაც ვაპირებთ მოცემულ თავში.

ი. ანენსკის შემდეგ ლექსში ჩვენ გვხვდება ამ მხრივ საინტერესო სახე:

«Дыханье дав моим устам,
Она на факел свой дохнула,
И целый мир на Здесь и Там
В тот миг безумья разомкнула,
Ушла, — и холодом пахнуло
По древожизненным листам.

С тех пор **Незримая**, года
Мои сжигая без следа,
Желанье жить всё жарче будит,
Но нас никто и никогда
Не примирит и не рассудит,
И верю: вновь за мной **когда**
Она придет — меня не будет»

არ არის საჭირო მოცემული ლექსის ღრმა ანალიზი, რომ ნათელი გახდეს-საუბარია სიკვდილზე: «...вновь за мной когда / Она придет – меня не будет», «С тех пор Незримая, года / мои сжигая без следа». აქ მეტად საინტერესოა სტრიქონი – «Ушла – и холодом пахнуло» - სიცივე ხომ როგორც სიკვდილის, ისე ზამთრის განუყოფელი „ატრიბუტია“.

ასევე მასთან ლექსში «Трактир жизни» („ცხოვრების დუქანი“):

«Ночь давно снега одела».

მეტად საინტერესო სახეა. წინა თავებში ჩვენ შევნიშნეთ ღამის სიკვდილთან კავშირი, მოცემული სახის მაგალითში კი - შეიძლება ვივარაუდოთ სიკვდილისა და ზამთრის შემდგომი კავშირი: სიკვდილი-ღამე-ზამთარი.

სიკვდილთან დაკავშირებული განსხვავებულ სახეთა, მათ შორის სიკვდილი-
ზამთრის, ნამდვილი სკივრი არის ა. ბლოკის ლექსი:

«И, влажный знак, она к нему всходила, Она в себе хранила тайный след. И в смерть ушла, желая и тоскуя. Никто из вас не видел здешний прах... Вдруг расцвела, в лазури торжествуя,	В иной дали и в неземных горах. И ныне вся овеяна снегами. Кто белый храм, безумцы, посетил? Она цвела за дальними горами, Она течёт в ряду иных светил.»
--	--

«И ныне вся овеяна снегами» რაღაც „თეთრ ტაძარში“(«белом храме»), სადაც ის – სიკვდილი, «ушла желая и тоскуя» და „აყვავდა“(«расцвела») „არამიწიერ“(«неземной») („სიმორეზე“) «дали» და ახლა «течет в ряду иных светил». «Влажный знак» („ნამიანი მარცვლეული“), რომელთანაც «всходила» („ადიოდა“) ლირიკული გმირი, იწვევს პირდაპირ ასოციაციას მოსავლის, ნერგების მოვლის, თემას, რომელიც დამახასიათებელია მარენასთვის და შემდგომ ჩვენ ვხედავთ სიკვდილის წასვლას, მის გადასახლებას „თეთრ“(«белый») ტაძარში, რაც თავის მხრივ იწვევს ასოციაციას ყინულთან, რადგან გმირი აწი «вся овеяна снегами» („სულ დაფარულია თოვლით“) და ახლა «течет в ряду иных светил» -ჩვენი აზრით, მოცემული სახე არის დამაკავშირებელი რგოლი ზამთარსა და ღამეს შორის. «Иные светила» (სხვა მანათობლები) - იწვევს მკითხველის ცნობიერებაში ღამის ცის, ღამის სახეს. სიკვდილის არსი ღვთაებრივია, რადგან ის ეკუთვნის არამიწიერ სივრცეებს.

ჯადოქრის სახე არაერთხელ შეგვხვდა პოეტი სიმბოლისტების ლექსების ანალიზში. ა. ბლოკთან ვხვდებით მსგავს სახეს, მაგრამ უკვე დაკავშირებულს სიკვდილთან-ზამთართან:

«Разбился лёд, последний камень Упал, — и сердце занялось.	Ты в белой вьюге, в снежном стоне Опять волшебницей всплыла»
--	---

ჩვენ ისევ ვხედავთ ვინმე ჯადოქარს, მაგრამ ახლა უკვე თოვლითა და ქარბუქით გარემოცულს.

მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ იგივე ავტორის შემდეგი ლექსი:

«Ночью вьюга снежная Заметала след. Розовое, нежное Утро будит свет. Встали зори красные, Озаряя снег.	Яркое и страстное Всколыхнуло брег. Вслед за льдиной синею В полдень я всплыву. Деву в снежном инее Встречу наяву».
---	--

ერთი შეხედვით, ლექსი საკმაოდ ორაზროვანია. თუმცა, თუკი უფრო დეტალურად განვიხილავთ, ნათელი ხდება ის «действие», („ქმედება“) რომელიც შექმნა პოეტმა ამ ნაწარმოებში. «Вьюга снежная» („თოვლის ქარბუქი“) ღამის საფარის ქვეში ფარავს კვალს. ჯერ კიდევ პირველი სტრიქონების წაკითხვისას ჩნდება შეგრძნება, რომ „ქარბუქი“ («Вьюга») („ფარავს კვალს“) «заметает следы» ისე, თითქოს ჩაიდინა რაღაც დანაშაული - ღამით. „წითელი“ («красные») აისი, ეცემა თოვლზე - მკითხველის ცნობიერებაში ჩნდება წითელი თოვლი, თითქოს ანიშნებს ღამით დაღვრილ სისხლზე. რაღაც „მკვეთრი“ («яркое») და „წითელი“ («красное») სწრაფი შერწყმით, ჩანს დინამიურობა, გადააქვს ლირიკული გმირის მზერა რაღაც „ნაპირისკენ“ «берег» -ნაპირი. შემდეგ «вслед за льдиной синею / в полдень я всплыву» - აშკარა ხდება, რომ ლირიკულმა გმირმა თავი დაიხრჩო, გაყინული წყალი, ყინული, ლურჯი ცივი ფერი. «Деву в снежном инее / Встречу наяву» - სინამდვილეში? ნუთუ ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრება მხოლოდ სიზმარია და ნამდვილი „სიცხადე“, ჭეშმარიტი რეალობა ხელმისაწვდომია ჩვენთვის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ან საკუთარი თავის დახრჩობა, ლირიკულ გმირს მხოლოდ დაესიზმრა საკუთარი სიკვდილი, მაგრამ მას იმედი აქვს რომ შეხვდება ვინმე «Девой в снежном инее» („ქალწულს ახალ თრთვილი“). ერთი რამ აშკარაა - საუბარია ლირიკული გმირის სიკვდილის შესახებ, რომელშიც «снежная дева» („თოვლის ქალწული“) ასრულებს მთავარ როლს.

მსგავსი სახე პრაქტიკულად მეორდება ვიაჩესლავ ივანოვის ლექსში:

<p>«Но пока звала Колдунья стужи, Стал ленивей лучезарный владарь: Тучное раскидывает золото, Не считая: только</p>	<p>жжется золото. Рано в терем сходит... Виноградарь Скоро, знать, заплывет в красной луже».</p>
---	--

ღამე: ჯადოქარი იძახებს ყინვას დანაშაულის ჩასადენად- მკვლელობისთვის, რომლის შესახებ არის საუბარი მოცემული ნაწყვეტის ბოლო სტრიქონში. შესაძლოა, მოცემულ ლექსში ყინვები, ა. ბლოკის ლექსში ქარბუქის მსგავსად, სჭირდება ჯადოქარს, რომ დაფაროვ მისი დანაშაულის კვალს და სანამ აგროვებს მის დამხმარეებს «владарь» („ბატონი“) „ზარმაცდება“ («облениваться»), მაგრამ ეს არ იხსნის

მას უბედურებისგან – ჩვენ ვხედავთ სისხლის გუბეს, „წითელ“ («красную») გუბეს, რომელშიც მას უწერია უკანასკნელი „ცეკვის“ შესრულება.

**«Но Владычицей вселенной,
Красотой неизреченной,
Я, случайный, бедный, тленный,
Может быть, любим.
Дни свиданий, дни раздумий
Стерегут в тиши...**

**Ждать ли пламенных безумий
Молодой души?
Иль, застывши в снежном храме
Не открыв лица,
Встретить брачными дарами
Вестников конца?»**

როგორც ჩანს, მოცემულ ლექსში ა. ბლოკი აღწერს იმავე ქალწულს, რომელმაც დაიმკვიდრა „სამყაროს მბრძანებლის“ სტატუსი. საინტერესოა, რომ ისევ ჩვენ წინაშეა „თოვლის ტაძარი“ «снежный храм». «Храм» - ტაძარი პირდაპირ მიუთითებს მისი მფლობელის დვთაებრივ ბუნებაზე. ლირიკული გმირი სვამს შეკითხვას, თუ რას ელოდოს მისი შეყვარებული „სამყაროს მბრძანებლისგან“ - «пламенных безумий» („ცეცხლოვან სიგიჟეს“) ან დროა შეხვდეს «брачными дарами» („საქორწილო ძღვენით“) აღსასრულის შიკრიკებს, რომლებიც გააგზავნა მასთან შესახვედრად. სიკვდილთან ჯვრისწერის მოტივი დაწვრილებით განვიხილეთ თავში სიკვდილი-პატარძლის შესახებ. აქ ვხვდებით, ჩვენი აზრით, მოცემული მოტივის კანონზომიერ განმეორებას.

3.7. სიკვდილის „ფერად“ განსახიერებათა ვარიანტულობა

წინა თავებში ჩვენ ვრცლად განვიხილეთ იმ იერებისა და განსახიერებების ვარიანტულობა ფერთან მიმართებით, რომლებშიც სიკვდილს შეუძლია მოველინოს. მათ შორის ის ყველაზე ხშირად ვლინდება თეთრსა და შავ ფერებში (იხ. თავი 1(1.5), რომლებიც რეალიზდება ხან სიკვდილის სამოსში, ხან კი თავად მის იერში. (სასიკვდილო ფერმკრთალობა - დემონური სიშავე). ჩვენს მიერ იყო მოყვანილი სხვა ფერების მაგალითებიც, რომელიც სიკვდილს თან ახლავს - სამეფო წითელი მის სამოსში, ნისლისებრი ლურჯი - განსაკუთრებით, მაშინ, როცა თავს ავლენს ზამთრის ჰიპოსტასში. საციებ-ცხელებო ყვითელი და ასევე ავადმყოფური მწვანე („მწვანესახა მთვარე“).

ჩვენი თვალთახედვით, ერთი და იგივე მისტიური არსების (მოცემულ შემთხვევაში - სიკვდილის ღვთაების) ასეთი ფართო ფერების სპექტრი, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მისი ბუნების მრავალსახოვნებას, რის დასადასტურებლადაც მოცემულ ნაშრომში მრავალი მაგალითი იყო მოყვანილი.

ამ მხრივ უკიდურესად საგულისხმოა კონსტანტინე ბალმონტის ლექსი, მჭერმეტყველი დასახელებით „შეთქმულება სიკვდილის წინააღმდეგ“, რომელსაც მისი განსაკუთრებული მნიშვნელოვნების გამო ვთვლით საჭიროდ მოვიყვანოთ სრული სახით:

«Начертивши ножом
Круговую черту,
Углем ее обведя,
И зажженной лучиной как глазом
змеиным глядя.
В полночасьи ночном,
И зажженной лучиной, сосновой,
отрезанный круг свой свята,
Озаря свою круговую черту,
Я в молчаньи узоры заклатья, узоры
проклятья плету
**Смерть закликаю, — не белую,
— черную,**

Желтую, серую, красную,
Смерть я зову, отвергаю,
Зарок налагаю
На рабыню подвластную,
Смерть, уходи,
В сказку мою, в сказку жизни
узорную,
Смерть, не гляди,
Смерть закликаю я красную,
От убийства, бесчасную,
Смерть закликаю я
черную,
От бесчестья, позорную,

Смерть заклиная я желтую,
 Смерть пожелтевшую,
 С жизнью живущую, с жизнью от
 лет ослабевшую,
 Смерть заклиная ползучую,
 серую,
 Мутною тучей встающую,
 Чтоб закрыть, заслонить Красоту с
 жизнелюбящей верою,
 Серо-гнетущую,
 Самую тяжкую, самую в жизнях
 обычную,
 Соки в расцветностях пьющую,
 Тяжесть кошмарных
 повторностей, тускло растущую,
 С силой дневной, ежедневной,
 недельной, годичною,
 В плоскости все забывающей,
 краски стирающей,

Счета не знающей,
 Счета не знающей,
 Незнакомой с какой бы то ни было
 мерою,
 Смерть заклиная я серую,
 Чтоб в сад мой, в расцветной
 различности дней,
 Когда я прослушаю песнь
 полнозвонности,
 Когда охватю все пределы я, —
 В своей непреклонности,
 В освежительной силе своей,
 Пришла ко мне, белая, белая,
 Та, в нагорной одежде, что
 Смертью зовется, равно, меж
 людей,
 Но кого я Свободой, и Новою
 Жизнью зову
 в многострунностях песни моей».

მოცემულ ლექსში პოეტი კალმის ერთი მოსმით აღწერს ყველა იმ ფერს, რომელიც სიკვდილს ახასიათებს, ამასთან თითოეულ მათგანს სათანადო მახასიათებლებს აძლევს. რას ვხედავთ მოცემულ ლექსში? მისი დასახელებაა - «Заговор против смерти» („შეთქმულება სიკვდილის წინააღმდეგ“), თუმცა ლექსის ბოლოს პოეტი მაინც საუბრობს საკუთარი ცხოვრების დასასრულზე. «Когда охватю все пределы я», ანუ, საუბარი მაინც სიკვდილზე მიდის, რომელსაც პოეტი არც კი იმედოვნებს თავი დააღწიოს, არამედ პირიქით, მოუწოდებს მას, თუმცა მის «милостивом», („მოწყალე“), «прекрасном» („შვენიერ“) განსახიერებაში - «В освежительной силе, / Пришла ко мне, белая, белая»- პოეტი პირდაპირ ეძახის ამ «белую» („თეთრ“) სიკვდილს - Свободой и Новою Жизнью» („თავისუფლებასა და ახალ სიცოცხლეს“).

ჩვენი კვლევის პირველ თავში, ჩვენ მიერ იყო მოყვანილი წარმოდგენების მაგალითები, სადაც სიკვდილი წარდგება ადამიანების წინაშე სრულიად განსხვავებული სახეებით. ვიღაცას ის ლამაზ ქალწულად ევლინება, ვიღაცას კი უმწო დედაბრად, ასევე იცვლება მისი სიმაღლეც, ასაკი, ის მრავალსახიანი და მრავალმხრივია. ჩვენ მიერ, ასევე იყო მოყვანილი მაგალითები წარმოდგენების, იმის

შესახებ, რომ სიკვდილის იერი ასე ცვალებადია ვინაიდან, ღვთისნიერებს იგი ევლინება მშვენიერ არსებად, ცოდვილებს კი პირიქით, მრისხანედ და საშიშად - აქ შეიძლება შეგვხვდეს უფრო გვიანდელი, ქრისტიანული წარმოდგენების დაშრევა, სიკვდილის შემდეგ საშინელ სამსჯავროზე.

მოცემულ ლექსში ჩვენ ვხედავთ, რომ ლირიკული გმირი განიზრახავს ერთგვარი რიტუალის შესრულებს, რომელმაც უნდა დაიცვას ის ყოველი დანარჩენისგან გარდა თეთრი სიკვდილის «Смерть заклинаю, — не белую» სიკვდილის განსახიერებების: «черную, желтую, серую, красную».

ასევე ფრიად საინტერესოა ის მახასიათებლებიც, რომლებითაც ის თითოეულ მათგანს აღწერს.

პოეტი იწყებს თავის შელოცვას წითელი სიკვდილის შელოცვით - წითელი ფერი გვახსენებს დაღვრილ სისხლს. ასეც არის, პოეტი ხომ პირდაპირ ამბობს, რომ თავის თავს შელოცავს სიკვდილისგან, რომლიც გამოვლინებასაც ხედავს წითელ სიკვდილში.

ღირსების დაკარგვა, სირცხვილში დაღუპვა პოეტისთვის შავ ფერს ისხამს.

შემდგომ ჩვენ ვხედავთ ყვითელი სიკვდილის შელოცვას, რომელიც «с жизнью живущей» („ცოცხალ სიცოცხლესთან ერთად“) პოეტის წარმოდგენაში, როგორც ვხედავთ, არის ნელი სიკვდილი, ავადმყოფობისგან ან სიბერისგან.

ყველაზე საშინლად პოეტისთვის ვლინდება ნაცრისფერი სიკვდილი, ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმით, რომ მისი აღწერა ლექსის თითქმის მეოთხედს იკავებს. ამ აღწერაში იკითხება ლირიკული გმირის შიში ნაცრისფერი სიკვდილის წინაშე, თავად აღწერა კი ღრმა დეპრესიაზე გვაფიქრებს, სულის და არა სხეულის ტანჯვის შესახებ, რომელიც «съедают» („ჭამს“) სიცოცხლის ყოველგვარ ფერს, გვაცლის ნაყოფიერების ძალას, გვძირავს ცხადლივ საშინელებაში და აერთებს მას საშინელ სიზმრებთან, რაც ნელა მაგრამ უეჭველად კლავს ადამიანს.

თეთრი სიკვდილი ასეთი მიმზიდველია პოეტისთვის, სწორად იმიტომ, რომ მოაქვს თავის თავში გარდაქმნა და ჭეშმარიტი თავისუფლება, შემდგომში საკუთარი

სულის განვითარება, ასევე ნაყოფიერი მიწიერი სიცოცხლის შემდეგ: «Чтоб в сад мой, в расцветной различности дней, / Когда я прослушаю песнь полнозвонности, / Когда охватчу все пределы я». როგორც ცნობილია, ბაღს მოაქვს ნაყოფი - პოეტი საუბრობს, რომ სურს თავის თავში დღის ყველა ფერის შეკრება, შეიგრძნოს სიცოცხლე მისი «полнозвонности» („სრული ჟღერადობით“), შეეცნობა იმ ყველაფრის, რისი შეცნობაც კი შესაძლებელია ამ განსახიერებაში და ამის შემდგომ, საკუთარ ბაღში, ნაყოფებით სავსეში, მიღება «белую» („თეთრი“) სტუმრისა, რომელიც დააგვირგვინებს მის გადასვლას ჭეშმარიტი თავისუფლებით.

ჩვენი თვალთახედვით, მხატვრული სახეები, რომლებსაც კ. ბალმონტი ქმნის მოცემულ ლექსში, პირდაპირ იდენტურია სიკვდილის ქალღმერთის ფერთა აღქმის წარმოდგენების თავისებურებებისა, რომლის სათავეებს, როგორც უკვე იყო ჩვენ მიერ ნათქვამი, ვხვდებით წინაქრისტიანული დროის სლავური ხალხებთან.

3.8. გასაღების სიმბოლიკა პოეტ-სიმბოლისტებთან

მეორე თავში (2.7) გასაღები იყო განხილული ჩვენს მიერ, როგორც სიმბოლო სიკვდილის უზენაესობისა სამყაროზე, როგორც ერთ-ერთი მისი მნიშვნელოვანი ატრიბუტი.

პოეტ სიმბოლისტებთან გასაღების სიმბოლიკას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. ვალერი ბრიუსოვის მიერ იყო დაწერილი სიმბოლიზმის მანიფესტი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „საიდუმლოს გასაღები“ - რაც, ჩვენი თვალსაზრისით, უკვე ამბობს თავის სათქმელს.

ნახსენებ მანიფესტში პოეტი საუბრობს ხელოვნების დანიშნულებაზე და გამორიცხავს მისგან „სარგებელს“, მაგრამ აცხადებს: „ხელოვნება, შესაძლოა, ის უდიდესი ძალაა, რაც კაცობრიობას გააჩნია. იმ დროს, როდესაც მეცნიერების ყველა ძალაყინს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დაბრკოლებას არ შეუძლია დაამსხვრიოს კარები და კედლები, რომლებშიც ჩვენ ვართ ჩამწყვდეულნი, - ხელოვნება თავის თავში მალავს საშიშ დინამიტს, რომელიც დაამარცხებს ამ კედლებს, უფრო მეტიც - ეს არის ის სეზამი, რომელიც ამ კარებს თვითონ გააქრობს. დაე, გაცნობიერებულად გამოჰყდონ თანამედროვე ხელოვნებმა თავიანთი ქმნილებები საიდუმლოს გასაღებების, მისტიური გასაღებების სახით, რომლებიც კაცობრიობას გაუხსნის კარებს მის „ცისფერ საბყრობილედან“ მარადიულ თავისუფლებაში“ [ბრიუსოვი 1904].

ჩვენი თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონსტანტინე ბალმონტის ლექსი «Ключ»: („გასაღები“)

**«Волшебница дала мне ключ
блестящий,
От замка, в чьем саду нее сны Земли
Бессмертными цветами расцвели.
Он был окутан благовонной чашей, -
Он был украшен птицею летящей,
Зарей, разлившей алый блеск вдали,
Как будто духи сок рубинов жгли.**

**И подходил к разгадке настоящей.
Пред замком мост. Под ним течет река.
В воде светилась бездна голубая.
Вдруг, быстрым кругом птицу огибая.
Другая птица пала свысока.

Я видел кровь. Разжалась вмиг рука.

И ключ упал, чуть всхлипнув, утопая».**

ჩვენ უკვე მრავალი მაგალითი მოვიყვანეთ, სადაც სიკვდილი ვლინდებოდა ჯადოქარი ქალის სახით. ამ ლექსშიც, ჩვენ მსგავს გამოსახვას ვაწყდებით. აქ ჯადოქარი ლირიკულ გმირს აძლევს გარკვეული ბოქლომის გასაღებს. შემდგომ ჩვენ ვხედავთ ბაღს, სადაც ყვავილები ყვავილობენ უკვდავი ფერებით - ჩვენ ვხედავთ «сада» („ბაღისა“) და «сна» („სიზმრის“) მოტივების გადაფლეთას. «Алый блеск» („ალისფერი ბზინვარება“) ფართოვდება მკითხველის წინაშე, დრამატული წითელი ფერის შემოტანით, რომელიც ისე ხშირად თან ახლავს სიკვდილს, რაც არაერთხელ გვხვდებოდა ჩვენს მიერ აღნიშნულ სხვა მაგალითებშიც.

საინტერესოა ისიც, რომ ციხესიმაგრის წინ ჩვენ ვხედავთ ხიდს, მის ქვეშ კი გარკვეულ მდინარეს, რაც მოცემულ კონტექსტში მიგვითითებს „მკვდართა“ მდინარეზე, რომელიც უნდა გადავლახოთ, იმისთვის, რომ საიქიოში მოვხდეთ.

«Я видел кровь. Разжалась вмиг рука. / И ключ упал, чуть всхлипнув, утопая» - ეს სტროფები იწვევს ყველაზე მეტ ინტერესს. მეორე თავში 2 (2.7) ჩვენ განვიხილეთ მაგალითები, სადაც მარენა ამა თუ იმ გმირს გადასცემს გასაღებს, ასევე მოყვანილია მოწმობა გასაღების დაკარგვის მოტივისა, როგორც ბუნების სეზონურ მოვლენებზე ძალაუფლების დაკარგვის - სითბოს დაკეცვა და გაღება, როგორც სეზონების ცვლილება.

მისსავე, (კ.ბოლმონტს) ლექს «Ключи» („გასაღებში“) მეორდება გასაღების დაკარგვის მოტივი:

«Солнце встало, с ним — лучи,
Держит Бог в руках ключи,
Бог ключи роняет вниз,
Только Солнцу помолись
Не по книгам доходить,
Чтоб цветную выткать нить,

Ты на радугу смотри,
На жемчужности зари.
Ты смотри в глаза того,
Сердце чувствует кого,
Ты смотри и ты колдуй,
И целуешь, так целуй».

«Только Солнцу помолись» - მზის თაყვანისცემის დროსთან პირდაპირი კავშირი, წარმართულ რწმენებთან. მზე - ღმერთი. როგორც ცნობილია, მზის ღმერთის გაზაფხულის განსახიერება არის ღმერთი იარილო, რომელსაც, 2.(2.7) თავში მოყვანილი მაგალითების თანახმად მარენა აძლევს თავის გასაღებს.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენ კვლავ ვხედავთ ჯადოქრობის მოტივს – «Ты смотри и ты колдуй», („შენ უყურე და იჯადოქრე“), რომელიც დაკავშირებულია ერთგვარ ლირიკულ გმირთან, როგორც შემდგომ დავინახავთ. («И целуешь, так целуй»). („და თუ კოცნი, მაშ აკოცე“)

ყველაფერ ზემოთქმულთან დაკავშირებით, სხვაგვარ ელფერს იღებს ა.ბლოკის სტროფები, მის ცნობილ ლექსში «Незнакомка»: („უცნობი ქალი“).

«Глухие тайны мне поручены,
Мне чье-то солнце вручено,
И все души моей излучины
Пронзило терпкое вино.
И перья страуса склоненные
В моем качаются мозгу,

И очи синие бездонные
Цветут на дальнем берегу.
В моей душе лежит сокровище,
И ключ поручен только мне!
Ты право, пьяное чудовище!
Я знаю: истина в вине».

უცნობი ქალის სამგლოვიარო ბუმბულისა და ლურჯი ჩახატული თვალების სიმბოლიკა ჩვენ მაღლა უკვე გავაანალიზეთ. აქ ჩვენ მხოლოდ გასაღები გვინტერესებს, რომელიც ნაბოძებია მხოლოდ ლექსის ლირიკული გმირისთვის. გასაღები, რომელიც «глухие тайны» („დახშულ საიდუმლოებებს“) ხსნის? აქ, პატარა გადახვევის სახით, ვფიქრობთ, არ იქნება უადგილო შემდეგი სტროფების მოყვანა ნ. გუმილიოვის ლექსიდან «Ужас» („საშინელება“).

«Я долго шел по коридорам,
Кругом, как враг, таилась тишь.
На пришлеца враждебным взором
Смотрели статуи из ниш.
В угрюмом сне застыли вещи,
Был **странен серый полумрак**,
И точно маятник зловещий,
Звучал мой одинокий шаг.
И там, **где глубже сумрак хмурый**,
Мой взор горящий был смущен
Едва заметною фигурой
В тени столпившихся колонн.

Я подошел, и вот мгновенный,
Как зверь, в меня вцепился страх:
Я встретил голову гиены
На стройных девичьих плечах.
На острой морде кровь налипла,
Глаза зияли пустотой,
И мерзко крался шепот хриплый:
Ты сам пришел сюда, ты мой!
Мгновенья страшные бежали,
И наплывала полумгла,
И бледный ужас повторяли
Бесчисленные зеркала».

ჩვენ ვპოულობთ მათში სიზმრის, მოჩვენების ფიგურისა და ერთგვარი ქალისებრი ურჩხულის მოტივს, რაც ეხმაურება მრავალრიცხოვან დემონებს, რომლებიც გაიგივებულნი არიან სიკვდილთან.

ასეთნაირად, ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ პარალელის არსებობაზე პოეტ სიმბოლისტიკაში გასაღების სიმბოლიკასა და წარმართულთა სიკვდილის ღვთაების ატრიბუტს შორის.

კვლევის შედეგები

მოცემული კვლევა მოყვანილი იყო ჩვენ მიერ იმ მიზნით, რათა დაგვემტკიცებინა, რომ კონცეპტი „სიკვდილის“ საწყისები რუსი პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში უკავშირდება სლავ წინაქრისტიანულ რწმენებს სიკვდილის ღვთაების- მარენას შესახებ.

ჩვენ შევისწავლეთ ზოგიერთი სლავური (რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, პოლონელი, ჩეხი, სლოვაკი, ბულგარელი და სხვ.) და ბალტიის ხალხის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, რუსი სიმბოლისტი პოეტების ლექსები (ვ. ბრიუსოვის, კ.ბალმონტის, ზ. გიპიუსის, ნ. გუმილიოვის, ა. ბლოკის, ა. ბელის, ფ. სოლოგუბის, ი. ერენბურგის, ე. კუზმინა-კარავაევას, ი. ანენსკის და სხვ.) ზოგიერთი სიმბოლისტი მხატვრის ნახატები (იაცეკ მალჩევსკის, ჰიუგო სიმბერგის). აქედან

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად:

- აღმოვაჩინეთ და გავანალიზეთ განსხვავებული ხასიათის სლავური წარმოდგენების მტკიცებულებები ქალღმერთი მარენას (მაჟანას, მარას) სიკვდილის ღვთაებასთან გაიგივების შესახებ;
- განხორციელდა მოცემული წარმოდგენების შრეების გარკვეული სისტემატიზება (გარეგნული ატრიბუტიკით, ფერთა სპექტრით, ჰიპოსტასთა მრავალფეროვნებით და ა.შ.);
- გამოიქვანდა კონცეპტი „სიკვდილის“ აღქმის თავისებურებები რუსი პოეტი სიმბოლისტების (და ასევე ზოგიერთი მხატვარი სიმბოლისტის) მიერ;
- განხორციელდა მოცემულ თავისებურებათა და კონცეპტი „სიკვდილის“ თვისებების სისტემატიზება პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში;
- სლავური სიკვდილის ღვთაების შესახებ წარმოდგენათა შრეები, გაიგივებული ქალღმერთ მარენასთან, შედარებულია კონცეპტი „სიკვდილის“ აღქმის თავისებურებებთან და ნიშნებთან პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში;

- დადგენილია პარალელები, რომელიც საშუალებას იძლევა პოეტი სიმბოლისტების ლირიკაში აღქმის თავისებურებებისა და კონცეპტი „სიკვდილის“ თვისებების დაკავშირებას სლავურ წინაქრისტიანულ წარმოდგენებთან სიკვდილის ღვთაების - ქალღმერთი მარენას შესახებ ჩვენ მიერ გამოკვეთილი ორივე შრის სისტემატიზების სისტემატიური დამთხვევით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივიჩნევთ წარდგენილ ჰიპოთეზას დადასტურებულად.

კონცეპტი „სიკვდილი“ რუსი პოეტი სიმბოლისტების შემოქმედებისა და სლავური კულტურის უძველესი შრეების ანალიზის დახმარებით წარმოგვიდგება ახლებურად, რაც ხდის აღმოჩენას სრულფასოვანს.

